

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 0108 საქართველო



კინო-ტელე ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა - საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება

(შემოქმედებითი პედაგოგია)

„აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (ტელერეჟისურა)“

მზია ზაუტაშვილი

სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწა პრაქტიკული
ტელერეჟისურის სწავლების პროცესში

(სწავლების კონცეფცია)

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ო ნ ა შ რ ო მ ი

წარდგენილია აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ალექსანდრე ვახტანგოვი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

კინო-ტელე ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება

(შემოქმედებითი პედაგოგია)

„აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (ტელერეჟისურა)“

ქვედარგის კოდი 0801

ავტორის ხელმოწერა -----

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით მზია ზაუტაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს: „სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწა პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში“ და ვამღებთ რეკომენდაციას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ალექსანდრე ვახტანგოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები:

ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი

მაია ლევანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ექსპერტი:

ვალერი რუზინი, ევრო-აზიის ტელეაკადემიის პრეზიდენტი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

საავტორო უფლებები

ფიზიკური პირების ან სხვა დაწესებულებების მიერ შესაბამისი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს და ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და მისი ცალკეული ნაწილის გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (მცირე ზომის ციტატების გარდა, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიკურ მიდგომას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ავტორის ხელმოწერა: -----

დამატებითი კითხვებისა და წინადადებებისთვის მოგვმართეთ

შემდეგ საკონტაქტო მისამართზე:

If you have additional questions or suggestions,

please contact us on the following contact addresses:

mziazautashvili@yahoo.com

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,

0108

საქართველო

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University Tbilisi, 0108, Georgia

info@tafu.adu.ge

სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწა პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში

რ ე ზ ი უ მ ე

თანამედროვე ვიდეოტექნოლოგიების, გადამღები თუ სამონტაჟო აპარატურის ოპერატიული ფუნქციების გამარტივება საშუალებას გვაძლევს რეჟისურის ფუნდამენტური თეორიული კურსის შესწავლა მიმდინარეობდეს ტელერეჟისურის სპეციფიკური, პრაქტიკული ტექნიკის დახვეწის პარალელურად. წარმოდგენილი ნაშრომი, „სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწა პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში“ აღწერს საბაზისო საფეხურზე პროფესიის სწავლების ახალ კონცეფციას, რომელიც უილიამ დემინგის (PDCA) დახელოვნების მოდელზეა აგებული. მეთოდის მიხედვით, ის, რაც ციკლური განვითარებით, თეორიული კომპონენტის პრაქტიკული ათვისებით, როგორც სწავლის შედეგი, უნდა მიიღოს სტუდენტმა, არის სალექციო თემაზე პროფესიული სტანდარტით დამზადებული ტელეპუბლიკაცია. სტუდენტი, ცოდნის შექმნის დინამიკური პროცესით, თეორიული ლექციის მოსმენისა და გადაღების დროს ჯერ იღებს „მიახლოვებულ ცოდნას“¹, შემდეგ, ვიდეო რეპრეზენტაციით პრაქტიკულად იყენებს შემეცნებით ინფორმაციას, შეფასების კრიტერიუმებით ამოწმებს შედეგს და კორექტირებას უკეთებს ძველ ცოდნას.

სპეციფიკური ტელერეჟისურის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის გაწონასწორების მიზნით, მეთოდი იყენებს ლექციის მსვლელობას, როგორც ოპერატიული, რეჟისურის მოდელირებულ გარემოს, რადგან სტუდენტი მთლიანად უნდა იყოს დაკავებული რეჟისურის პროფესიული ტექნიკის შესწავლით; სპეციალობის თეორიული კურსი საილუსტრაციოდ ფორმის სხვადასხვა ხერხსა და მასალას იძლევა; აუდიტორიიდან გაუსვლელად თეორია პრაქტიკულად ისწავლება; სტუდენტი სწავლობს სატელევიზიო საგანმანათლებლო, შემეცნებით, სატელევიზიო სტუდიურ ფორმებში მუშაობას; სასწავლო ინფორმაციის ვიზუალიზაცია თეორიის ათვისების ეფექტური საშუალებაა; დასრულებული ნამუშევრის წარდგენისას, მოდულის ხელმძღვანელი თვალნათლივ ხედავს, სწავლობს მისი სტუდენტი თუ არა.

მეთოდი არ ანაცვლებს სატელევიზიო რეჟისურის სწავლების არსებულ მოდელს, სადაც საბაზისო თეორიად მხატვრული ფილმის წარმოებისა და სახვითი გადაწყვეტის კანონები ისწავლება. ის მხოლოდ ცვლის მსმენელი სტუდენტის სტატუსს რეჟისორის - თემის აქტიური ინტერპრეტატორის - სტატუსზე და გააზრებულა, როგორც ტელესპეციფიკით შესრულებული კინოგრამატიკის პრაქტიკული სავარჯიშო პირველ-მეორე კურსზე, საკურსო და სადიპლომო პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე.

ნაშრომში თავმოყრილია დარგის სწავლების თანამედროვე მიდგომები, სატელევიზიო და გლობალური ქსელის სამაუწყებლო პრიორიტეტები, ხაზგასმულია მულტიმედიური და მრავალპროფილური საკადრო ტენდენცია. პედაგოგიური კონცეფციების ჭრილში გაანალიზებულია „პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწის“ სტრუქტურა და სტრატეგია.

¹მიახლოვებულს უწოდებს უ.დემინგი თეორიულ ცოდნას

Refinement of Specific Skills While Teaching Practical TV Directing

Resume

Simplifying operational functions of modern video technologies, filming or montaging hardware gives us an opportunity to study fundamental theories of directing along with refining practical techniques of TV directing. The given study: "Refining specific skills while teaching practical TV directing" describes a new concept of teaching on the basis level, which, on the other hand, is based on William Deming's (PDCA) sequential model of mastering. According to the method, as the result of the studies, the student must obtain a TV publication by professional standards on lecture theme, with the help of cyclic development and acquisition of theoretical components. During the dynamic process of learning the student is acquiring an "approximate knowledge"¹ while listening to theoretical lectures along with filming process. Following this, the student is practically using perceived information with the help of video representation, is verifying the results with the help of sufficiency criteria and is correcting the existing knowledge.

In order to balance the theoretical and practical components of specific TV directing the method is using the lecture as a modified environment of TV direction, in order for the student to be fully occupied by learning the professional techniques of directing; To illustrate, a theoretical course of the field is giving out different kinds of methods; theory can be fully acquired inside of the class; the student is learning how to work in educational and conceptual TV studio formats. Visualizing the learning material is the most effective way to acquire theory. During the presentation of the final product, the supervisor can easily distinguish if the student had been working or not.

The method does not substitute the existing model of teaching TV directing, during which the basis theories include producing films and the rules of display-resolving. It only changes the status of the student as a director and the active interpreter of the main theme and is thought to be a practical exercise of cinematic grammar carried out by tele-specificity during first and second years, before starting dissertation projects.

Given work includes contemporary approaches of teaching, priorities of TV and global network broadcasts, along with underlining multi-media and multi-profile tendencies of personnel. In the sense of pedagogical concepts, "Refining specific skills while teaching practical TV directing" is analyzed.

¹ E. Deming refers to theoretical knowledge as "Approximate Knowledge" .

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერა

ნაშრომის შესავალი ეთმობა სატელევიზიო სპეციალობების მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მრავალფეროვნებას; რეჟისორული კარიერის ალტერნატიულ გზებს; პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომას, რომელიც სპეციალისტის კვალიფიციური მომზადებისთვის პრაქტიკისა და თეორიის ინტეგრირებაზე მიუთითებს; ყურადღება გამახვილებულია ტელერეჟისორის სპეციფიკურ პროფესიაზე; კინოწარმოებასა და ოპერატიულ ტელევიზიას შორის ფუნდამენტურ სხვაობაზე, რომელიც ნაკლებად არის გათვალისწინებული ტელერეჟისურის სასწავლო პროგრამებში და შედეგად გვამღევეს ახალგაზრდა სპეციალისტს, რომელსაც უჭირს კოორდინაცია პროფესიულ გარემოში. იქ, სადაც ყოველდღიურად მოეთხოვება გამოავლინოს შესაბამისი პროფესიული კომპეტენცია. გამოკვეთილია კვლევის მიზანი, რომელიც სპეციალობის აკადემიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის წინააღმდეგობის დაძლევას ისახავს მიზნად და პრობლემის კონცეფციურ სიახლედ პრაქტიკული რეჟისურის სწავლების პროცესში უნარ-ჩვევების დახვეწის მეთოდს გვთავაზობს. მეთოდი სასწავლო პროცესის სატელევიზიო წარმოების იმიტირებით ქმნის პროფესიულ გარემოს, სადაც სტუდენტის შრომის საგანი ოპერატიული ტელესპეციფიკით დამზადებული სალექციო თემის შემეცნებითი პუბლიკაციაა.

I თავი - ცოდნის გავრცელება, თანამედროვე ტელევიზიის აქტუალური საკომუნიკაციო სტრატეგია - მიმოიხილავს თანამედროვე ტელევიზიის საკომუნიკაციო სტრატეგიებს. დარგის პრაქტიკოსების მოსაზრებებზე დაყრდნობით, გადაცემებს შორის განთავსებული საინფორმაციო პროგრამების მიწოდება კონკურენციას ვეღარ უწევს ინტერნეტს, რადიოს, CNN-ისა და BBC-ის საინფორმაციო არხებს. თანხების არარსებობის გამო ქსელებმა დახურეს ნაციონალური და საერთაშორისო წარმომადგენლობები. მცირდება კორესპოდენტებისა და საინფორმაციო სამსახურის შტატებიც.

ტელევიზიის ფენომენი აქტუალურად გაიაზრება, როგორც სოციალური ინსტიტუტი და საზოგადოების კულტურულ საგანმანათლებლო საშუალება, ტრადიციული მედიის ეპოქა, რომელიც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უნივერსალურ აუდიტორიას მიმართავდა, დასრულდა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, მცირე ჯგუფების, სხვადასხვა ინტერესისა და

საჭიროების შესაბამისი, სპეციალიზებულ შინაარსზე ორიენტირებული მედიის დრო დგება. მედიის, რომლის კომუნიკაციური ამოცანაა სეგმენტური მაყურებლის დაინტერესება, ახალი ცოდნის მიწოდება კომპეტენტური ავტორების მომზადებული შემეცნებითი პუბლიკაციებით.

II თავი - პროფესიული ტენდენციები ტელეწარმოებაში - ტელეწარმოებაში პროფესიულ ტენდენციებს ეთმობა, რაც ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობების ათვისებით ხასიათდება. ერთი მხრივ, ხდება პროფესიების შეთავსება, შესაბამისად, ჩნდება ახალი სპეციალობები და ძველი პერმანენტულად ქრება. სატელევიზიო კადრები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, როცა ერთი საკმარისი აღარ არის და საჭიროა ტელეწარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე სპეციალობის ცოდნა. მიზეზი - ტექნოლოგიური პროგრესი, წარმოების გამარტივება და შესაბამისად, შტატების შემცირებაა. ტრადიციული ეკრანული ხელოვნების პარალელურად ვითარდება მულტიმედიური აუდიოვიზუალური რეჟისურა, როგორც დინამიკური მხატვრული გარემო, ახალი ინტერაქტიული შემოქმედების ასპარეზი, დეცენტრალიზებულ ციფრულ წარმოებაში მატულობს რეჟისორების გარშემო თავმოყრილი დამოუკიდებელი შემოქმედებითი ჯგუფები. რომლებიც საავტორო ვიდეობს ავრცელებენ.

კოლოსალური შესაძლებლობების ინტერნეტი ჯერ ისევ ფორმირების პროცესშია, თუმცა ნოვატორული რეჟისორული პროექტების ასპარეზი უკვე ღიაა. ცვლილებები აშკარაა, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს მოქმედ სპეციალისტებსა და ამჟამინდელ სტუდენტზე, მათი სწავლების სტილზე, პროფესიული დახელოვნების სტრატეგიებზე.

III თავი - თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების მიმოხილვა მეთოდის კონტექსტში - ტელერეჟისურის სწავლების კონცეფციას განიხილავს თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების კონტექსტში. მეთოდის თეორიული ანალიზი მოიცავს პედაგოგიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სახელოვნებო ლიტერატურას; სატელევიზიო და საზოგადოდ, ვიზუალური თხრობის თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და სწავლების მეთოდებს. თემის ილუსტრირება ეყრდნობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო ლიტერატურას. თავი აღწერს მეთოდის სტუქტურას, რომელიც აგებულია უილიამ დემინგის განვითარების ციკლურ მოდელზე. სწავლების კონცეფცია შედარებულია კლაუს ფოპელის, კარლ როჯერსის, დევიდ კოლბის, პაოლო ფრეირეს, სერგეი რუბინშტეინის, პედაგოგიურ თეორიებთან. პროფესიული

პროფილით გამოყენებულია მიხეილ თუმანიშვილის, მაიკლ რაბიგერის, ჯერალდ მილერსონის, ჯეფრი შოუს, დევიდ ირვინგის რეჟისურის სახელმძღვანელო ლიტერატურა.

IV თავი - მეთოდის აღწერა - პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწის მეთოდს ეთმობა. ტელესპეციფიკით მოდელირებული „სწავლა კეთების პროცესში“ სტრატეგიად ირჩევს განუმეორებელი კადრის, მოვლენის ფიქსირების პროფესიულ ტექნიკას. რეალურ დროში განვითარებული მოქმედება, რომელიც ერთი დუბლით უნდა დაფიქსირდეს, არის ლექცია, კინო-ტელეწარმოების თეორიული კურსი, რომელიც ჯგუფს საკურსო და სადიპლომო პროექტების გააზრებული გადაღებისა და წარმოების შესწავლისთვის ეკითხებათ.

სტუდენტი თეორიული ლექციის აქტიური ინტერპრეტატორია. თვითონ იღებს, თვითონ არჩევს თემის საილუსტრაციო მასალას, ხმისა და მუსიკალურ პარტიტურას, თვითონ ამონტაჟებს და შეფასებისთვის წარუდგენს ჯგუფს და ჯგუფის ხელმძღვანელს მოსმენილი თემის დასრულებულ, სატელევიზიო ვერსიას. სარეჟისორო ამოცანების შემოქმედებით მოდელში, სპეციალობის ელემენტარული უნარებიდან, ის თანდათან გადადის ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებაზე.

Vთავი - მეთოდის საცდელი გადაღება, განხილვა ფოკუსჯგუფთან - ფოკუსჯგუფთან მეთოდის განხილვის სტენოგრაფიული ტექსტია. ტელერეჟისურის სწავლების კონცეფცია მოისინჯა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ტელერეჟისურისა და კინომცოდნეობის სპეციალობების მეოთხეკურსელებთან. მეთოდის განხილვა, ლექციის გადაღებისა და მონტაჟის საცდელი ვარიანტი, სადოქტორო თემის საპრეზენტაციო ვიდეოსთან ერთად, თანდართულია მყარი დისკით.

დასკვნა - აჯამებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს, მიმოიხილავს ჯგუფთან მუშაობის პროცესსა და შედეგებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	9
I თ ა ვ ი	18
<i>ცოდნის გავრცელება, თანამედროვე ტელევიზიის აქტუალური საკომუნიკაციო სტრატეგია</i>	
II თ ა ვ ი	30
<i>პროფესიული ტენდენციები ტელეწარმოებაში</i>	
III თ ა ვ ი	36
<i>თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების მიმოხილვა მეთოდის კონტექსტში</i>	
IV თ ა ვ ი	59
<i>მეთოდის აღწერა</i>	
V თ ა ვ ი	86
<i>მეთოდის საცდელი გადაღება, განხილვა ფოკუსჯგუფთან</i>	
და ს კ ვ ნ ა	101
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა	106

შესავალი

თემის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენს ტელევიზიებში თავიდანვე და დღესაც, რეჟისორი არის ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, უკეთეს შემთხვევაში, და, ძალიან იშვიათად, კინოსკოლიდან ან თეატრალური განათლებით, რომელიც იწყებს დამხმარე ასისტენტის ფუნქციით და გარკვეული საწარმოო გამოცდილების დაგროვების შემდეგ პროგრამის რეჟისორი ხდება. შეიძლება, პრაქტიკული ცოდნის თვალსაზრისით, ეს გზა უკეთესიც იყოს, თუმცა „თითი დაადო პულტის რომელიმე ღილაკს, არ ნიშნავს, ეთერში გადასცე ხარისხიანი სატელევიზიო ნაწარმოები. აუცილებელია ოსტატურად გამოიყენო ყველა, შენს ხელთ არსებული ინსტრუმენტი“.¹ „მხოლოდ გამოცდილება საკმარისი არ არის, მით უფრო, თუ ის ამყარებს მცდარ პრინციპებს, სულ პატარა ნიუანსიც კი, მთლიანად ცვლის პროგრამის შესრულებისა და აღქმის ხარისხს“.²

მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი უნივერსიტეტები სტუდენტებს ფუნდამენტურ განათლებას სთავაზობენ, ტელევიზიები არა მარტო პროფესიონალების ნაკლებობას განიცდიან, არამედ წარმოების პროცესში მონაწილე შემოქმედებითი პერსონალის საერთო ენის არარსებობას, სამუშაო პროცესის გაგების, კომპეტენციის ჩარჩოს, ხარისხის კრიტერიუმების აღრევას. მულტიმედიური სპეციალისტის ეპოქაში ცოდნისა და უნარების ვიწრო კომპლექტი საკმარისი არ არის - ტელერეჟისორის სრულფასოვან საქმიანობას ჭირდება მრავალპროფილიანი დარგის თანამედროვე მოთხოვნების გაცნობიერება და თეორიული ცოდნით, პირადი და ჯგუფის, პრაქტიკული ქცევის მართვის უნარი.

საკითხის შესწავლის არსებული მდგომარეობა და ლიტერატურის მიმოხილვა

სატელევიზიო სპეციალობები, მათ შორის, ტელერეჟისურა, სხვადასხვა ფორმატით მსოფლიოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლება: კოლეჯებში, მოკლევადიან კურსებზე, Online რეჟიმში, საერთაშორისო კინო სკოლებში, სახელგანთქმულ უნივერსიტეტებში.

¹Миллерсон Д., *Телевизионное производство*, FocalPress, 2004 გვ.9

²იქვე, გვ.16

მოკლევადიანი კურსები აპარატურისა და ტექნოლოგიის გაცნობას ეთმობა, ან ვიდეო წარმოების რომელიმე სტილით შემოიფარგლება; დიდი უნივერსიტეტები მასობრივი კომუნიკაციის განზოგადებულ პროგრამებს გვთავაზობენ; პროფესიული სკოლები უპირატესობას ტექნიკურ დისციპლინებს ანიჭებენ და ნაკლებად ასწავლიან თეორიას; პატარა კინოსკოლას, თუ ის ძვირადღირებული არ არის, ხშირად არ ყოფნის ფინანსური რესურსი. ეს ნიშნავს, რომ გადაღების საშუალება ნაკლებადაა და პროფესიას უფრო კონცეპტუალურად ეუფლებიან. „კინო ხელოვნების შესწავლა აუცილებელია ჰუმანიტარული განათლებისთვის, აღქმას ამახვილებს, თუმცა წარმოების გარეშე ფილმის შეფასებისთვის თუ გამოდგება და არა ფილმის გადასაღებად. რეჟისორი მეტ სარგებლობას იღებს პრაქტიკით, ვიდრე, თეორიული მომზადებით“.¹

პრაქტიკული საქმიანობა ეკრანული თხრობის მოყვარულმა შეიძლება დამოუკიდებლადაც დაიწყოს და ვიზუალური გრამატიკის, ან წარმოების პროცესის დასაგეგმად მიმართოს სახელმძღვანელო ლიტერატურას. პროფესიული ინფორმაციაა განთავსებული ინტერნეტშიც, სეროიზულ კინო და ტელე სასწავლო საიტებზე. თუმცა ეს გზა ძალიან გრძელია და იშვიათად ტოვებს მოყვარულის ამბლუსს. მოყვარული ნიშნავს - „მე ეს საქმე მიყვარს“, პროფესიონალი კი - „მე ამ საქმეს ვაკეთებ“.

ზოგი პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული კარიერის ყველაზე მოკლე გზად საწარმოო განათლებას მიიჩნევს და ყოველგვარი თეორიული ცოდნის გარეშე, მუშაობას იწყებს გადამღებ ჯგუფში ან ტელევიზიაში, ნებისმიერ, ფუნქციურად ყველაზე დაბალ საფეხურზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, ეს გზა ყველაზე მაცდურია და არასწორი. ყველაზე ცუდი - ყალიბდება დამოკიდებულებისა და სხვისი მითითების მომლოდინე ხასიათი. არც დრო რჩება სწავლის, თან გარშემო არავინაა დაინტერესებული, განმარტოს პროფესიული რეჟისორული ტექნიკა.

ზოგ მათგანს, გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, თუ დაუზარელი, უსიტყვო შემსრულებლის რეპუტაციის მოხვეჭით, ეწოდებათ ხოლმე ტელერეჟისორი. თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი, სინამდვილეში, ჟურნალისტების საწარმოო პროცესის ორგანიზატორები და მათი ვიზუალური გადაწყვეტის ილუსტრატორები არიან და არა შემოქმედებითი გარემოს ავტორები.

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.461

ტელერეჟისურა, ყოველდღიურად, ახალი იდეების, ახალი ფორმების, სიტუაციური ამოცანების ყოველწუთიერ გადაწყვეტას გულისხმობს. ამ პროფესიას თავიდანვე მხატვრული აზროვნებისადმი გამოკვეთილი მიდრეკილებისა და ორიგინალური აზროვნების ადამიანები ეუფლებიან. რადგან „მოყვარულის დღევანდელი თავსატეხი კარგახანია ამოხსნილია პროფესიონალის მიერ“.¹ ბევრი არჩევს ისწავლოს შემოქმედებით სახელოსნოში, განსწავლულ ოსტატებთან, დაგროვილი გამოცდილების გაზიარების გზით. „ადამიანისგან პროფესიონალს სკოლა ქმნის, ის კარნახობს მას წესებს“.² კარგად გააზრებულ, დაგეგმილ სასწავლო პროცესს ალტარნატივა არ აქვს. მისი უპირატესობა ჩანს არა მხოლოდ პირველივე პროექტის განხორციელების პროცესში, არამედ მთელი კარიერის განმავლობაშიც. სხვა გზა კომპრომისულია და ნაწილობრივ, გამართლებაზეა დამოკიდებული და უფრო იშვიათად, ინდივიდუალურ მონაცემებზე.

„კარგი სკოლა ეს არის:

- მასობრივი კომუნიკაციის კულტურული და ინტელექტუალური პერსპექტივის გაცნობიერება;
- დარგში მიმდინარე პროცესების ცოდნა და წინაპირობების ანალიზი;
- ტექნოლოგიური, აპარატურისა და ინვენტარის მართვის ჩვევების გამომუშავება;
- მონაცემისა და ტალანტის გამოვლენის საშუალება;
- მშვიდ გარემოში ექსპერიმენტის ასპარეზი, სადაც თანამოაზრეებთან ერთად შეიძლება გადაილახოს პროფესიული სირთულეები;
- და ყველაზე მთავარი, პასუხი კითხვაზე -სწორად არის თუ არა შერჩეული პროფესია“.³

მართალია, კინო და ტელევიზია ერთ ენაზე მოგვითხრობს და ვიზუალური გრამატიკის ცოდნა აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტისთვის, ტელეწარმოებას მაინც აქვს განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნები, რასაც გათვალისწინება სჭირდება სწავლების პროცესში და შესრულების ხარისხი ჩვევებზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე თეორიულ წესრიგზე. ვგულისხმობ უწყვეტი ეპიზოდის „ცოცხლად“ დაფიქსირებას, სადაც მოქმედება არ შეიძლება განმეორდეს და ჯგუფს გადაღების მხოლოდ ერთი შანსი აქვს.

¹Миллерсон Д., *Телевизионное производство*, FocalPress, 2004 გვ.12.

²თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“*, 2004 გვ.11.

³Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.460.

ტელერეჟისორი მუშაობს სცენარის გარეშე, ვერ გადის კლასიკური თეორიით აღწერილ მოსამზადებელ პერიოდს, არ აქვს შემოქმედებითი ძიების ფუფუნება, იღებს არსებულ პირობებში, მოცემულ გარემოში. ამონტაჟებს არა წინასწარ გააზრებული სამონტაჟო ფურცლის მიხედვით, არამედ, აღებული მასლიდან გამომდინარე. მუშაობს ციკლურად; გადაღების დრო, მონტაჟი, გახმოვანება, საეთერო ქრონომეტრაჟი, ეთერში გასვლა - მკაცრად რეგლამენტებულია. ამ საწარმოო ტექნიკით შესრულებულ პროგრამებს საეთერო სივრცის მეტი ნაწილი უჭირავთ.

რეჟისორის მუშაობის სტილს კინო და ვიდეო წარმოებაში ორი ამოცანა განასხვავებს. ერთი - რა მინდა, რომ გადავიღო! ეს ეხება ყველა დადგმულ, გათამაშებულ, მხატვრულ კომპონენტს. და მეორე - გადავიღო, რა ხდება! პირველი - თეორიულად ისწავლება და პრაქტიკით მყარდება, მეორე -საჭირო ინსტრუმენტების ტექნიკური პარამეტრების ცოდნას მოითხოვს და ინტენსიური პრაქტიკით იხვეწება.

- მახვილი თვალი;
- საინტერესო ეპიზოდისა თუ პერსონაჟის მომგებიანი კუთხით გადაღება;
- რეალობის ადექვატური აღქმა;
- გადაღების პროცესშივე ინტუიციური განსჯა და ეფექტური დრამატურგიული წინსვლა;
- რეალურ დროში განვითარებული მოქმედების ეკრანული თხრობის ლოგიკითა და დინამიკით გადმოცემა;
- გადასაღები ობიექტის სწრაფი ტექნიკური ანალიზი, აუცილებელი სამუშაო ხელსაწყოების კომპლექტაცია და სწორი განლაგება.

ტელე-ვიდეო წარმოების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მაღალკვალიფიციური ტელერეჟისორი ორივე სტილში მუშაობის პროფესიულ ჩვევებს უნდა ფლობდეს. დღეს სწავლება თეორიული ლექციებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების მონაცვლეობით მიმდინარეობს. კინო-ტელერეჟისურის საბაზისო თეორიად მხატვრული ფილმის წარმოებისა და სახვითი გადაწყვეტის კანონები ისწავლება. შუალედურ დავალებებს საკურსო და ბოლოს სადიპლომო ნამუშევარი აჯამებს. ასეთი მიდგომა ტრადიციულია და დაგეგმილი საწარმოო პროცესის, ფუნდამენტური თეორიის პრაქტიკით გამყარებას ასახავს. თუმცა სპონტანური გადაღებების ჩვევების გამოსამუშავებლად საკმარისი არ არის.

„სახვითი ხელოვნების კინოფაკულტეტებზე, საგამოცდო შედეგის სასარგებლოდ, რომელიც სტუდენტის ინდივიდუალური ხედვის გამოვლენის საშუალებად ითვლება, დაკნინებულია პროფესიული დარგის შესაბამისი საქმიანი ატმოსფეროს მნიშვნელობა“.¹

თეორიისა და პრაქტიკის სუსტი კავშირი აბრკოლებს ტელერეჟისორის პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბებას. ტელერეჟისურის სასწავლო პროგრამის მეტად დაახლოება კინოწარმოების თეორიასთან შედეგად გვაძლევს ახალგაზრდა სპეციალისტს, რომელიც ხშირად იბნევა რეალურ საწარმოო პროცესში. იქ, სადაც ყოველდღიურად მოეთხოვება გამოავლინოს შესაბამისი პროფესიული კომპეტენცია. შეიძლება პრობლემა გახდეს არა მხოლოდ აუცილებელი ოპერატიული ჩვევების ნაკლებობა, არამედ სტანდარტულ სატელევიზიო სიტუაციებში დამოუკიდებელი მოქმედების, კოორდინაციის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

კვლევის მიზანი

„პრაქტიკული ტელერეჟისურის სწავლების პროცესში სპეციფიკური უნარ-ჩვევების დახვეწა“ ხელობის აკადემიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის წინააღმდეგობის დაძლევას ისახავს მიზნად, ოპერატიული ტელეპროდუქციის საწარმოო პირობებისა და ამოცანების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნით ზოგადპროფესიულ განვითარებას, პროფესიულ კულტურას, რეჟისორულ კომპეტენციასა და დაოსტატებას.

„პროფესიული ქცევის კონცეპტუალური მოდელი ადამიანის ქმედებით გამოხატული ერთგვარი შინაგანი სამყაროა, რომელიც მოცულობით ინფორმაციას ეყრდნობა: პროფესიული გარემოს, შრომის საგნის, საქმიანობის მიზნის, საშუალებებისა და ხერხების შესახებ. კონცეპტუალური მოდელი აერთიანებს - სპეციალობის პროფესიული ამოცანების გაცნობიერებას, სწორი და არასწორი გადაწყვეტილებების განჭვრეტას, არასტანდარტული, ნაკლებად მოსალოდნელი შედეგებისთვის მზადყოფნას. ის მოიცავს წარმოსახვით, თეორიულ და ქმედით კომპონენტებს. სპეციალობის მოდელის შექმნისას, ამ კომპონენტების არასრულყოფილებამ, შინაარსობრივმა სიმწირემ, საქმიანობის ორგანული პროცესი შეიძლება არაადექვატურობისა და შეცდომების წყაროდ აქციოს“.²

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.461.

²Бюндюгова Т. Корниенко Е. Ефименко О. Осипчук И. Галацан Т. Мотиенко Т. Холина О,Ростова Е., *Проблемы консультирования по вопросам управления персоналом.*, Монография, GoogleBooks.

პრობლემის კვლევის მეცნიერული სიახლე

შემოთავაზებული მეთოდი, როგორც ტელერეჟისურის სწავლების ახალი კომპონენტი, ყურადღებას ამახვილებს პროფესიული საქმიანობის სპეციფიკურ მოდელზე და თეორიული ინფორმაციის ათვისების პროცესში:

- სატელევიზიო წარმოების იმიტირებით ქმნის პროფესიულ სატელევიზიო გარემოს;
- სტუდენტის შრომის საგანი სალექციო თემის ოპერატიული, სტუდიური მიდგომებით დამზადებული შემეცნებითი ტელეპუბლიკაციაა;
- საქმიანობის მიზანი თეორიული კომპონენტის პრაქტიკულად ათვისება, დახელოვნება;
- მიზანის მისაღწევად სატელევიზიო ინსტრუმენტებისა და პროფესიული ხერხების დაუფლება.

ამ კომპონენტების არასრულყოფილებამ, შინაარსობრივმა სიმწირემ ტელერეჟისორის საქმიანობის ორგანული პროცესი შეიძლება არაადექვატურობისა და შეცდომების წყაროდ აქციოს.

თანამედროვე პროფესიული განათლება ადარ შემოიფარგლება ლოკალური, თეორიული სასწავლო გარემოს შექმნით, რომელიც მხოლოდ მყარ ცოდნას უზრუნველყოფს. მან უნდა მისცეს სტუდენტს სპეციალური, დამოუკიდებელი საქმიანობის გამოცდილება, რაც აყალიბებს კონცეპტუალური თუ მხატვრული არჩევანის, წარმატებული სოციალიზაციისა და აქტიური პიროვნულ-პროფესიული პოზიციისთვის მზადყოფნას.

ინოვაციური საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილება შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიისა და იაპონიაში, რომლის ძირითადი პრინციპებია: ჰუმანისტური¹ და ღირებულებითი² ორიენტაციის პარიტეტი, კომპეტენციის, პროფესიული საქმიანობის ფორმირება და განვითარება, სოციალური და პროფესიული ურთიერთობები, მიუთითებს სპეციალისტების მაღალკვალიფიციური მომზადებისთვის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის ინტეგრირების

¹ჰუმანისტური მიდგომა /Humanistic Perspective/ - ფსიქოლოგიური მოდელი, რომელიც აქცენტს ინდივიდის ფენომენალურ სამყაროზე, რაციონალური არჩევანის გაკეთებისა და მაქსიმალური პოტენციალის განვითარების თანდაყოლილ უნარზე აკეთებს.

²ღირებულება /Value/ - ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორია. ღირებულება არის ყოველივე ის, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოღვაწეობისთვის. მოიცავს სულიერ იდეალებს, ზნეობრიობის ნორმებსა და პრინციპებს, პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებსა და ა.შ.

ეფექტურობაზე. პირველად გერმანიაში გამოიყენეს ორმაგი განათლების მოდელი, როდესაც სასწავლო პროცესის განხორციელება ხდება საწარმოო საქმიანობასთან სინთეზით. თეორიული ნაწილის შესწავლა მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული დახელოვნებისთვის კი სტუდენტი, როგორც სტაჟორი, პროფესიული პროფილით, დასაქმებულია უშუალოდ წარმოებაში. განათლების მოდელში ჩართულია, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე წარმოება. საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის აპრობაცია მიმდინარეობს უშუალოდ პროფესიულ გარემოში, რაც იწვევს ცოდნის უნარ-ჩვევებში გადასვლას. დარგების უმრავლესობა, ორმაგი განათლების მეშვეობით, უზრუნველყოფს კვალიფიციურ პერსონალს, რომელიც აკმაყოფილებს დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს, ზოგავს კადრების ძიებისა და შერჩევის, თანამშრომლების ადაპტირების ხარჯებს.

ბოლო ათწლეულში, მუდმივი ტექნოლოგიური მოდერნიზაციის პირობებში, „დუალური“ სწავლების მეთოდს საინფორმაციო ტექნოლოგიებიც შეუერთდა. წამყვანი ტელესკოლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სატელევიზიო სპეციალობების ათვისება ეფექტურია ტელევიზიებთან არსებულ სასწავლო ცენტრებში. „დუალური“ სწავლება უმაღლესი პროფესიული განათლების ინოვაციური საორგანიზაციო მოდელია, რომელიც მოიცავს მკაფიოდ კოორდინებულ ურთიერთობებს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროფესიული კადრების დამკვეთ, დამქირავებელს შორის. თუმცა, ორმაგი განათლების სერიოზულ ხარვეზად პოტენციური დასაქმების ადგილზე სტაჟორის ინტენსიურ დატვირთვას, თეორიული დისციპლინების 30%-ამდე შემცირებასა და პრაქტიკის (70%-ამდე) საათობრივ თანაფარდობას ასახელებენ. სწავლების თეორიული ზონა კი საძირკველია, რაზეც შენდება ცოდნაზე დამყარებული კვალიფიციური ქცევის მოდელი.

იზრდება მოთხოვნა პროფესიულ კადრებზე, რომლებიც სწავლის დასრულებისთანავე, რეალურ საწარმოო გარემოში, კვალიფიციურად ასრულებენ პროფესიულ ფუნქციებს.

დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროფესიული საქმიანობის არსებით მახასიათებლებად გამოყოფენ: რეფლექსიას,¹ შერჩევითობას, პასუხისმგებლობას, აზრთა ძიებას, ორიენტირებულობასა და სულიერ-ზნეობრივ ფუნქციებს, შემოქმედებით თვითრეალიზებასა და თვითაქტუალიზებას, მედიატორობის უნარს, ინდივიდუალობას, ემოციურობას; აგრეთვე,

¹რეფლექსია - ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების(ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის)ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება.

შემოქმედებით დამოუკიდებლობას, როგორც პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის უნარსა და მზაობას, რისთვისაც მიუღებელია მზა ნიმუშების გამოყენება.

სპეციალობების ტრადიციული სწავლება, საგნობრივ სფეროში ცოდნის ფორმირებით, ძალიან ჩამორჩება თანამედროვე ინდუსტრიულ მოთხოვნებს.

„სულ მალე სწავლა აღარ იქნება დაფუძნებული დამახსოვრებაზე. კომპიუტერი და სათვალე Google Glass პაწაწინა ლინზებად გარდაიქმნება, რომელშიც მთელი ინფორმაციის ჩატვირთვა იქნება შესაძლებელი. საკმარისია, თვალი დაახამხამო და თეორიულად უზრუნველყოფილი ხარ. ერთი მხრივ, აღარ იქნება საჭირო ტვინის გადაღლა ზედმეტი ცოდნით, რომლის ძირითადი ნაწილი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შემდგომში სრულიად უსარგებლო და გამოუყენებელი რჩება. გამოთავისუფლებული გონებრივი რეზერვი კი კონცენტრირდება ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორცაა ფიქრი, ანალიზი, არგუმენტება და შედეგად, სწორი გადაწყვეტილების მიღება. რეალურ წარმატებას რომ მივაღწიოთ, უნდა განვივითაროთ კრეატიულობა, წარმოსახვა, ინიციატივა, ლიდერის თვისებები. საზოგადოება თანდათან სასაქონლო ეკონომიკიდან ინტელექტუალურ-შემოქმედებით ეკონომიკაზე გადადის“.¹

თანამედროვე ცოდნის მიზანი არა იმდენად სასწავლო დისციპლინებია, რამდენადაც სტუდენტის აზროვნებისა და თვითაქტუალიზაციის² ხერხები. უმაღლეს სკოლაში სულ უფრო აქტიურად განიხილება განათლების ინტეგრალური მოდელები, საგანთა კონტენტი, აკადემიური პერსონალის პროფესიულ-პედაგოგიური მომზადება, ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების შემუშავების თეორიული და პრაქტიკული მიდგომები. თანამედროვე სამეცნიერო კვლევები კონცენტრირებულია მომავალი სპეციალისტის მომზადების სისტემურ მიდგომებზე:

I – ზოგადპროფესიული კულტურის, პროფესიული წიგნიერების განვითარება-ჩამოყალიბება, და პროფესიული კომპეტენტურობისა და ოსტატობის ფორმირება;

II – სტუდენტის პიროვნულ-შემოქმედებითი განვითარება, თვითაღზრდა და მისი ინდივიდუალურ-პიროვნული თვისებებისა და უნარების შემოქმედებითი თვითრეალიზაცია.

¹Каку М., *Учеба уже не будет базироваться на запоминании*, Деловая столица, 2014.

²თვითაქტუალიზაცია /Self-actualization/ - პიროვნების ფსიქოლოგიის ცნება, რომელიც აღნიშნავს ადამიანის მუდმივ სწრაფვას საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისა და თანდაყოლილი ნიჭისა და უნარების განვითარებისკენ.

მომავალი სპეციალისტების პროფესიული განვითარება ნიშნავს:

- სწავლების პროცესში სტუდენტის პროფესიისადმი შემეცნებითი ინტერესებისა და მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას;
- შემოქმედებითი დამოუკიდებლობის, შემდგომი განვითარების მყარი ტენდენციების ჩამოყალიბებას, ყველა მისი კომპონენტის: სამოტივაციო, ფასეულობითი, კოგნიტიური, კომუნიკაციური და კრეატიულ-შემოქმედებითის გათვალისწინებით.

ეფექტურად ორგანიზებული სასწავლო პროცესი ერთმანეთს უკავშირებს აკადემიურ სწავლებასა და პრაქტიკული, პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, ცოდნის გამოყენების უნარს. ტელერეჟისურისთვის ეს არის მრავალსპექტიანი ინდივიდუალური და კოლექტიური საქმიანობა:

- თეორიული ცოდნის კონსოლიდაცია;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტრუქტურისა და ორგანიზაციის ფორმის თავისებურებების აღქმა;
- საწარმოო ამოცანის შესაბამისი მხატვრული და ტექნიკური საშუალებებით ავტორთა ჯგუფში მონაწილეობა;
- სარედაქციო მასალების მიმოხილვა შემოქმედებითი მოცულობისა და წარმოების თვალსაზრისით;
- ტექსტის ვიზუალური სიმბოლოებით წარმოსახვა, პრაქტიკული გადაწყვეტა;
- პრაქტიკაში საკუთარი კომპეტენციების ჩარჩოს განსაზღვრა;
- მრავალმხრივ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქმიანობაში, სატელევიზიო პუბლიკაციების წარმოებისა და გავრცელების პროცესში მონაწილეობა.

შემოქმედებითი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სივრცე კომპლექსურია, რაც სწავლების მრავალფეროვანი ამოცანებით არის განპირობებული. განათლების მოდელი ერთდროულად მოიცავს მხატვრულ თეორიასა და თეორიის სპეციფიკურ შემოქმედებით პრაქტიკას. სახელოვნებო დარგის ინსტრუმენტული ტაქტიკის გადმოსაცემად, ერთმანეთს უნდა შეეთავსოს სახვითი ხელოვნების ზოგადი პანორამა - ფრაგმენტაცია, შემოქმედების თეორიულად განზოგადებული გამოცდილება და ყოველდღიური სენსორული პრაქტიკა.

I თავი

ცოდნის გავრცელება - თანამედროვე ტელევიზიის აქტუალური

საკომუნიკაციო სტრატეგია

XX საუკუნეში მსოფლიო კულტურას ტელევიზია შეუერთდა, როგორც რთული სოციალურ-კულტურული ფენომენი, როგორც ტექნოლოგიური პროგრესისა და ეპოქის ინტელექტუალური ასაკის მაჩვენებელი. სატელევიზიო პროგრამების აღქმის სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო, „ელექტრონულმა შუამავალმა“ იოლად ჩართო მაყურებელი სამყაროზე დაკვირვების, თანაგანცდის, რეალობის ანალიზის პროცესში და უდავოდ აიღო პასუხისმგებლობა აუდიტორიის მხატვრული გემოვნების, სულიერი და მატერიალური ფასეულობების ჩამოყალიბებაზე.

აუდიოვიზუალური ხელოვნების მამოძრავებელი ძალა სამეცნიერო, ტექნოლოგიური პროგრესია, ინფორმირებისა და სატელეკომუნიკაციო ინსტრუმენტული პალიტრა, რომელიც გამიზნული, კონცეპტუალური ზემოქმედებით ქმნის ახალ სოციალურ სტრუქტურას. ტექნოლოგიური პროგრესი ცვლის და ავითარებს მაყურებელზე ზემოქმედების ესთეტიკურ და საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რასაც ახლავს სატელევიზიო კადრების თანამედროვე ცოდნით მომზადების სტიმულირება. სატელევიზიო დარგის პერსპექტივა პირდაპირ დამოკიდებულია როგორც მომავალ ავტორთა პროფესიულ დახელოვნებაზე, ასევე მათ მსოფლმხედველობაზე, სამყაროს ინტერპრეტაციაზე, იდეებისა და მრწამსის ურთიერთ შეთანხმებაზე.

მხატვრული კულტურის სუბსიდირება, სახელოვნებო განათლება შეუძლებელია ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის გარეშე. პედაგოგიური ზემოქმედება სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური კომპონენტებით ორგანიზებული მოდელია, რომელთა ინტერაქციის შედეგად ინდივიდი, შემოქმედებით სპეციალისტად ყალიბდება. შემოქმედებითი სკოლის სტუდენტი პროფესიული წინსვლის პროცესში ირჩევს მხატვრული აზროვნების პრინციპებს და ინდივიდის შემოქმედებითი თავისუფლების მოცულობაში ვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული განათლება, როგორც სამყაროს ტრანსფორმაციის უნარი, ფუნდამენტური სოციალურ-კულტურული ღირებულებაა, რომელიც მხატვრული ნიშნების საშუალებით ავრცელებს

ადამიანური მიზანმიმართულების აქტუალურ პრინციპებს. შედეგი მიღწეულია, თუკი ღირებულება საზოგადოებრივ ცნობიერებაში აღიქმება, როგორც იდალური, ან პრაქტიკული მნიშვნელობის სარგებელი, ბადას მისი მიღწევის, ფლობის სურვილს და სოციუმის გარკვეული მიმართულებით მოქმედებაში გამოიხატება.

აუდიოვიზუალური სპეციალობების თეორიული და პრაქტიკული სწავლების პერმანენტული სრულყოფა გარდაუვალია ელექტრონული მედიის მუდმივად ცვალებადი ტენდენციების გათვალისწინებით. სწავლების პროცესმა უნდა ასახოს როგორც სატელევიზიო ტექნოლოგიების ახალი მიღწევები, ტელეგადაცემების მომზადების თანამედროვე საშუალებები, ასევე ვიდეოკონტენტის გავრცელების ტრადიციული და გლობალურ ქსელში შერწყმული ინტერნეტ-სოციალური პლატფორმა. იცვლება არა მხოლოდ სატელევიზიო პუბლიკაციის, არამედ აუდიტორიასთან ურთიერთობის შინაარსიცა და ფორმაც.

„სად გაქრა მაყურებელი?“ - კითხულობს ამერიკელი ტელეწამყვანი, RBS-ის ჟურნალისტი ტერენს სმიტი და იქვე მოყავს სტატისტიკური მაჩვენებელი: „თუ რამდენიმე წლის წინ საინფორმაციო პროგრამების საეთერო დროს ჩართული იყო ტელევიზორების 75%, ახლა ეს ციფრი 44-ით შემცირდა და დღითი დღე უფრო მცირდება“.¹

თემა, უკვე რამდენიმე წელია, ცხარე დებატების საგანია. ძნელი სათქმელია, რა ფორმას მიიღებს ახალი ამბების წარმოება ხვალ. მაყურებლისთვის ინფორმაციის წყაროს აღარ წარმოადგენს ოფიციალური მაუწყებელი. ტელევიზიას პირველობა ინტერნეტმა ჩამოართვა.

„საინფორმაციო ტელეგადაცემების მაყურებლის კლება გარდაუვალია, რადგან ახალი ამბები ვრცელდება სადღეღამისო რადიოსადგურებით, ინტერნეტით, ადგილობრივი საკაბელო არხებით, და ეს ყველაფერი ხდება ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ნაციონალური ტელევიზიის წამყვანი გაიღიმებს და მიესალმება აუდიტორიას. ტელემაუწყებლობამ ფეხი ვერ აუწყო ტექნოლოგიურ მიღწევებს. მისი საკომუნიკაციო მანერა მოძველებულია“.²

ვებსაიტების მომხმარებელს საშუალება აქვს, ხელსაყრელ დროს ჩამოტვირთოს, მისთვის სანდო წყაროში გადაამოწმოს პირადად მისთვის საინტერესო ინფორმაცია. გამონაკლისია აუდიტორიის

¹Smitt T.White T.,Writing,*Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.460.

²Rizer D.White T.,Writing,*Reorting and Pproducing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.460.

ის ნაწილი, რომელსაც არა აქვს ინტერნეტი და საკაბელო ტელევიზია. თუმცა, მათი რაოდენობაც ყოველდღიურად კლებულობს. „CBS, ABC, NBC-ის საინფორმაციო პროგრამების შეუზღუდავი დაფინანსება, კარგა ხანია, ისტორიას ჩაბარდა. აღარ არიან „ახალ ამბებში“ რეკლამის განთავსების მსურველებიც. თანხების არარსებობის გამო ქსელებმა დახურეს ნაციონალური და საერთაშორისო წარმომადგენლობები. მცირდება კორესპოდენტებისა და საინფორმაციო სამსახურის შტატები. ჟურნალისტების დიდი ნაწილი თავისი სურვილით უარს ამბობს სატელევიზიო კარიერაზე და პროფესიულ გზას ინტერნეტ გვერდებზე აგრძელებს. კომერციული, კერძო სამაუწყებლო არხებიც აუქმებენ ახალი ამბების გამოშვებებს არარენტაბელურობის გამო“.¹

დარგის ანალიტიკოსები თვლიან, რომ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გათვალისწინებით, შერეულ ტელემაუწყებლობაში „ახალი ამბების“ მიწოდებას აზრი აღარ აქვს. ისინი კონკურენციას ვერ უწევენ ინტერნეტს, რადიოს, CNN-ისა და BBC-ის ოცდაოთხსაათიან, სრულად საინფორმაციო არხებს. გადაცემებსა და ფილმებს შორის განთავსებული NEWS-ები დაგვიანებულია და მხოლოდ მაუწყებლის პოლიტიკურ ან ფინანსურ ინტერესებს ასახავს.

ტექნიკური პროგრესისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებებით ინფორმაციის სწრაფად მიწოდება არსებული რეალობის ერთადერთი მიზეზი არ არის. „რატომ აღარ ჰყავს მაყურებელი საეთერო ახალ ამბებს? როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ მათ მეოთხე ხელისუფლების მიმართ მძიმე ბრალდებები დაუგროვდათ, და ერთ-ერთი მათგანი ჩვეულებრივი უნდობლობაა“.²

შეტყობინება, რომელიც მიზანმიმართულ ინტერპრეტაციას განიცდის, რეალობის მცდარ სურათს ხატავს და საინფორმაციო მანიპულაციებში გაუცნობიერებელ მაყურებელს ცალსახად აღქმისა და გააზრებისკენ უბიძგებს, პროპაგანდაა და არა დაბალანსებული ჟურნალისტიკა. ამ თემაზე ბევრს წერენ ამერიკელი ჟურნალისტები. საჯაროდ გამოქვეყნებულ ნაშრომებში მანიპულაციის პროფესიულ საიდუმლოს უზიარებენ ხალხს. ისინი ურჩევენ მაყურებელს - რადგან საზოგადოებას ხანდახან მაინც უწევს ტელევიზორის ყურება - შეხედონ ეკრანს, როგორც თვალისა და ყურის სავარჯიშოს, როგორც სახალისო ინტელექტუალურ თამაშს და მახვილგონიერებით გამოავლინონ ინფორმაციის სტრატეგიული მიზნები.

¹White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.460.

²Goldberg B.White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.368.

„სტრატეგიულ თამაშს“ მაყურებლისთვის სახელმძღვანელო, განმარტებითი ლიტერატურაც ახლავს, სადაც კლასიფიცირებულია საინფორმაციო მანიპულაციის ხერხები, ისინი სათითაოდ ადწერილი და პირობითი სახელებიც აქვთ. მაგალითად - „შხამიანი სენდვიჩი“, „ფსიქოლოგიური შოკი“, „შემოვლა ფლანგიდან“, „საინფორმაციო ტალღა“, „საინფორმაციო ბლოკადა“ და ასე შემდეგ - მოიერიშე ტექნოლოგიების სია გრძელდება. მასობრივი პროპაგანდისტული შეტევის მიზანია მიუთითოს საზოგადოებას – რაზე აქვს საფიქრალი. ინფორმაციის მიზანდასახული გადარჩევით შექმნას პრობლემა, „თემატური დომინანტი“.

„ფაქტოლოგიურმა ფილმმა უნდა აჩვენოს ყველა, ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა და არა მხოლოდ ავტორის სუბიექტური ვერსიის მოდელირებული ქრონიკა. ასეთ სტილში გადაღებული სიუჟეტი პროპაგანდაა და ტოტალიტარული რეჟიმის ვიზუალური ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. პროპაგანდაა, რადგან გრძელი ნახტომებით წარდგენის მიღმა ტოვებს კონფლიქტის განვითარების მნიშვნელოვან ფაზებს და რეალურ ამბავთან შეხების წერტილები პრიმიტიულ, სასურველ, სქემამდეა დაყვანილი. პროფესიული ტერმინოლოგიით ამას „კენგურუს ნახტომი“ ანუ „კენგურუს სამართალი“ ჰქვია“. ¹ „არავითარი აზრი არა აქვს დაფინანსდეს ძვირადღირებული სატელევიზიო წარმოება, თუ ის საზოგადოების მცირერიცხოვან ჯგუფებს მოემსახურება“. ²

„ჟურნალისტები თავს უფლებას აძლევენ პოლიტიკური დაკვეთის ან პირადი შეხედულებების მიხედვით ააგონ რეპორტაჟის ტექსტი, სტრუქტურა, მიზნობრივად შეარჩიონ გამოსახულება და დამზადებული ინფორმაციით სოციალური მბრძანებლის როლში მოველინონ საზოგადოებას“. ³ თუმცა, „ამ ინფორმაციის ნაწილი ნამდვილად საინტერესოა, მაგალითად, ამინდის პროგნოზი - მოწვიმს ხვალ თუ არა; დანარჩენს ერთი სახელი აქვს, ყველა დამახასიათებელი სიმპტომიდან გამომდინარე - წმინდა წყლის პროპაგანდა“. ⁴

ჟურნალისტური მოღვაწეობის 40 წლისთავზე, საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ესეისტად აღიარებულმა, CBS New-ის ჟურნალისტმა, ერიკ სივერეიდმა, კოლეგებს მიმართა - „ჟურნალისტური მოვალეობები და ვალდებულება აუდიტორიის მიმართ ჩემთვის წესებად არავის

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.64.

²UNESCO., *Служба общественного вещания:Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005 გვ.173

³Goldberg B.White T., *Writing, reorting and producing*, NY, Fokal Press,2007 გვ.368.

⁴Крисбаум К. *Правительство как агент по связи с общественностью*.<http://www.ref.by/refs/68/15694/1.html> გვ.24

დაუწერია. მათ ჩემს თავს თვითონ ვუწესებდი. აი, რამდენიმე მათგანი: აბუჩად ნუ აიგდებთ მაყურებლის გონებრივ მონაცემებს და სწორად შეაფასეთ მათი ინფორმირებულობა. თქვენ მაუწყებლობთ არა ცარიელ სივრცეში, არამედ ინტელექტუალურ და ემოციურ სამყაროში, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ აუდიტორია ერთ ადამიანს ნიშნავს. მიკერძოებული და უმეცარი რეპორტაჟის ფლანგის მეორე მხარეს მაყურებლის უმეცარი და მიკერძოებული აღქმა დგას“.¹

საინფორმაციო სტრატეგიის დაგეგმვის ავტორიტეტული პრაქტიკოსები აღიარებენ, რომ ჟურნალისტიკა განსაცდელშია, რომ: „დადგა ფუნდამენტური ცვლილებების დრო, აუცილებელია ახლიდან განვსაზღვროთ ცნება „ინფორმაცია“ და ვიფიქროთ, რა სამსახურს უწევს ეს ინფორმაცია ხალხს?“²

ინფორმირებულ საზოგადოებაში აზრის სისტემური გავრცელების მანქანა შეფერხებთ მუშაობს. ნიუსების სტანდარტული მიწოდების მანერა მოქალაქეს შემფასებლის ადგილს სთავაზობს და მოვლენებში მისი თანაშემოქმედება მხოლოდ არჩევანის გაკეთებით სრულდება. ამიტომაც დამიზნებით გასროლილი სიტყვა პასიური მსმენელის ფუნქციურ ჩარჩოში ხვდება. „მცოდნე უსუსურობა“³ თვლის, რომ პრობლემა მის გარეშეც მოგვარდება და მის ძალებსაც აღემატება.

„მხოლოდ სამოქალაქო ჟურნალისტიკა ემსახურება მაყურებელს. ტელევიზია უნდა დაუახლოვდეს საზოგადოებას“.⁴

როგორ აღწერს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპებს, ამ მიმართულების პიონერი, მაიამის უნივერსიტეტის პროფესორი ედ არნოუნი.

„სამოქალაქო ჟურნალისტიკა გულისხმობს:

- პირველ რიგში, იფიქრო მაყურებელზე, როგორც მოქალაქეზე და არა, როგორც ინფორმაციის მომხმარებელზე;

¹White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.100.

²Fuy E., White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.406.

³მედია კრიტიკა მაყურებელს „მცოდნე უსუსურობად“ მოიხსენიებს Fuy E., White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.406.

⁴Fuy E. White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.406.

- გააშუქო პრობლემა არა ექსპერტების, არა ინსტიტუციონალური ან იდეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ გაერკვე, რა ჭრილში ხედავს ამ საკითხს საზოგადოება;
- გახსოვდეს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ტელევიზიის უპირველესი ამოცანაა ხელი შეუწყოს სამოქალაქო სივრცის შექმნას. ამ სივრცეში წარადგინო აქტუალური თემა და საჯარო ანალიზით დაეხმარო მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას;
- გააშუქო თემა სამოქალაქო თვალსაზრისით, ნიშნავს უპასუხო კითხვას - „რა შეგვიძლია ჩვენ, ყველას ერთად ამ პრობლემის გადასაჭრელად?“ და არა ერთ რომელიმე პიროვნებას ან თუნდაც, მცირე ჯგუფს მმართველი სტრუქტურებიდან;
- თუ ჩვენ გავმიჯნავთ ხელისუფლებისგან საზოგადოებას, როგორც ცალკე მდგომ, მტრულ დაჯგუფებას, მივიღებთ ქვეყნის მართვის წარუმატებელ, მცდარ მოდელს, როდესაც პრობლემებზე პასუხისმგებელი მხოლოდ ხელისუფლებაა. რეალობა კი ასეთია - სოციალური პროგრესი ხელისუფლების მიღმა მიიღწევა და ის თითოეული ადამიანის ცალკე და მთლიანად საზოგადოების პასუხისმგებლობისა და შრომის შედეგია“.¹

საზოგადოება, სატელევიზიო მაუწყებლობის დასაწყისშივე, სუსტი რგოლი აღმოჩნდა პროპაგანდისა და ფინანსური ინტერესების ჯაჭვში. „სოციალური პრობლემების გვერდის ავლით, ტელემყურებელი მუდმივდ დატვირთულია პოლიტიკური, თითქოს „ზოგადსაკაცობრიო“ საკითხებით. ასეთი საინფორმაციო ტაქტიკის შედეგი ყოველთვის ერთი და იგივეა: უმოქმედობა, უკეთეს შემთხვევაში, გოლგრილობა“.² ლაპარაკით დაღლილი „საზოგადოების გაუცხოება იმდენად დიდია, მთლიანად მედიისა და განსაკუთრებით, სატელევიზიო კომუნიკაციებისადმი, რომ მაუწყებლის ყველა მცდელობა, კონტაქტი აღადგინოს მაყურებელთან, აღიქმება, როგორც რეიტინგისა და ტირაჟების გაზრდის მიზნით დაგეგმილი ცინიკური სანახაობა“.³

„უიმედობა დიდი საჩუქარია მორჩილების მოყვარული ხელისუფლებისთვის, უსაფრთხოა და მხოლოდ „კულტურული დუმილითაა“ შეპყრობილი. დაიმედებული ადამიანის მისწრაფებამ, ვაითუ ხელი შეუწყოს ცვლილებებს, უკეთესისკენ სვლას“.⁴

¹Арноун Э., *Несколько слово принципах народной журналистики*, 2010 http://uapp.org/pub_interview/9828.html

²Шиллер Г., *Манипуляторы сознанием*, М, 1980 გვ.18, <http://psyfactor.org/infmanipulat2.htm>

³Fuy E. White T., *Writing, Reorting and Producing*, NY, Fokal Press, 2007 გვ.405.

⁴ფრეიერე პ., *განათლება როგორც თავისუფლების პრაქტიკა*, <http://mastsavlebeli.ge/?p=2289>

საბედნიეროდ, „ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოაქვს კომუნიკაციის ახალი საშუალებები და კომუნიკაციის საშუალებებს საზოგადოების ახალი ტიპი.“¹

ინტერნეტით სოციალურმა კომუნიკაციამ ისტორიის მამოძრავებელი ძალა შეიძინა. გუშინდელი „ეგზოტიკური სათამაშო“, დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით, მილიარდამდე მომხმარებელს ითვლის. მისი დახმარებით, მსოფლიო ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორც ადრე იყო. თუ აქამდე ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მონოპოლისტი პროფესიონალი ჟურნალისტი და მედიაპერსონები იყვნენ, ახლა ინტერნეტმა ყველა გაათანაბრა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს საკომუნიკაციო სივრცე პირადი მოსაზრებების, ამბების, შერჩეული მასალის გასაზიარებლად. მკითხველების რაოდენობით ინტერნეტმა უკვე გაასწრო ბეჭდვით მედიას. პასიური ტელემაციურების სტატუსი კი facebook-ის სტატუსმა შეცვალა.

სოციალური ქსელის თითოეული წევრი ინდივიდუალური მაუწყებელია, პირობითად, ელექტრონული მედიის მფლობელი, რომელსაც ჰყავს თავისი აუდიტორია შერჩეული მეგობრების სახით. ეცნობა ადამიანებს, მათი ფასეულობების სამყაროს, გემოვნებას, უკავშირდება თანამოაზრეებს. აქვს შეუზღუდავი საეთერო დრო, ინტერნეტის ვიდეო, ფოტო, აუდიო და ბეჭდვითი საკომუნიკაციო მასალა. პოსტის განახლებისთვის სხვადასხვა შემეცნებითი, მუსიკალური და საინფორმაციო ხასიათის გვერდები სისტემატურად აწვდიან მრავალფეროვან ინფორმაციას. სტატუსმაუწყებელი თავისი გემოვნებით, იმწუთიერი განწყობით ან, თუნდაც რაიმე მოვლენიდან გამომდინარე, აქვეყნებს შერჩეულ პუბლიკაციას, აზიარებს პირად მოსაზრებებს, შედის დიალოგში და აქვს უკუკავშირი მაყურებელთან.

„ინტერნეტმა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში აქამდე არნახული, პრინციპულად ახალი „ელექტრონული დემოკრატიის“ სივრცე“.² „ახალი საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ახალ ჰორიზონტებს ხსნის მცოდნე საზოგადოების გზაზე, რომელიც გადალახავს სოციალურ მარგინალიზაციას, იძლევა განათლებას, აიოლებს სამეცნიერო მიგნებების გაცვლას, ხელს უწყობს ხელოვნებას და კულტურათა შორის დიალოგს“.³

¹Маклюэн М., *Галактика Гутенберга*, Москва, Академический проект, 2015 გვ.57.

²Кречетников А., *"Электронная" демократия против "суверенной" Би-би-си*, Москва, 2013.
http://news.bbc.co.uk/hi/russian/russia/newsid_6279000/6279719.stm

³UNESCO., *Служба общественного вещания: Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005 გვ.179

ფორმალურად უკვე არსებობს მასმედიის ორი პოლუსი: სახელისუფლებო და კომერციული სტრუქტურების მედია - ტრადიციული სატელევიზიო მაუწყებლობა და საზოგადოების მედია - „სოციალური ქსელის“ სახით. ყველა სტატისტიკით აშკარაა, რომ მაყურებელი საკომუნიკაციოდ „სოციალურ ქსელს“ ირჩევს. ტელევიზიებს რჩება ხანშიშესული და საზოგადოების მცირე შემოსავლიანი სეგმენტი. წლიდან წლამდე მატულობს ინტერნეტის, განსაკუთრებით, „სოციალური კომუნიკაციის“ პოპულარობა. ტელევიზია ცდილობს თავისი სამსახური შესთავაზოს, დაემორჩილოს აუდიტორიის სურვილს და იმ ტექნიკურ სივრცეში გაავრცელოს საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემეცნებითი კონტენტი, სადაც მაყურებელმა გადაინაცვლა. რადგან ჯერჯერობით „სოციალური ქსელი“ უფრო მეტად საექვო ღირებულების სამოყვარულო პოსტებით მარაგდება, ტელევიზია თავის მისიას ინტერნეტკომუნიკაციით სანდო და პროფესიული სტანდარტით დამზადებული, ხარისხიანი მასალის მიწოდებაში ხედავს.

„BBC-იმ ცალკე არხი დაუთმო სამაუწყებლო სამსახურს, რომელიც ციფრულ ფორმატში საგამომცემლო ფორმით ფუნქციონირებს და პროგრამების დიდი ნაწილი მაყურებლის დაკვეთით ინტერნეტში, მობილურ ტელეფონებზე გადაიცემა. არხი არ არის შეზღუდული არც სამაუწყებლო ბადით, არც ფორმით, არც შინაარსით და ჩაფიქრებულია, როგორც თამამი ექსპერიმენტული სივრცე ახალი იდეების მოსასინჯად“.¹ დაუშვებელია სარედაქციო მიდგომა - „ჩვენ უკეთ ვიცით, რა უნდა აუდიტორიას!“ მთავარი, რაც ასეთი ურთიერთობისას ყალიბდება, არის ნდობა. მაუწყებელი აღიარებს მაყურებელთან დიალოგის მოვალეობას, არა, როგორც პიარაქციას, არამედ, როგორც საკუთარი პროფესიული საქმიანობის ნორმას.

„მაუწყებელი პერსონალურად უნდა მოემსახუროს მაყურებელს. გახდეს კვალიფიციური „პორტალი“ და მეგზურობა გაუწიოს საზოგადოებას საკომუნიკაციო სერვისებისა და შინაარსის კოლოსალური პოტენციალის მქონე ინტერნეტში“.²

სხვადასხვა სიდიდისა და ფორმატის მრავალფუნქციური ეკრანი, ყოველდღიურობის, მასობრივი კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული დომინანტური ფენომენია. „ფანჯრის პრინციპით“ მუდმივად ვიღებთ დაკვეთილ აუდიოვიზუალურ სურათს და მოთხოვნილ ინფორმაციას. „მობილური“ პირადი მოხმარების ჟურნალისტური პროცესორია, რომელიც იღებს, ამონტაჟებს, შეუძლია პირდაპირი ტრანსლაცია.

¹UNESCO., *Служба общественного вещания: Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005 გვ.181

²UNESCO., *Служба общественного вещания: Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005 გვ.181

სამოყვარულო ვიდეოს თამამად იყენებს პროფესიული ტელევიზია. ყველა სახის აუდიოვიზუალური შემოქმედების კონვერგენციას თან ახლავს მოყვარულისა და პროფესიონალი მაუწყებლის ინტეგრაცია, არა მასმედიის სხვადასხვა ფორმის კონკურენტულ ფორმატში, არამედ ურთიერთ მხარდაჭერით, თანამშრომლობის სახით.

„ჩვენ თვალწინ იცვლება თვით ცნება „ტელევიზია“. ¹ „თუკი ადრე სატელევიზიო წარმოება ძვირადღირებული სანახაობა იყო, ახლა საეთერო მასალის დიდნაწილს სტუდიის გარეთ იღებენ და ამონტაჟებენ. ინტერნეტში პუბლიკაციის გავრცელება სტანდარტული სამაუწყებლო არხების დაუხმარებლადაც შეიძლება. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ნებისმიერ მსურველს „მიაწოდეს“ მობილური კამერა და მარტივი სამონტაჟო პროგრამა, მილიონობით მაყურებელთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის. ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ დღევანდელი HDTV ტელეგამოსახულება მობილური ტელეფონებით გადაღებული დაბალი ხარისხის ვიდეოებით გაჯერდებოდა.“ ²

ტელევიზიის ფენომენი აქტუალურად გაიაზრება, როგორც სოციალური ინსტიტუტი და საზოგადოების კულტურულ საგანმანათლებლო საშუალება, როგორც საყოველთაო სიკეთის გამავრცელებელი. ერის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება არა მარტო განათლების სისტემის ამოცანაა, არამედ მედიასისტემისაც. მსოფლიოს მასშტაბით, შემეცნებითი კონცეფციის სატელევიზიო არხების რეიტინგი მართლაც დაბალია, თუმცა, ქვეყნისთვის ეს კონკურენტულ სამაუწყებლო და ცოდნისადმი პატივისცემის რეპუტაციას ქმნის, რომელიც ზრუნავს ინტელექტუალური კაპიტალის გავრცელებასა დაახალგაზრდა მედია მომხმარებლის ელიტარულ აღზრდაზე.

„საზოგადოებისთვის მაუწყებლობა - ეს არის ინფორმაციისა და განათლების მიღების ინსტრუმენტი – განკუთვნილი თითოეულისთვის და ხელმისაწვდომი ყველასთვის. მან უნდა გააღვიძოს მაყურებლის წარმოსახვა, უნდა მიაწოდოს იდეები, პირადი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და დემოკრატიული, საგანმანათლებლო, კულტურული პროცესების ასამაღლებლად“ ³

¹Пицуро К., вице-президент компании Digital News Media, Оуен Д., Миллерсон Д., *Телевизионное Производство*, Focal Press, 2012 გვ.20.

²Оуен Д.,Миллерсон Д., *Телевизионное Производство*, Focal Press, 2012 გვ.17.

³UNESCO., *Служба общественного вещания: Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005 გვ.18.

საგანმანათლებლო სატელევიზიო მაუწყებლობის ორგანიზებით განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, ფინეთი და იაპონია გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში შემეცნებითი მედიაკონტენტი მასობრივია, ხოლო შემეცნებითი სატელევიზიო არხები, როგორც განათლების გაგრძელების, უწყვეტი ცოდნის გარემო, სამართლებრივი ორგანიზაციის თვალსაზრისით - საზოგადოებრივი.

რა გადაცემებს სთავაზობენ, საზოგადოების დაკვეთით, მაუწყებლები ხალხს? პირველ რიგში, ეს არის საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროგრამები: სკოლამდელი ასაკის, სასკოლო და მოზარდი თაობისათვის. გადაცემათა ციკლი სკოლის პროგრამის სხვადასხვა საგნის დამატებითი ვიზუალური კომპონენტია. მაგალითად: „ფიზიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში“, „მეცნიერება არც ისე რთულია“, „საყოფაცხოვრებო ქიმია“. ჩანაწერები ასევე ვრცელდება კომპაქტდისკებზე და შემეცნებითი ჟურნალების სახით. მოსწავლეს ინტერნეტით შეუძლია თემაზე ტესტის შევსება, ცოდნის გადამოწმება. ავსტრალიაში „ვითამაშოთ სკოლობანა“ ყველაზე ხანგრძლივი პროგრამაა და დღეში ორჯერ გადაიცემა.

საზოგადოებრივ მაუწყებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფროსი თაობისთვის დაუსწრებელ განათლებას. ყველაზე წარმატებული პროექტი გამოდგა სასწავლო პროგრამა ფერმერებისთვის, რომელიც მთელი აზიის კონტინენტზე გადაიცემოდა და როგორც ექსპერტები ადასტურებენ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დარგის განვითარებაში.

ინდოეთში სატელევიზიო გადაცემის „საკლასო ოთახი მთლიან ქვეყნისთვის“ მომზადებაში ჩართულია „საგანმანათლებლო ინფორმაციის დამუშავების ცენტრი“, „აუდიოვიზუალური განათლების ცენტრი“ და წარმოებას კურირებს „ადამიანური რესურსების განვითარების სამინისტრო“.

ტელეკურსები ვისკონსის შტატში, საუნივერსიტეტო და ტექნიკური კოლეჯის საფეხურზე, გასცემს კურსდამთავრებულის სერტიფიკატს. იაპონიაში სატელევიზიო დაუსწრებელ სწავლებას „ეთერშია უნივერსიტეტი“, კურირებს იაპონიის განათლების სამინისტრო. კურსდამთავრებულს საუნივერსიტეტო განათლების სერტიფიკატი გადაეცემა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ფილიპინების მაგალითი. პედაგოგების არასაკმარისი კვალიფიკაციისა და ქვეყნის რთული გეოგრაფიული პირობების გამო, საზოგადოებრივი

ტელევიზიის ერთ-ერთი არხით გადაიცემა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლისთვისაც სპეციალურად დაიბეჭდა მეთოდური სახელმძღვანელოები, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. შედეგად, მთაშიც და ბარშიც მოზარდებს საშუალება აქვთ მიიღონ კვალიფიციური განათლება.

„BBC ამზადებს მოკლემეტრაჟიან ფილმებს და გადასცემს სასკოლო გაკვეთილებისთვის, დილის საათებში. ფილმებს იყენებენ ენობრივი ლექსიკის დასახვეწად, ჯგუფურად განიხილავენ სოციალური აღზრდისთვის - გააჩნია, რა თემაა წამოწეული სცენარში. ასევე ახლავს მეთოდური სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა გამოიყენო ვიდეო მიზნობრივ საგანმანათლებლო კონტექსტში. პროექტი იმდენად წარმატებულია, რომ ჩვენება სადამოს საათებშიც დაიგეგმა“.¹

აღარ შევჩერდები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგზე, რომლებსაც BBC ცალ-ცალკე სამაუწყებლო არხით აშუქებს, პოპულარიზაციისა და ცოდნის გავრცელების მიზნით. მაგალითი ბევრია.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში, ამერიკელი ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი წერდა, რომ: „ინდუსტრიული რევოლუციის პირმშო, ტრადიციული მედიის ეპოქა, რომელიც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უნივერსალურ აუდიტორიას მიმართავს, დასრულდა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, მცირე ჯგუფების, სხვადასხვა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამის, „მიკრო აუდიტორიებზე“ სპეციალიზებულ შინაარსზე ორიენტირებული მედიის დრო დგება“.² მედიის, რომლის კომუნიკაციური ამოცანაა სეგმენტური მაყურებლის დაინტერესება, ახალი ცოდნის მიწოდება, კომპეტენტური ავტორების მომზადებული შემეცნებითი პუბლიკაციებით. კვალიფიციური პროფესიონალების მონაწილეობით, სახელმწიფო და კომერციულმა მაუწყებლებმა უნდა განავითარონ საინფორმაციო და გასართობი ფორმატების ალტერნატივა, ტელევიზიის მესამე ვექტორი, სასწავლო-შემეცნებითი მიმართულება, რადგან ქვეყნის წინსვლა ერის ინტელექტუალური, პოტენციური ენერჯის სტიმულირებით, ახალი ცოდნის წარმოებითა და სწავლით, მაღალტექნოლოგიური კვალიფიკაციური უნარ-ჩვევებისა და კულტურის შექმნით მიიღწევა.

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.334.

² Тоффлер Э., *Шок будущего*, "Издательство АСТ", 2002 გვ.303.

არსებობს ვარაუდი, რომ ტელევიზიის მომავალი კომპიუტერის, მობილური მრავალფუნქციური საკომუნიკაციო გაჯეტების თანდართულ საიტებშია. მომხმარებელი, მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს, არხიდან არხზე გადასვლის ნაცვლად, პლანშეტზე აირჩევს, შემოთავაზებული კონტენტიდან მისთვის საინტერესო პუბლიკაციას. სამაუწყებლო ტექნოლოგიების ექსპერტები ჯერ ვერ აკეთებენ პროგნოზს, რა სახეს მიიღებს მომავალში ტელევიზია. ტექნიკურ კომპონენტში უკვე გამოგონილია ჰოლოგრამული ტელევიზორი, გამოსახულებაში ჩადებული სარეკლამო ინფორმაციით, რომელიც, მაგიდაზე ფურცელივით ეფინება და ვიზუალის პროექცია სივრცეში ხდება. მაყურებელი, რომელსაც ფილმის ყურების დროს დაინტერესებს, მაგალითად, პერსონაჟის მკლავზე გადადებული ჩანთა, პულტის დამიზნებით გადავა დანართზე, სადაც შეიტყობს სრულად: ბრენდს, ფაქტურას, ფერის არჩევანს და სად, რა ფასში შეძლებს ნივთის ყიდვას. ეს ნიშნავს, რომ სარეკლამო რგოლი დამოუკიდებელი სახით გაქრება. მისი დამზადების ხარჯები მთლიანად სატელევიზიო პუბლიკაციის შინაარსსა და ხარისხს მოხმარდება.

„ჩვენ ახლა ვცხოვრობთ სამაუწყებლო ტექნოლოგიების წინარევოლუციურ ხანაში. მომდევნო 15 წელიწადში ტელეარხების ბაზარს კონტენტი გამოდევნის, რომელიც მულტიმედიურ სივრცეში გავრცელდება. ეს იქნება მაუწყებლობის არსებობის განმავლობაში ყველაზე რადიკალური ცვლილება. რევოლუციური გარდაქმნები გვიახლოვდება“.¹

¹Сагалаев Э., XIV *Международный Конгресс Национальной ассоциации телерадиовещателей*, 2010, <http://www.natexpo.ru/archive/2010/conference/>

II თავი

პროფესიული ტენდენციები ტელეწარმოებაში

თანამედროვე ტელევიზიაში პროფესიული ზრდის ტენდენცია ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობების ათვისებით ხასიათდება. ერთი მხრივ, ხდება პროფესიების შეთავსება: კომპიუტერის დახმარებით, ერთი ადამიანი კრეფს და არედაქტირებს გადაცემის ტექსტს - ითავსებს ავტორისა და რედაქტორის ფუნქციას; იღებს და ამონტაჟებს გამოსახულებას - ითავსებს რეჟისორისა და მემონტაჟის ფუნქციას.

„ოდესღაც უამრავი სპეციალისტი თავის ხელობასა და ხელოვნებას ერთ რომელიმე დარგში ეუფლებოდა - როგორც ვიდეომემონტაჟე, მწერალი, კორესპონდენტი, ფოტოჟურნალისტი, გამნათებელი ან ხმის ოპერატორი. დღეს კი თანამედროვე ვიდეოჟურნალისტებსა და მთხრობელებს უწევთ ყველა ამ საქმის ერთად კეთება: იკვლევენ, აშუქებენ, წერენ სცენარებსა და ტექსტებს ინტერნეტში განსათავსებლად, განახლებენ ამ ტექსტებს, აყენებენ განათებას, იწერენ ვიდეოს, ამუშავებენ გამოსახულებასა და ხმოვან თანხლებას, ხშირად, პირდაპირ ჩართვებში თავადაც წარადგენენ ინფორმაციას. როგორც წესი, თავისი საქმის მოყვარული ვიდეოჟურნალისტის და ვიზუალური მთხრობელის მასალები არაფრით ჩამოუვარდება და ხშირად სჯობია კიდევ ძვირადღირებული და ზოგჯერ მოუქნელი გადამღები ჯგუფის ნამუშევარს“.¹

შესაბამისად, ჩნდება ახალი სპეციალობები და ძველი პერმანენტულად ქრება: დიქტორის, რედაქტორის, მთავარი რედაქტორის ადგილზე ჩნდება თოქშოუს მოდერატორის, პროდუსერის, კომპიუტერული გრაფიკოსის, მულტიმედიური რეჟისორის, მემონტაჟე-პროგრამისტის, მენეჯერისა და სხვა პროფესიები. „უნივერსალური ჟურნალისტი“, „ზურგჩანთიანი ჟურნალისტი“, „ელექტრონული ჟურნალისტი“, „ელექტრონული რეპორტიორი“, „უნივერსალური რეპორტიორი“, „ადამიანი-ორკესტრი“, „სოლოჟურნალისტი“, „ვიდეოჟურნალისტი“, „ვიდეოესეისტი“, „ვიდეო-პუბლიცისტი“, „ვიზუალური მთხრობელი“- ყოველი მათგანი აღნიშნავს ადამიანს, რომელიც

¹შუკი ფ. ლარსონი, ჯ. დეტარსიო ჯ., *სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა: ვიზუალური თხრობის გზამკვლევი*, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 გვ.44.

ამზადებს ტელეპუბლიკაციას. წერს, იღებს და ამონტაჟებს ვიდეომასალასა და ტექსტებს, ახალი ამბებისთვის, ინტერნეტის ანდა ნებისმიერი სხვა სახის საინფორმაციო საშუალებისა თუ პროგრამისათვის“.¹

თავისთავად ტელევიზიაც ფართე ცნება გახდა. საკუთარი ტელევიზიები აქვთ ინტერნეტპროვაიდერებს, რეგიონებს, ქალაქებს, დარგებს, სამეცნიერო ცენტრებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს. სამოყვარულო და პროფესიულ სტუდიებში იქმნება საგანმანათლებლო, სასწავლო, საპრეზენტაციო ფილმები. სულ უფრო პოპულარული ხდება ვიდეოარტი.

„მუდმივად ისმის კითხვა - რას მოიცავს ხშირად გაგონილი ტერმინი „ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები?“ (*New Mass Media*), როგორ განვასხვაოთ „ტელევიზია“ ახალი „მასმედიისგან?“ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება - „ტელევიზია“ ეწოდოს საეთერო ბადით მაუწყებლობას, სადაც მომწოდებელი თვითონ განსაზღვრავს, რა დროს რა პროგრამას შესთავაზებს მაყურებელს. არა აქვს მნიშვნელობა რა ფორმატით ვრცელდება სიგნალი, ან რომელ პლათფორმას იყენებს დამატებით სატელევიზიო არხი. ახალი „მასმედიის“ ვიდეოპროდუქციის ნახვა მაყურებელს, ტელევიზიისგან განსხვავებით, ნებისმიერ პლათფორმაზე, მისი სურვილის მიხედვით, ნებისმიერ დროს შეუძლია“.²

კომფორტული ინტერნეტი ტელევიზიას გაქრობას უწინასწარმეტყველებდა, თუმცა, სავარაუდოდ, ისტორია მეორდება. ასე ფიქრობდნენ თეატრზე კინოწარმოების გარიჟრაჟზე, შემდეგ კინოზე-ტელემაუწყებლობის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო პროდუქცია სეგმენტურ აუდიტორიას ნაკლებად ითვალისწინებს, ნაკლებად მორგებულია ონლაინ სერვისებზე და დღემდე საეთერო ბადით მაუწყებლობს, ბოლო დროის სტატისტიკით, ტელევიზორის მაყურებელმა იმატა. ექსპერტების აზრით, ეს არის დიდი ევრანის, გამოსახულების ხარისხის, დიდფორმატიანი ვიდეო პროდუქციის (YouTube და სხვა ინტერნეტპლატფორმები ძირითადად მოკლე ფორმატინ სამოყვარულო ვიდეოებს ავრცელებენ) და პროფესიული სტანდარტით დამზადებული პუბლიკაციების დამსახურება.

¹შუკი ფ. ლარსონი ჯ. დეტარსიო ჯ., *სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა: ვიზუალური თხრობის გზამკვლევი*, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 გვ.44.

²Оуен Д., Миллерсон Д., *Телевизионное Производство*, Focal Press, 2012 გვ.29.

„ბოლო წლებში სატელევიზიო კადრები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, როცა ერთი პროფესია საკმარისი აღარ არის და საჭიროა ტელეწარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე სპეციალობის ცოდნა. სპეციალისტები, რომლებიც ოსტატურად ასრულებენ სხვადასხვა საქმეს, ტელევიზიებში ყოველთვის იყვნენ. მაგრამ ახლა მოთხოვნა მრავალპროფილიან კადრზე საგრძნობლად გაიზარდა. მიზეზი - ტექნოლოგიური პროგრესი, წარმოების გამარტივება და შესაბამისად, შტატების შემცირებაა. ახლო მომავალში, ტელეინდუსტრიის ბევრ თანამშრომელს მოუწევს რამდენიმე სპეციალობის ცოდნა და სხვადასხვა პროფესიული უნარის ათვისება“.¹

პროფესიების შეთავსება მომიჯნავე სპეციალობების ზედაპირულ ცოდნას არ გულისხმობს. კვალიფიკაციის დაკნინება მაუწყებლობის ხარისხზე აისახება. პროფესიონალი ვალდებულია მაქსიმალურად დახელოვნდეს თავისი საქმიანობის სფეროში. პარტნიორი დარგის ცოდნა, უნარი, სრულყოფს როგორც ძირითადი, მისი წილი პროფესიის ხარისხს, ასევე ტელეპროდუქციას.

„რა მოთხოვნებს უყენებს დღევანდელი ტელევიზია პროფესიულ კადრს? პირველ რიგში, ეს არის პერმანენტულად განახლებადი ტექნოლოგიების ათვისება - სატელევიზიო წარმოება სხვაგვარად შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კომფორტული აპარატურის ფუნქციური დატვირთვა რამდენიმე ღილაკის ცოდნას მოითხოვს და ცოტა ხანში სპეციალისტს რთულ, მექანიკურ პროცესებში გარკვევა საერთოდ აღარ დასჭირდება. თუმცა, გაიგო აპარატურის მართვის პრინციპი, არ ნიშნავს სპეციალობაში დახელოვნებას. პიანისტი ინსტრუმენტისა და კლავიატურის ცოდნით მხოლოდ იწყება. მთავარია, ნოტის მუსიკალურად შესრულება“.²


ციფრულ ტექნოლოგიებზე შემსრულებული ტელესპეციალისტების გუნდია, რომელშიც რეჟისორი გუნდის კოორდინატორი, შემოქმედებითი გარემოს ავტორია.

„კარგი გუნდი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აპარატურა. გუნდზეა დამოკიდებული პროექტის წარმატებაც და მარცხიც. გამოცდილი პროფესიონალები მოსაწყენ სანახაობასაც ეფექტურად მოყვებიან, საშუალო კვალიფიკაციის გასართობს მდორედ“.³

¹Уорд П., Бермингэм А., Уэрри К., *Совмещение профессий на телевизионном производстве*, Focal Press, 2013 გვ.16

²Уорд П., Бермингэм А., Уэрри К., *Совмещениепрофессий на телевизионном производстве*, Focal Press, 2013 გვ.16

³Д.,Миллерсон Д., *Телевизионное Производство*, Focal Press, 2012 გვ.34.



გადამღები ჯგუფის სტანდარტული ფუნქციური სქემა¹

ყველაფერი გამარტივდა. გამარტივდა სტუდია, სტუდიის ტექნიკური დიზაინი - კამერები, განათება, ხმის ჩამწერი აპარატურა, მათი მართვა-ექსპლოატაცია; პირდაპირი ჩართვები, სხვადასხვა სანახაობის ტრანსლაცია, გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება, მაუწყებლობის ქსელებზე წვდომა. გართულდა მაყურებლის მოპოვება, მისი დაინტერესება და სატელევიზიო პერსონალის პროფესიული კომპეტენციის საკითხი. კოლოსალური შესაძლებლობების გონიერ ინსტრუმენტებს ჭირდებათ მოცულობითი ცოდნის მომხმარებელი.

ტრადიციული ეკრანული ხელოვნების პარალელურად ვითარდება მულტიმედიური აუდიოვიზუალური რეჟისურა, როგორც დინამიკური მხატვრული გარემო, ახალი ინტერაქტიული შემოქმედების ასპარეზი, რაც ხელს უწყობს ეკრანის ტექნიკური თუ ესთეტიკური, გამომსახველობითი საშუალებების ექსპერიმენტულ განვითარებას. ხარისხიანი მულტიმედიური პროდუქტის შესაქმნელად, რეჟისორმა უნდა იცოდეს კომპიუტერული მონტაჟი, კომპიუტერული გრაფიკასა და ანიმაციის ინსტრუმენტები, ესმოდეს პროგრამირება, ხმისა და ვიდეოს ციფრული რესურსი. წარმოების გაიაფებამ და გავრცელების არხებმა გახსნეს თვითგამოხატვის პერსპექტივა ყველა მხატვრულად მოაზროვნე, შემოქმედი ახალგაზრდისთვის.

დეცენტრალიზებულ ციფრულ წარმოებაში მატულობს რეჟისორების გარშემო თავმოყრილი დამოუკიდებელი, შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც საავტორო ვიდეოს ავრცელებენ და

¹Оуен Д., Миллерсон Д., Телевизионное Производство, Focal Press, 2012 გვ.36.

ბევრად უფრო ინდივიდუალურ, ორიგინალურ პროდუქციას გვპირდებიან. კოლოსალური შესაძლებლობების ინტერნეტი ჯერ ისევ ფორმირების პროცესშია, თუმცა ნოვატორული რეჟისორული პროექტების ასპარეზი უკვე ღიაა.

„მოსალოდნელია, რომ ტელევიზორი და კომპიუტერი საყოფაცხოვრებო მოხმარების ერთი ნივთი გახდეს. ამ ორი მედიის შერწყმამ პერსპექტივები გახსნა ვიზუალური დარგის სპეციალისტებისთვის. შესაძლებლობების სპექტრი თავბრუდამხვევია. ვიდეოწარმოების დაბალი ფასი, კომპიუტერული პროგრამების მოქნილობა მომხიბლავია. რაც უცვლელი რჩება - კინოგრამატიკა და წარმოების მართვის ეტაპებია. ტექნოლოგია ინსტრუმენტია და არა ჯადოსნური ლამპარი. დამწყები რეჟისორები სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ცოდნა თავიანთი ინტერესებისთვის, რომლის ძირითადი ნაწილი არასდროს შეიცვლება“.¹

ტექნოლოგიების განვითარებამ „ჰუმანიტარული“ და „ტექნიკური“ მეცნიერებები ერთმანეთს დაუახლოვა. ჰუმანიტარული საქმიანობა შეუძლებელია ტექნოლოგიების გარეშე და, პირიქით. სპეციალიზაცია ახლა ერთ სპეციალობასთან დაკავშირებულ რამდენიმე კომპეტენციის ათვისებას ნიშნავს. „საამისოდ უნდა გამოკვეთოთ და კონცენტრირება მოახდინოთ იმაზე, რაც ყველაზე უკეთ გამოგდით და ყველაზე მეტად მოგწონთ, დანარჩენი უნარები კი გზადაგზა განვიითაროთ“.²

„ინტერდისციპლინარული სპეციალისტების“ მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, სხვადასხვა ქვეყანაში, უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლები სტუდენტებს სთავაზობენ პროგრამებს ორმაგი ან სამმაგი სპეციალიზაციით. ასევე დამატებით კურსებს, საქმიანობის განმავითარებელ ვორქშოფებს. ცვლილებები აშკარაა, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვს მოქმედ სპეციალისტებსა და ამჟამინდელ სტუდენტებზე, მათი სწავლების სტილზე, პროფესიული დახელოვნების სტრატეგიებზე.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ უახლოეს ათწლეულში, „მომავლის იდეალური პროფესიონალი“ უნდა იყოს არა მხოლოდ ფართე პროფილური განათლების, არამედ მას უნდა ჰქონდეს:

- რამდენიმე უცხო ენისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა;

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.334.

² შუკი ფ. ლარსონი ჯ. დეტარსიო ჯ., *სატელევიზიო რეჟორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა: ვიზუალური თხრობის გზამკვლევი*, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 გვ.50.

- დისტანციურად მუშაობის უნარი;
- მოცულობით ინფორმაციაზე მუშაობის უნარი;
- სპეციალობების შეთავსების უნარი;
- პროფესიულ ცვლილებებთან ადაპტირების უნარი;
- შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
- მოქნილი კომუნიკაციური უნარი;
- თანამშრომლობის უნარი;
- კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და გადაადგილების მზაობა;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და პროფესიული დახელოვნების სურვილი.

III თავი

თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების მიმოხილვა მეთოდის კონტექსტში

„მოდულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა ტრადიციულად, სასწავლო კურსის შინაარსის განსაზღვრით იწყებოდა. მასწავლებლები ღებულობდნენ გადაწყვეტილებას შინაარსზე, რომლის სწავლებასაც აპირებდნენ არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და გეგმავდნენ, როგორ უნდა ესწავლებინათ და შეეფასებინათ შინაარსი. მიდგომის ეს ტიპი ფოკუსირებული იყო, ერთი მხრივ, მასწავლებლის რესურსზე - წვლილზე, ხოლო შეფასების მხრივ, სტუდენტის მიერ შინაარსის ათვისებაზე. კურსის აღწერებში ძირითადად წარმოდგენილი იყო ლექციებზე განსახილველი თემატიკა. სწავლების ეს ტიპი მასწავლებელზე ორიენტირებულ მიდგომის სახელწოდებითაა ცნობილი. ლიტერატურაში, მიდგომის აღნიშნული ტიპის კრიტიკისას, მიუთითებენ(Gosling and Moon, 2001), რომ რთულია ზუსტად იმის განსაზღვრა რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა მოდულის ან პროგრამის ჩასაბარებლად?

განათლებაში არსებული საერთაშორისო ტენდენცია გვიჩვენებს, რომ ტრადიციული, „მასწავლებელზე ორიენტირებული“ მიდგომიდან „სტუდენტზე ორიენტირებულ“ მიდგომაზე ხდება გადასვლა. ეს ალტერნატიული მოდელი ფოკუსირებულია იმაზე, თუ რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს მოდულის ან პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვეულებრივ, ამ მიდგომას შედეგზე დაფუძნებულს უწოდებენ. განაცხადი „დაგეგმილი სწავლის შედეგების“ შესახებ, რომელსაც მოკლედ „სწავლის შედეგებსაც“ უწოდებენ, გამოიყენება მოლოდინის აღწერისთვის ანუ, რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ“.¹

რისი გაკეთება უნდა შეძლოს ტელერეჟირმა სწავლის დასრულების შემდეგ პროფესიულ გარემოში? რეჟისორის თანამდებობრივი მოვალეობები სტანდარტულ ტელეწარმოებაში ასეა აღწერილი:

- რეჟისორი პროგრამული ბადის შეუფერხებლად, მხატვრულად და ტექნიკურად ამზადებს თემატურ გადაცემებს;
- მონაწილეობს სარედაქციო პროგრამული სტრატეგიის შემუშავება-დაგეგმვაში;

¹კენედი დ., *სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა. პრაქტიკული სახელმძღვანელო*, 2006 გვ.9.

- უზრუნველყოფს პროგრამების წარმოების პროცესს;
- უზრუნველყოფს სატელევიზიო პროგრამებს შესაბამისი ტექნიკური კომპლექტაციით;
- შემოქმედებითად ეხმარება საავტორო ჯგუფს სცენარზე მუშაობისას;
- წერს ავტორის იდეის ადეკვატური ინტერპრეტაციის სარეჟისორო სცენარს;
- დამდგმელ მხატვართან, გრაფიკოსთან, ოპერატორთან ერთად განსაზღვრავს პროგრამის ვიზუალურ გადაწყვეტას: ამტკიცებს ესკიზებს, პასუხისმგებელია შესრულების ხარისხზე;
- მონაწილეობს გადაცემის ხმოვან და მუსიკალურ გაფორმებაში;
- არჩევს და დასამტკიცებლად წარადგენს მონაწილეთა პერსონალურ შემადგენლობას და შემსრულებელთა ჯგუფს;
- შემოქმედებით ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს პროექტის წარმოების კალენდარულ გეგმას და ხარჯთაღრიცხვას;
- პასუხისმგებელია საწარმოო ვადებზე, პროგრამის საეთეროდ დასრულებაზე, ფინანსურ რესურსზე;
- ხელმძღვანელობს წარმოების პროცესს, შემოქმედებით ჯგუფსა და ტექნიკურ პერსონალს.

„კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების მქონე პირთა შრომის ბაზარზე ჭარბი მიწოდება, თუმცა, დამსაქმებლებს შორის არსებობს უკმაყოფილება დაქირავებულების კომპეტენციებთან დაკავშირებით“.¹

დემინგის² ციკლი პროდუქტისა და წარმოების გაუმჯობესების მუდმივად წრეზე მოძრავი სტრუქტურაა, რომელსაც პროცესი ხარისხისკენ მიჰყავს. დახელოვნების მოდელი ასახავს „ცოდნის შექმნის დინამიკურ პროცესს“: ჯერ ჩვენ ვიღებთ სავარაუდო ცოდნას, შემდეგ ვცდილობთ მის პრაქტიკაში გამოყენებას, შედეგს ვამოწმებთ, ვაანალიზებთ და კორექტირებას ვუკეთებთ ძველ ცოდნას.

ციკლური წრე 4, ხარისხისკენ მამოძრავებელი ელემენტისგან შედგება:

¹აკადემიური პროგრამების შედგენისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში., Centar for Social Sciences., ფონდი ღია საზოგადოება საქართველო., თბილისი, 2015 გვ.8.

²უილიამ ედვანს დემინგი - ამერიკელი მეცნიერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. დემინგმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, როგორც ღრმა ცოდნის თეორიის ავტორმა, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო უწოდებს შუჰარტ-დემინგის ციკლს [PDSA ან PDCA]


1.დაგეგმვა - მოქმედებების დაგეგმვა უკეთესი შედეგის მისაღებად. საჭიროა რეალური მდგომარეობის ანალიზი, ინფორმაცია გაუმჯობესების პოტენციალის შესახებ და დაგეგმილი კონცეფციის შემუშავება;

Plan – დაგეგმვა

Do - კეთება

Check - შემოწმება

Act -მოქმედება



PDCA -გაუმჯობესების თანმიმდევრული ეტაპების უწყვეტი, მრავალჯერადი პროცესი.

2.კეთება - Do - ნაბიჯი ნიშნავს, ერთი ციკლისთვის დაგეგმილი კონცეფციის აპრობაციას, სწრაფად რეალიზებადი მარტივი ინსტრუმენტებით და არა სრული პროცესის დასრულებას. ფრთხილად უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმისთვის, რომ ნახოთ, სწორად მოძრაობთ თუ არა.

3.შემოწმება - მცირე პროცესში განხორციელებული შედეგის მონიტორინგი, ანალიზი, გაუმჯობესების მომდევნო გადაადგილების მიზნით. თუ რამე არასწორად მიდის, უნდა გასწორდეს. როდესაც ქმედებები ხორციელდება კორექტივების გათვალისწინებით, მიმდინარეობს სწავლის პროცესი - შეცდომები და შესწორებები. შესაძლოა, რამდენჯერმე გახდეს აუცილებელი Do – „კონტროლის“ გავლა, სანამ არ მიიღება დამაკმაყოფილებელი შედეგი. შემდეგ შეიძლება ფინალურ ეტაპზე გადასვლა.

4.მოქმედება - გამოცდილებით მიღებული ცოდნის დანერგვა, რეგულარული კონტროლი. შემდგომი გაუმჯობესება იწყება ისევ დაგეგმვის ეტაპით. ციკლი პერმანენტულად მეორდება სასურველ შედეგამდე.

დემინგის განმარტებით, ციკლი დაყვანილია მოქმედებების მარტივ, ლოგიკურ თანმიმდევრობამდე. აუცილებელია აქტივობის დაგეგმვა, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. შემდეგ, მკაფიო კრიტერიუმებით განსაზღვრა, რამდენად წარმატებით შესრულდა სამუშაო. შემდეგ, შედეგის ანალიზი და ცვლილებების შეტანა საქმეში ან

სპეციფიკაციებში. ციკლი კვლავ და კვლავ უნდა განმეორდეს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოგენილი ტელერეჟისურის პრაქტიკული შესწავლის მეთოდი, სრულად იზიარებს დემინგის დახელოვნების მოდელს, რომელიც ცოდნის შექმნის დინამიკური პროცესით არის შესაძლებელი. პროფესიული სტანდარტით დამზადებული ტელეკომუნიკაცია, ციკლური განვითარების მიზანია, რომელიც, თეორიის პრაქტიკული ათვისებით, როგორც სწავლის შედეგი, უნდა მიიღოს თითოეულმა სტუდენტმა. ტელეკომუნიკაცია სრული საწარმოო ციკლით დამზადებული(გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება) ვიდეო რეპრეზენტაციაა სალექციო თემის(თეორიის ანუ მიახლოებული ცოდნის), რომელიც ავტორმა ევრანული ფორმით უნდა გამოხატოს.

„რეპრეზენტაცია არის მენტალური გამოცდილების ორგანიზების განსაკუთრებული ფორმა ინდივიდუალური ვარაუდის სახით (თუ როგორ ხედავს ადამიანის გონება კონკრეტულ მოვლენას დროის კონკრეტულ მომენტში). საქმე არა იმდენად ცოდნაში ან მისი შენახვის ფორმაშია, რამდენადაც რეპრეზენტაციული მექანიზმების მოქმედების თავისებურებაში, რადგან არსებული ცოდნის (რა ხარისხის სისრულისა და ორგანიზებულობისაც უნდა იყოს ის) გამოყენება მორიგ კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც არის ორგანიზებული ამ სიტუაციის აქტუალური გონებრივი (მენტალური) გამოსახულება. რეპრეზენტაცია პასუხობს ორ საბაზისო მოთხოვნას. პირველია თვით სუბიექტის აგებული მენტალური კონსტრუქცია, რომელიც ყალიბდება გარე კონტექსტისა (გარედან შემოსული ინფორმაცია) და შიდა კონტექსტის (სუბიექტის ცოდნა) საფუძველზე, გამოცდილების რეორგანიზაციის ისეთი მექანიზმების ჩართვით, როგორიცაა: კატეგორიზაცია, დიფერენციაცია, ტრანსფორმაცია, მოლოდინი, ინფორმაციის გადატანა გამოცდილების ერთი მოდალობიდან¹ მეორეში, მისი სელექცია და ა.შ.. მეორეა – რეალური სამყაროს წარმოსახვითი ფრაგმენტის ობიექტური კანონზომიერებების ინვარიანტული აღდგენა. საუბარია ობიექტივირებული რეპრეზენტაციის აგებაზე, რომელიც გამოირჩევა ობიექტზე ორიენტირებულობითა და ამავე ობიექტის ლოგიკისადმი დაქვემდებარებით“.²

¹ მოდალობა - გამოიყენება შემეცნებით პროცესებში, ინფორმაციის მიღების სახეობა, გრძნობათა ორგანოებთან და შეგრძნებებთან მიმართებაში (როგორიცაა მხედველობა, სმენა, შეგრძნება, კინესთეტიკა და სხვა).

²Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ 102,103.

მეთოდი არ ანაცვლებს სატელევიზიო რეჟისურის სწავლების არსებულ მოდელს. პროფესიულად მოდელირებულ გარემოში ის მხოლოდ ცვლის მსმენელი სტუდენტის სტატუსს რეჟისორის, თემის აქტიური ინტერპრეტატორის, სტატუსზე. „საქმე არა იმდენად ცოდნაში ან მისი შენახვის ფორმაშია“, რამდენადაც რეპრეზენტაციული მექანიზმების ამუშავებაში, სარეჟისორო საქმიანობით მოქმედების ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენაში. მთავარია, პროფესიის შესაფერისი ქცევით, შეცდომებითა და კორექტირებით, დიფერენციაციითა და ტრანსფორმაციით, როგორ გადავა სტუდენტი გამოცდილების ერთი მოდალობიდან მეორეში. რამდენად შეძლებს თვითიდენტიფიკაციას ახლანდელ რეალურსა და მომავალ იდეალურ, ჭეშმარიტი პროფესიონალის მოდელს შორის. შემოქმედებითი გამბედაობა, სტუდენტის მზადყოფნა და უნარი, განიხილება, როგორც პროფესიონალად ჩამოყალიბების მთლიანი პროცესი.

„მოწიფული ინტელექტის სტრუქტურაში ინფორმაციის გადამუშავება ერთდროულად მიმდინარეობს, სულ მცირე, გამოცდილების სამი ძირითადი მოდალობის სისტემაში:

- ნიშნის (ინფორმაციის კოდირების ზეპირსიტყვიერი უნარი);
- გამოსახულების (ინფორმაციის კოდირების ვიზუალურ-სივრცული უნარი);
- გრძნობითი შთაბეჭდილების, სადაც დომინირებს ტაქტილურ-შეგრძნებითი შთაბეჭდილებები (ინფორმაციის კოდირების სენსორულ-გრძნობითი უნარი).

როდესაც რაიმეს ვიგებთ, ამას სიტყვიერად განვსაზღვრავთ, გონებით ვხედავთ და ვგრძნობთ. სწავლების პროცესი, რომელიც ინტელექტუალური ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად სიტყვებს (ნიშნებს, სიმბოლოებს) მიიჩნევს, ყურადღების მიღმა ტოვებს დანარჩენი ორის საკვანძო მნიშვნელობას. ამასთან ქმედითი (და, შესაბამისად, სენსორულ-გრძნობითი) და ვიზუალურ-სივრცული გამოცდილების ჩართვისა და შესაბამისი ორგანიზაციის გარეშე, სიმბოლოებისა და ნიშნების (მათ შორის, ცნებების განსაზღვრის) სრუფასოვანი ათვისება რთულია. ენობრივი „კოდი“ ფუჭად მუშაობს და სამყაროს შესახებ წარმოდგენას მხოლოდ ზედაპირულად ეხება“.¹

მეთოდში, დემინგის სრული პროცესის შემადგენელ მარტივ კომპონენტებად დაშლის გათვალისწინებით, ვიდეო რეპრეზენტაციისთვის, პროფესიული ამოცანა დანაწილებულია გამარტივებულ, ხუთ საფეხურად:

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.123.

1. ხმისა და გამოსახულების შეთანხმება;
2. დამონტაჟებული ვიდეოს ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით გაფორმება;
3. ტიტრებითა და ვიდეოეფექტებით დამონტაჟებული ვიდეოს მუსიკალური გაფორმება;
4. ჯგუფური წარმოების მართვა;
5. თეორიული თემის, როგორც ინფორმაციული ტექსტის, სახვითი გადაწყვეტა, ფოკუს აუდიტორიის და გავრცელების არხის გათვალისწინებით.

ანუ, ციკლური, მრავალჯერადი კეთების, დახელოვნების პროცესში, სტუდენტმა ჯერ უნდა შეძლოს, ვიდეომონტაჟით გადაღებული ლექციის ხმისა და გამოსახულების შეთანხმება, შემდეგ გამოსახულების ეფექტური ვიზუალური გაფორმება, მუსიკისა და ხმოვანი აქცენტების გამოყენება, შემდეგ ჯგუფის წევრებზე საქმის გადანაწილება, წარმოების მართვა და ბოლოს სრულფასოვანი ვიდეოპუბლიკაციის დამზადება.

„კონცეპტუალური აზროვნების ფორმირებით, არა მხოლოდ კავშირები იცვლება შემეცნებით ფუნქციებს შორის, არამედ იცვლება ყოველი ცალკეული ფუნქციის შემეცნებითი ხასიათიც. აღქმა ერთგვარ თვალსაჩინო აზროვნებად გარდაიქმნება, რამეთუ მის წარმოსახვაში სინთეზირებულია, როგორც უშუალოდ გრძნობითი შთაბეჭდილებების თავისებურებები, ასევე აღქმის ობიექტის გაგების თავისებურებები. მეხსიერების ბიოლოგიურად დასაშვებ შესაძლებლობებზე აღარ არის დამოკიდებული არც დამახსოვრების პროცესი; იგი მეხსიერებისა და აზროვნების ნაერთად იქცევა“.¹

Plan – დაგეგმვის ეტაპზე ხუთივე საფეხურისთვის შედგენილია პროფესიული ამოცანის ჩარჩო-პირობა და საწარმოო რეკომენდაციები(იხ.მეთოდის აღწერა), რომელიც უნდა დაიცვას სტუდენტმა ლექციის გადაღებისა და მონტაჟის პროცესში. სტუდენტი ჩარჩო-პირობის შესაბამისად გეგმავს წარმოების პროცესს, ადგენს საწარმოო გრაფიკს.

Do - პროექტის წარმოების პროცესი გულისხმობს სრული სატელევიზიო ციკლის გავლას. მუშაობს წინასწარი სცენარის გარეშე, ვერ გადის კინოთეორიით აღწერილ მოსამზადებელ პერიოდს, იღებს

¹Выготский Л., *Психология подростка*, Собр. соч. Т. 4., Педагогика, 1984 გვ.242.

არსებულ პირობებში, არსებულ გარემოში. ამონტაჟებს არა წინასწარ გააზრებული სამონტაჟო ფურცლის მიხედვით, არამედ აღებული მასლიდან გამომდინარე. მუშაობს ციკლურად; გადაღების დრო, მონტაჟი, წარდგენის ვადა, რეგლამენტირებულია.

Check - დასრულებული შემეცნებითი ვიდეორგოლი ჯგუფისა და ლექტორის მიერ ფასდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით, რომლებშიც მატულობს პუნქტები შესწავლილი მასალიდან, ვიზუალური თხრობის საფეხურების მიხედვით. შედეგი მისაღებია, თუკი ცოდნა გამყარებულია პრაქტიკული უნარით. სხვა შემთხვევაში, სტუდენტი რჩება იგივე საფეხურზე და აკეთებს, ვიდრე არ დაძლევს კრიტერიუმებით განსაზღვრულ ყველა ჩამოთვლილ კომპონენტს.

Act - პრაქტიკით გამყარებული ცოდნა, როგორც სტუდენტის პროფესიული ქცევის ორგანული ნაწილი.

„დამოუკიდებელ ინტელექტუალურ კონტროლში გამოვლენილი, გამოცდილების ფორმირებული მეტაკოგნიტური სტრუქტურების ძირითადი ფსიქოლოგიური ინდიკატორებია:

- დაგეგმვის უნარი – წინ წამოსწიოს თავისი ინტელექტუალური საქმიანობის (ამოცანები) მიზნები და ქვემიზნები;
- მათი რეალობის საშუალებების მოფიქრება;
- საკუთარი მოქმედებების თანმიმდევრობის შექმნა და ა.შ.;
- წინასწარ გათვლის უნარი – მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების გათვალისწინება და პრობლემური სიტუაციის შესაძლო ცვლილების პროგნოზირება;
- შეფასების უნარი – საკუთარი ინტელექტუალური საქმიანობის ცალკეული „ნაბიჯების“ სისწორის სუბიექტური განსაზღვრა;
- ინტელექტუალური საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე შეჩერების ან შეწყვეტის უნარი;
- სწავლის სტრატეგიის შერჩევისა და მოდიფიცირების უნარი ახალი მოთხოვნებისა და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით“.¹

სტუდენტი, დახელოვნების ციკლური მოდელის პირველ საფეხურზე(**Plan**) დამოუკიდებლად, ლექტორთან კონსულტაციით, არსებული ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, გეგმავს თეორიული ლექციის მოსმენისა და გადაღების, ობიექტის ტექნიკურად ათვისების სქემას -

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.102,103.

კამერების მოხერხებული განლაგება, ხმისა და განათების ტექნიკური გადაწყვეტა, გადაღების პროცესის მართვა; გადაღების შემდეგ - გადაღებული მასალის გააზრება, სამუშაო ჰიპოთეზის შემუშავება, წარმოების გეგმა, მონტაჟისთვის მომზადება; მონტაჟზე - ყველა ნავარაუდები ამოცანის ეკრანულად გადაწყვეტა, შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. შესაბამისად, სტუდენტმა უნდა განსაზღვროს პირველი და მეორე რიგის ამოცანები; ტექნიკური რესურსის ჩარჩოში, რეალისტურად დაგეგმოს პოტენციური შედეგები; წინასწარი გათვლით, მოქმედების თანმიმდევრულობით, მიღებული გადაწყვეტილებების პროგნოზირებით, ცვალოს თეორიული მასალის ათვისების პრაქტიკული სტრატეგიები.

„ცნებითი აზროვნების მუშაობაში ჩართულია ფიგურალური სტრუქტურის რამდენიმე ტიპი:

- კონკრეტული ასოციაციური სახეები;
- კონკრეტული სიმბოლური სახეები, რომელიც დაკავშირებულია ცნების შინაარსის გამაერთიანებელ ელემენტებთან;
- ზოგადად მიღებული ნორმატიული სახეები;
- გამოსახულებითი მოდელები და სქემები;
- გრძნობითი-ემოციური სახეები, რომელიც სუბიექტის სენსორულ და ემოციურ შთაბეჭდილებებზეა აგებული.“¹

წარმოსახვა – აზროვნების დამხმარეა, ახალი ცნებების გაგებას აადვილებს.

- განსხვავებული სახეები განსხვავებულად გადმოსცემენ ცნების შინაარსს.
- ყოველი სახე უამრავი ცალკეული ნაწილისაგან შედგება.
- შეიძლება აზრობრივად მართო წარმოსახვა.

მთავარია გააცნობიერო, რომ რაიმეზე ფიქრი, სხვა ყველაფერთან ერთად, ფიქრის საგნის გონებით დანახვასაც ნიშნავს.“²

Do - კეთების ეტაპზე სტუდენტს თეორიული სახით მიეწოდება მიახლოებული შემეცნებითი ინფორმაცია. ცოდნას, რომელიც პრაქტიკით გამყარებული არ არის, უილიამ დემინგი მიახლოებულს უწოდებს. სტუდენტი ისმენს და იღებს ლექციას.

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.123.

²Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.232.

„ასახული მოვლენა, გარკვეული თვალსაზრისით, მის შესახებ გამოთქმული აზრიცაა, აქედან გამომდინარე - მისადმი დამოკიდებულებაც“.¹

სტუდენტის ამოცანაა გადაღებული მასალით ვიდეოპუბლიკაციის დამზადება, თემის ეკრანული ფორმით გადმოცემა.

„ინტელექტუალური განვითარების მექანიზმები განისაზღვრება არა ცოდნის მიღების სფეროში მიმდინარე პროცესებით, არამედ იმ პროცესებით, რომელიც მოსწავლეთა მენტალური გამოცდილების სივრცეში მიმდინარეობს“.²

მეთოდში ხაზგასმით ორგანიზებული სატელევიზიო თამაში განიხილება, როგორც პროფესიული მიმართულების პედაგოგიური გარემო, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს, როგორც თეორიის სწავლის ეფექტური მექანიზმები, ასევე დამოუკიდებელი, პროფესიული ქცევები, რისი გამოვლენა სტუდენტს პიროვნული ფუნქციის დონეზე მოეთხოვება. აქტუალიზებულია შემეცნებითი თემის ვიზუალური გადმოცემის ტექნიკა, სასწავლო მოქმედებები აგებულია პროფესიული ინსტრუმენტებით ცნებითი განზოგადების ვიზუალურ სურათზე.

„ცნებითი განზოგადების პროცესი წარმოშობს სინამდვილის გაგების განსაკუთრებულ ტიპს:

პირველი - ობიექტის შესახებ ცოდნა კონცეპტუალურ დონეზე წარმოადგენს არსებული ობიექტის ხარისხობრივად განსხვავებული თვისებების (დეტალების, აქტუალური და პოტენციური თვისებების, სხვა ობიექტებთან კავშირის კანონზომიერებისა და სხვა) გარკვეული სიმრავლის ცოდნას, რომელიც პასუხობს სისრულის, დანაწევრებისა და ურთიერთკავშირის მოთხოვნებს.

მეორე – ცნებითი განზოგადება არ ნიშნავს ობიექტების ამა თუ იმ კონკრეტული, ინდივიდუალურ-სპეციფიკური თვისებებისგან გათავისუფლებას და მხოლოდ მათი საერთო თვისების გამოკვეთას. ცნების წარმოქმნისას ადგილი აქვს განზოგადების სხვადასხვა ხარისხის მახასიათებლების განსაკუთრებულ სინთეზს, სადაც ისინი უკვე წარმოსახული სახით იწარმოება.

მესამე – ცნებითი განზოგადებისთვის სპეციფიკურია ცნებაში სინამდვილის ანარეკლის ობიექტურად მნიშვნელოვანი ასპექტები. რამეთუ ინფორმაცია ერთდროულად გადამუშავდება სხვადასხვა დონის განზოგადების სისტემაში. ამით იქმნება პირობები სემანტიკური

¹თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს*, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“, 2004 გვ.108.

²Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования*, NataHaus გვ.204.

ინვარიანტების, რის შედეგადაც სუბიექტის ცნებითი აზროვნება ეგოცენტრული შემეცნებითი პოზიციისგან თავისუფლდება”.¹

„ხელოვანს, ისევე როგორც მეცნიერს, შეუძლია ჩაწვდეს მოვლენის არსს და გამოხატოს იგი კონკრეტულ სახე-სიმბოლოში. თუ იგი, ამავე დროს, ნიჭიერიცაა, მის სიმბოლოებს ისეთივე უნიკალური ღირებულება ექნება, როგორც მეცნიერულ ფორმულებს.

სინამდვილის მოვლენათა აღქმა - მათი თვისებების ასახვაა. ამ მოვლენათა (საგანთა) აღქმის შედეგად იქმნება წარმოდგენა - ხატი იმისა, რაც ადრე აღიქვით. ხატი ფანტაზიის, წარმოსახვის ნაყოფია. წარმოსახვა წარმოებულია რეალურიდან. ამ ორი ელემენტისგან იზადება სრულიად ახალი, მანამდე არნახული, შეთხზული, რაც შემდგომში დამოუკიდებელ სიცოცხლეს იძენს“.²

მაღალი სირთულის ამოცანა სტუდენტისათვის „რეალური“ თეორიული სეგმენტის აღქმა, გააზრება, ეკრანული სახით წარმოსახვა და მისი შეთხზული სახე - სიმბოლოს ხილვადი ფორმით გადმოცემაა.

„დავალების მიზანია აღმოვაჩინო:

- ▶ აზროვნების ემოციური წესის ორიგინალობის ხარისხი;
- ▶ განსაკუთრებული, რეჟისორული წარმოსახვის უნარი;
- ▶ მოქმედების რეჟისორული ხედვის კონკრეტულობა;
- ▶ უნდა შეთხზას მოქმედება, გადაწყვიტოს მოქმედების ადგილი, დეკორაცია, ხმაურები, მუსიკა, განწყობილება და ა.შ. გამოიყენოს სიტყვა.
- ▶ სარეჟისორო მონაცემები: წარმოსახვის ამოქმედების უნარი, აზროვნების წესი. აქვს თუ არა სტუდენტს ქმედითი აზროვნების, მოვლენათა კვლევის უნარი, სახეობრივი ფანტაზია?“³

კლაუს ფოპელი⁴ დინამიკურ მოდელს 3 ნაბიჯით აღწერს, რომელიც, მისი აზრით, იდეალური გარემოა სწავლებისთვის და ასევე შეგვიძლია განვიხილოთ წარმოდგენილი მეთოდის კონტექსტში.

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.125.

²თუმანიშვილი მ., *სანამ რეპეტიცია დაიწყება.*, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1977 გვ.33.

³თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის*, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“ 2004 გვ.103.

⁴კლაუს ფოპელი - გერმანელი ფსიქოლოგი. ფსიქოთერაპევტი. ცნობილია, როგორც ეგრეთ წოდებული ინტერაქტიული თამაშების პოპულარიზატორი სხვადასხვა სახის ფსიქოთერაპიისთვის. გემტალთერაპია, ფსიქოდრამა, გარიგების ანალიზი.

პირველ რიგში, საჭიროა შეიქმნას „რელაქსაციური ყურადღების“ სიტუაცია. ეს არის წინაპირობა თავის ტვინის ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის; მეორე ნაბიჯია ისეთი სიტუაცია, როცა სტუდენტი „ჩაიძირება კომპლექსურ გამოცდილებაში“. მესამე ნაბიჯია მიღებული გამოცდილების შეფასება.

„ნაბიჯი 1. – „რელაქსაციური ყურადღება“ ნიშნავს, რომ სტუდენტი ფსიქიკურად ღიაა, შეუძლია მიზანზე ენერჯის კონცენტრირება. საჭიროა, რომ სტუდენტი აღიქვამდეს სასწავლო სიტუაციას, როგორც გამოწვევას.

„ღია შემეცნებითი პოზიციის სრულყოფილებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ინდივიდუალური გონების სხვადასხვა სპეციფიკური მდგომარეობის მიხედვით:

1. იმის გააზრება, რომ არსებობს უამრავი განსხვავებული „შეხედულება“ ერთსა და იმავე მოვლენაზე;
2. მზადყოფნა ამა თუ იმ მოვლენის აღწერისა და ანალიზის განსხვავებული ხერხების გამოყენებისთვის; ამასთან ერთად, ერთი ხერხიდან მეორეზე თავისუფლად გადასვლის უნარი (ლოგიკურ-ანალიტიკურიდან - ფიგურალურზე, ინტუიტიურ-ასოციაციურიდან – ალგორითმულზე, ქმედით-პრაქტიკულიდან – გათამაშებაზე და ა.შ.).
3. სხვა ადამიანის თვალსაზრისის გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერება და განსხვავებული შემეცნებითი პოზიციების სინთეზის უნარი, სხვებთან დიალოგის პირობებში;
4. განსაკუთრებული დამოკიდებულება პარადოქსებისა და წინააღმდეგობების მიმართ, რაც დაკავშირებულია მზადყოფნასთან ნებისმიერი უჩვეულო მონაცემის ყოველგვარი „სუბიექტურად დამცავი“ დამახინჯების გარეშე მისაღებად;
5. ინდივიდუალური განსჯის შედარებითი ხასიათი, რომელიც ვლინდება უნარში, ერთი მხრივ, დაეთანხმო შინაარსობრივად აშკარად განსხვავებულ ინფორმაციას და, მეორე მხრივ, ეჭვი შეიტანო, ერთი შეხედვით, აშკარა და დამაჯერებელ ინფორმაციაში;
6. მიმდინარე მოვლენების აღქმა პრინციპით „შესაძლებელია ყველაფერი, ისიც, რაც შეუძლებელია“.¹

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.133.

სწავლის მოტივაციის შესაქმნელად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი განიხილავდეს დავალებას, როგორც ღირებულს, მნიშვნელოვანს. სასწავლო სიტუაცია ოპტიმალურია, როცა სტუდენტი გამოხატავს ცნობისმოყვარეობას, სურს იყოს აქტიური. ამავე დროს, ის უნდა იყოს თავის თავში დარწმუნებული, არ უნდა განიცდიდეს შიშს, სტრესს, თავს გრძნობდეს დაცულად, მხნედ და შრომისუნარიანად.

ნაბიჯი 2. – „კომპლექსური გამოცდილება“. სასწავლო სიტუაცია ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სტუდენტმა „კომპლექსური გამოცდილება“ მიიღოს. სტუდენტმა უნდა გაიგოს, უნდა აითვისოს, უნდა გააანალიზოს, პრაქტიკულად გამოიყენოს ახალი ინფორმაცია. ეს კი, ყველაზე რთული ამოცანაა. პედაგოგი განწყობილი უნდა იყოს სტუდენტის დასახმარებლად – მიაწოდოს ინფორმაცია, კონცეფციები გააგებინოს.

ნაბიჯი 3. – „აქტიური შეფასება“. სტუდენტებმა უნდა გააანალიზონ თავიანთი გამოცდილება და გააცნობიერონ, რა ისწავლეს. აქტიური შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ, თუ რას მივაღწიეთ და კიდევ რისი მიღწევა გვინდა. აქტიური შეფასება ხელს უწყობს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. აქტიური შეფასების შედეგად მიღებული ცოდნა განმტკიცდება და ხდება პიროვნულად ღირებული, ეს კი ასტიმულირებს სწავლის მოტივაციას. ერთიმხრივ, აქტიური შეფასება – ეს არის ინდივიდუალური პროცესი, რომლის დროსაც სტუდენტი საკუთარ თავს უსვამს კითხვას: რაგავიგე? რატომ გავაკეთე ასეთი ფორმით? როგორ შეიძლებოდა სხვაგვარად გამეკეთებინა? რა დასკვნის გაკეთება შემიძლია? მიღებული გამოცდილება როგორ შეუწყობს ხელს ჩემს განვითარებას? მეორე მხრივ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ჯგუფი, რათა თითოეულმა სტუდენტმა ჯგუფის წევრებისგან უკუკავშირი მიიღოს. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტის რეფლექსიის (აქტიური შეფასების) განვითარებას.¹

მეთოდის მიხედვით, კლასს ფლოპერის მიერ შემოთავაზებული პირველი ფაზა, „რელაქსაციური ყურადღება“, რომელიც პირველ რიგში უნდა მივიღოთ ლექციის მიმდინარეობისას, ნავარაუდევია ტელესპეციფიკით იმიტირებულ სასწავლო პროცესში. როცა ჯგუფიდან ერთ-ერთი წევრი სპეციალობის ყველა ლექციაზე არა პასიური მსმენელი, არამედ რეჟისორ-ოპერატორია. მისთვის მოსმენილი ლექცია გადაღებული მასალაცაა. ჯგუფის წევრები, ასევე, როგორც ლექტორი, გადაღების ობიექტები. სასწავლო სიტუაცია სტუდენტისათვის პროფესიული გამოწვევაა. თემის ეკრანული ფორმით გააზრება, საილუსტრაციო მასალის შერჩევა, მონტაჟი, გახმოვანება, განსაზღვრულ დროში სატელევიზიო ვერსიის დამზადება.

¹Фопель К. *Психологические принципы обучения взрослых*, Генезис, 2010 გვ.26,27,28.

მეორე ნაბიჯია, სპეციალობით ტელერეჟისორის „კომპლექსური გამოცდილება“, სწავლა კეთების პროცესში. შემეცნებით ინფორმაციას ის იგებს, ითვისებს, აანალიზებს, პრაქტიკულად იყენებს ვიდეო ინტერპრეტაციაში.

მესამე ნაბიჯია დასრულებული ნამუშევრის შეფასება ლექტორისა და ჯგუფის მიერ, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით(იხ. მეთოდის აღწერა). ჩნდება აქტიური შეფასების პროფესიული კითხვებიც: რა გავიგე? რა ფორმით გავაკეთე? როგორ ჯობდა, რომ გამეკეთებია? რა უნდა შევცვალო?

კარლ როჯერსის¹ თეორიით, განათლება ეფუძნება არა ცოდნას, არამედ მისი მოპოვების უნარს. კი არ ასწავლო, არამედ ხელი შეუწყო სწავლას – ეს არის პედაგოგის მთავარი ფუნქცია. როჯერსის მიხედვით, სწავლება ნაყოფიერია თუ:

- „სტუდენტი სრულად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში;
- ახორციელებს პრაქტიკულ, კვლევით აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც სწავლა უფრო მეტად მორგებული ხდება ინდივიდის საჭიროებებზე;
- მუდმივად აფასებს საკუთარ თავს, რაც მისი პროგრესისა და წარმატების შეფასების ძირითადი მეთოდია;
- საგნის შინაარსი და პიროვნების ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა“.²

ტელერეჟისორის ფუნქციით სწავლის პროცესში ჩართული სტუდენტი, მისი პროფესიის შესაფერისი პრაქტიკული აქტივობით, იკვლევს და იყენებს მიღებულ ცოდნას. თვალსაჩინო შედეგი შეფასების საშუალებას იძლევა. მრავალჯერადი კეთებით შედეგი უკეთესისკენ იცვლება. წარმოების სქემით საგნის შინაარსის ათვისება სტუდენტს აჩვენებს, რამდენად ემთხვევა მისი ინტერესი რეჟისორულ საქმიანობას.

„კოლბი მიიჩნევს, რომ სწავლა იწყება პრაქტიკული გამოცდილებით, ამას მოჰყვება ფიქრის შედეგად გაკეთებული დასკვნები, რომელთაც მივყავართ ცოდნის ახალი მოდელის თეორიის შექმნამდე და ბოლოს ახალი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებამდე.

¹კარლ როჯერსი - ამერიკელი ფსიქოლოგი. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ლიდერი და დამაარსებელი, აბრაამ მასლოუსთან ერთად.

² Роджерс К., *Гуманистическая психология, Теория и практика*, МОДЭК, 2013 გვ.12.

პირველი საფეხური – ეს არის უშუალო, კონკრეტული გამოცდილება;

მეორე საფეხური – რეფლექსიური დაკვირვება, როცა შემსწავლელი იაზრებს იმას, თუ რა გაიგო;

მესამე საფეხური – თეორიული განზოგადება, როცა შემსწავლელი აკავშირებს ერთმანეთთან ახალ და ძველ ცოდნას;

მეოთხე საფეხური – ახალი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

კოლბის სწავლის 4-საფეხურიან ციკლში დაკვირვებისა და ფიქრის საფუძველი უშუალო, კონკრეტული გამოცდილებაა. დაკვირვება და ფიქრი ასიმილირდება და გარდაიქმნება „აბსტრაქტულ კონცეფციებად“, რომლებიც მოქმედებას ახალ აზრს ანიჭებენ და რომლებიც შეიძლება პრაქტიკულად გამოვიყენოთ, ეს კი ქმნის ახალ გამოცდილებას“.¹

ლეგენდარული მედიამხატვარი, მკვლევარი, ჰონგ კონგის კრეატიული მედიასკოლის დირექტორი, ჯეფრი შოუ, იგივე აზრს ავითარებს და ამბობს, რომ „დღეს სწავლება აღარ არის დადგენილი ცოდნის გადაცემა - დღეს სტუდენტი სწავლობს, თვითონ როგორ მოიპოვოს ცოდნა. პროცესს ახლავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან ელეგანტური შერწყმა. განსაკუთრებით ჩვენ სფეროში, ისე როგორც არსად, სწორედ პრაქტიკა აძლევს სტუდენტს თეორიულ ინფორმაციას“.²

რეჟისურის სწავლების თეორიული კომპონენტის დასაცავად მაიკლ რაბიგერი წერს - „ყველა სხვადასხვაგვარად სწავლობს. ზოგი თეორიით იწყებს პრაქტიკულ საქმიანობას, ზოგი აქტიური ექსპერიმენტების შემდეგ უბრუნდება თეორიას. მეც მინდა დავიწყო რაიმე ხელშესახებით, ვიდრე მოსაწყენი თეორიას, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ბევრი წვალების შემდეგ უხალისოდ გადავშლი ანოტაციას ახალშემენილი ინსტრუმენტის ასამუშავებლად“.³

ტელერეჟისურის სწავლების პროცესში პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის კონცეფცია კონკრეტულ გამოცდილებას აკავშირებს უშუალოდ თეორიულ კომპონენტთან. სტუდენტის რეფლექსიური დაკვირვების საგანია, როგორც პროფესიული უნარების გამოვლენა, ასევე ახალი თემის გააზრება, პრაქტიკულად გამოყენება. პროექტზე მუშაობის პროცესი მას ეხმარება ღრმად

¹კოლბი დ., *პედაგოგიური გზამკვლევი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის*, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016 გვ.26.

² Шоу Дж., *Круглый стол с Джеффри Шоу*, 2012. <https://www.youtube.com/watch?v=JVIr9pg6Kf4>

³Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.52.

გაიაზროს, უკეთ აითვისოს სასწავლო ინფორმაცია. ზრდის ჩართულობას, ზრდის სწავლის ხარისხს, ზრდის პროფესიულ მოტივაციას.

„ინფორმაცია, რომელსაც ვერ ვაკავშირებთ გამოცდილებასთან, ხშირად ჩვენთვის არ არის ღირებული. რაც ნაკლებადაა დაკავშირებული ინფორმაცია და უნარები გამოცდილებასთან, მით მეტი ძალისხმევაა საჭირო მათ დასამახსოვრებლად. სწავლა უფრო ეფექტიანია, თუ ადამიანი გამოიყენებს პირად, ავტობიოგრაფიულ მეხსიერებას“.¹

მეთოდი შეიძლება განვიხილოთ სტუდენტთა ინდივიდუალური განვითარების თვალსაზრისითაც, რომლის საფუძველია ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია.

დიფერენცირებული სწავლების მიზანია, დაეხმაროს შემსწავლელს უნიკალური უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში, დაყოფის საფუძველი თითოეული შემსწავლელის გამოცდილება და შესაძლებლობებია. დიფერენცირებული სწავლება - ეს არის განათლებაში პიროვნებაზე ორიენტირებული პარადიგმის რეალიზაცია, შემსწავლელის ნიჭის, მიდრეკილებისა და ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინება.

„დიფერენცირებული სწავლება ეს არის:

- ყველა ტიპის შემსწავლელის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა: თითოეული შემსწავლელის გამოცდილების, აქტუალური და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინება და შესაბამისი ფიზიკური და ემოციური გარემოს შექმნა;
- შემსწავლელთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება;
- ერთსა და იმავე ჯგუფში სხვადასხვა ინდივიდთან და/ან მცირე ჯგუფთან განსხვავებული მიდგომების გამოყენება;
- ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტთა ტიპოლოგიური, ინდივიდუალური განსაკუთრებულობის გათვალისწინება.

რა უნდა გავითვალისწინოთ დიფერენცირებული სწავლებისას:

¹Фопель К., *Психологические принципы обучения взрослых*. Генезис. 2010 გვ.21.

- შემსწავლელთა გამოცდილება, მოლოდინები და სურვილები;
- შემსწავლელთა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება;
- შემსწავლელთა სწავლის სტილი და ინტელექტის ტიპი;
- შემსწავლელთა თვითეფექტიანობის დონე;
- შემსწავლელთა მოტივაციის საფუძვლები და მათ მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები;
- თითოეული შემსწავლელის საჭიროებებზე ორიენტირებული განმავითარებელი უკუკავშირის დროული მიწოდების მნიშვნელობა;
- სამომავლო გეგმის დასახვის მიზნით მიღწეული შედეგების ინტენსიური მონიტორინგისა და ანალიზის საჭიროება“.¹

სწავლების დიფერენცირებული მიდგომა უცხო არ არის შემოქმედებითი მიმართულების უმაღლესი სასწავლებლისთვის. ლექტორი უკეთ ეცნობა სტუდენტს, ითვალისწინებს თითოეულის ცოდნას, უნარს, დამოკიდებულებას, უნიკალურ გამოცდილებას. სტუდენტი, პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტით, სტრატეგიის არჩევით, შესრულების ხარისხით, აჩვენებს უახლოესი განვითარების ზონის შესაბამის ცოდნას, გამოცდილებას, პროფესიულ ცნობისმოყვარეობას. ჯგუფის ყველა წევრი იღებს და გასცემს დახმარებას, სწავლობს ერთმანეთისგან. თანამშრომლობითი სწავლების მიდგომით, ლექტორი, საჭიროების შესაბამისად, დაუყოვნებლივ გეგმავს სწავლის სპეციფიკურ ტაქტიკას. პარტნიორულ გარემოში ტელეწარმოების მოდელირებით სტუდენტი პრაქტიკულად ხვდება, რა საქმე გამოსდის უკეთ და რა უნდა მომავალში აკეთოს.

„ყველა დიდ სკოლაში უნდა იყოს საბაზისო პროგრამა, რომელიც შემდეგ დაიშლება სპეციალიზებულ კურსებად. საბაზისო პრაქტიკული უნარების ათვისების შემდეგ სტუდენტი აირჩევს სპეციალიზაციას. მაგალითად: სცენარისტის, ოპერატორის, ხმის რეჟისორის, მემონტაჟის, რეჟისორის, პროდუსერის, დოკუმენტალისტის, ანიმატორის, ვიდეოწარმოების ალტერნატიულ ფორმას ან კრიტიკას“.²

მეთოდი, მრავალპროფილიანი სატელევიზიო კადრის მომზადების გათვალისწინებით, მისადაგება მაიკლ რაბიგერის ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომელსაც ბევრი თანამედროვე

¹ *კედაგოგიური გზამკვლევი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის*, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016 გვ.13.

² Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.462.

კინოსკოლა იყენებს და ერთ-ერთი წარმატებული მოდელია. სტუდენტი იმიტირებული სარედაქციო ჯგუფის მულტიპროფილური წევრია. სწავლობს გადაღებას, ტექსტზე მუშაობას, წერს, ამონტაჟებს, გეგმავს და მართავს წარმოებას; ეცნობა და იყენებს პარტნიორი სპეციალობების რესურსს: მუსიკალურად აფორმებს, ხვეწს კადრის კომპოზიციას, განათების მხატვრულ და რეპორტაჟულ სტილებს; ფოკუსაუდიტორიის გათვალისწინებით ცვლის ვიდეოპუბლიკაციის ეკრანულ ფორმებს. პირადი გამოცდილებით ხვდება, რა საქმე გამოსდის უკეთ და რა შეუძლია მომავალში აკეთოს. შემდეგ უკვე შეიძლება სპეციალიზაცია, გამოკვეთილი არჩევანის შესაბამისად.

საქმიანობის ფსიქოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს მომავალი სპეციალისტის უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთანავე. რუბინშტეინის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქმიანობა გამოხატავს ადამიანის კონკრეტულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, რომელშიც რეალურად გამოიხატება პიროვნების თვისებები და ამ თვისებებს უფრო კომპლექსური, კონკრეტული ხასიათი აქვს, ვიდრე ფუნქციები და ანალიტიკურად გამოკვეთილი პროცესებია.“¹

უმაღლეს სასწავლებელში სპეციალისტების სწავლებასა და მომზადებაზე გავლენას ახდენს:

- სტუდენტის გარკვეული ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა უმაღლესი განათლებისთვის;
- არასაკმარისი მიდრეკილება მომავალი პროფესიული საქმიანობისადმი;
- სუსტი თვითორგანიზაცია, რაც ხშირად გამოწვეულია სპეციალობათ, რომელიც არ შეესაბამება სტუდენტის ინტერესსა და მიდრეკილებას;
- ზოგჯერ სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტთა აქტიურ შემეცნებით საქმიანობას და სპეციალისტების მომზადება ხდება მხოლოდ პედაგოგიური ზემოქმედების ფორმით.

„ცნობილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს, მაგრამ ძალით რამე ასწავლო, შეუძლებელია“.² მის ეფექტურ საგანმანათლებლო საქმიანობაზე წარმატებასა და ეფექტურობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ინდივიდის შემეცნებითი საქმიანობის თავისებურებები. აქტიურობა დამოკიდებულია შემეცნებითი პროცესების ფორმირებასა და განვითარებაზე.

¹Рубинштейн С., *Основы общей психологии*, Издательство: Питер, 2002 გვ.593.

²Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.12.

„ფორმირებული დესტრუქციული ან დაბალი დონის მენტალური სტრუქტურების ნიადაგში, ნებისმიერი ზემოქმედება „ინდივიდუალური გამოცდილების დუმილით დაიკრძალება“, და პირიქით, კარგად ორგანიზებული მენტალური სტრუქტურების არსებობა ინდივიდუალურ ინტელექტს გადააქცევს ერთგვარ განუსაზღვრელი ზომის „ღრუბლად“, რომელიც იწოვს ინფორმაციას და, რა თქმა უნდა, არსებითად აფართოებს ადამიანის შესაძლებლობებს იდეების გაჩენის, კომბინირებისა და ტრანსფორმირების კუთხით“.¹

სწავლა/სწავლების პროცესში პირველ პლანზე გამოდის პიროვნების ისეთი საბაზისო ინტელექტუალური თვისებების ფორმირების პრობლემა, როგორცაა:

► კომპეტენტურობა

ინტელექტუალური კომპეტენცია – არის ცოდნის ორგანიზების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას საქმიანობის გარკვეულ საგნობრივ სფეროში. საქმე ცოდნის მოცულობაში არაა(რადგან, სწორედ არასაკმარისი ცოდნა იქცევა ხშირად შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღების მძლავრ სტიმულად), არც მის სიმტკიცესა და მდგრადობაში (ცოდნა ძალიან სწრაფად ბერდება მორალურად და უსარგებლო ბალასტად იქცევა), არც მის სიღრმეშია (რადგანაც ზედმეტად დამკვიდრებული ცოდნა შეიძლება შემაფერხებელი აღმოჩნდეს კონკრეტული საკითხის ახალი პერსპექტივის ჩამოყალიბებისთვის). მთავარია, რამდენად ორგანიზებულია ინდივიდუალური ცოდნა და რამდენად საიმედოა, როგორც ეფექტური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), 2012 წლის კომპეტენციების სტრატეგიაში „უნარი“ და „კომპეტენცია“, ერთმანეთის სინონიმადაა გამოყენებული, და განისაზღვრება, როგორც ცოდნის, ატრიბუტებისა და შესაძლებლობების ნაკრები, რომელიც ისწავლება, სწავლის კვალდაკვალ ფართოვდება, და ინდივიდებს საშუალებას აძლევს, წარმატებულად და თანმიმდევრულად განახორციელონ მათთვის სასურველი საქმიანობა“.²

► ინიციატივა

¹Холодная М., Психология интеллекта: парадоксы исследования., NataHaus, გვ.107.

²OECD, Better Skills, Better Jobs, Better Lives: A Strategic Approach to Skills Policies, OECD Publishing.(2012), <http://dx.doi.org/10.1787/9789264177338-en>

ინტელექტუალური ინიციატივა - არის სურვილი დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებით მოიძიო ახალი ინფორმაცია, გაახმოვანო ესა თუ ის იდეა, აითვისო საქმიანობის სხვა სფეროები.

▀ თვითრეგულაცია

ინტელექტუალური თვითრეგულაცია – არის საკუთარი ინტელექტუალური საქმიანობის თავისუფლად მართვის უნარი და, რაც მთავარია, თვითგანვითარების მიზანმიმართულად დაგეგმვის პროცესი.

▀ გონების უნიკალურობა

გონების უნიკალურობა – არის ინტელექტუალური დამოკიდებულების ინდივიდუალური, თვისებრივი უნარი მიმდინარე მოვლენების მიმართ, მათ შორის, მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური შემეცნებითი სტილი, ინდივიდუალური ინტელექტუალური პრეფერენციების ჩამოყალიბება, საკუთარი ინტელექტის სუსტ მხარეთა კომპენსირების ინდივიდუალური ფორმების არსებობა და ა.შ. სწორედ ინტელექტის ინდივიდუალურ თავისებურებაშია უჩვეულო, თამამი, „ყველასგან განსხვავებული“ გადაწყვეტილებების მიღების პოტენციალი.

▀ შემოქმედება

ინტელექტუალური შემოქმედება – არის ახლის შექმნის სუბიექტური პროცესი, რომელიც დაფუძნებულია პროდუქტიული ორიგინალური იდეების შეთავაზებისა და სამუშაოს სტანდარტული მოთხოვნების ჩარჩოდან გასვლის უნარზე. ინტელექტუალური შემოქმედების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს უკვე ნაცნობ პრობლემათა გადაწყვეტის ხერხების სრულყოფა. სავსებით სამართლიანად ამტკიცებენ, რომ შემოქმედებას ორი მთავარი მტერი ყავს: პირველი – შიში და მეორე – აზროვნების ფსიქოლოგიური ინერცია (რიგიდულობა). ამიტომ მოსწავლეთა ინტელექტუალური აღზრდისა და მათთვის შემოქმედებითი თვისებების განვითარებისთვის პედაგოგიური ურთიერთობის აუცილებელი მინიმუმია: თვითოეული მოსწავლისთვის სწავლის ფსიქოლოგიურად კომფორტული გარემოს შექმნა, სასწავლო ინტელექტუალური შრომის ემოციური ფონის უარყოფითიდან დადებითისკენ გადატანა, ამასთან, უნდა ეცადოს მოხსნას ძველი და, შეძლებისდაგვარად, არ ჩამოაყალიბოს ახალი შემეცნებითი სტერეოტიპები¹.

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.209.

ლექტორი, მეთოდის სპეციფიკის გათვალისწინებით, თემას წარადგენს სანახაობრივად (სლაიდები, ვიდეო, პროფესიული ინსტრუმენტები) აუცილებელი ინფორმაციის საკმარისი რაოდენობით. კონკრეტული, პრაქტიკული მიდგომებით წარმოდგენილი თეორიული საკითხის შინაარსი ვარაუდობს გადაღებისა და ვიზუალიზაციის პროცესს. სრტუქტურირებული სასწავლო ინფორმაცია, პროფესიული ტექნიკისა და ხერხების სახით, სტუდენტისგან ითხოვს გადაღებისა და მონტაჟის კვლევით ხერხებს, კრეატიულობას, ორიგინალურობას, გამჭრიახობას, არასტანდარტულ მიდგომას და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახის პროფესიულ გამოცდილებას.

„სასწავლო ტექსტმა მოსწავლე წინ „უნდა გაუშვას“, მისცეს საშუალება თვითონ ჩამოაყალიბოს განსაზღვრებები, დაასაბუთოს ცნებათა ნიშან-თვისებები.

- გაიგოს და მიიღოს მომავალი საქმიანობის მიზნები; გამოკვეთოს საკუთარი საქმიანობის მიზნები და ქვემიზნები;
- იმუშაოს მაშინ, როდესაც ინფორმაცია არასაკმარისია, ზედმეტია ან წინააღმდეგობრივია;
- იმოქმედოს შემოთავაზებული გეგმის მიხედვით; შეადაროს ერთმანეთს ერთი და იგივე ამოცანის ამოხსნის განსხვავებული მეთოდები და აირჩიოს ესა თუ ის მეთოდი; შეადგინოს საკუთარი საქმიანობის გეგმა;
- ააგოს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის განსხვავებული ალგორითმები; აითვისოს ალგორითმის ცალკეული ნაბიჯები; შექმნას ამ ნაბიჯების შესრულების შედეგებისა და დასახული მიზნების თანაფარდობა;
- გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოიდგინოს პრობლემის წინასწარი აზრობრივი სურათი და განახორციელოს მისი ანალიზი (მათ შორის, შეძლოს საკუთარ თავს უთხრას „შეჩერდი“);
- ივარაუდოს და შეძლოს საკუთარ მოქმედებათა შედეგების პროგნოზირება;
- ჩამოაყალიბოს საკუთარი შეცდომების დანახვისა და მიზეზების გარკვევის უნარი; შეძლოს მათი პრევენცია და ა.შ.“¹

ლექტორი მიმართულებას აძლევს სტუდენტთა პრაქტიკულ-შემეცნებით საქმიანობას, წარმართავს მათ ქცევებს. ურჩევს აუცილებელი ტექნიკისა თუ პროფესიული ინსტრუმენტების, საცნობარო ლიტერატურისა თუ შერჩეული მიდგომის სწორად და მიზნობრივად გამოყენებას. სტუდენტი სწავლობს ცვალებად გარემოებებში, მრავალჯერადი გამეორების პროცესში. ჯერ ლექციაზე -

¹Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.209.

თემის მოსმენა, გადაღება; შემდეგ დამოუკიდებელი გააზრება, გადაღებული ვიდეოს გაშიფვრა, საილუსტაციო მასალის შერჩევა, მონტაჟი, გახმოვანება, პრეზენტაცია, შეფასება. ვიდეორეპრეზენტაცია ინტენსიური სწავლის პროცესია.

„ცოდნა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც იგი პრაქტიკული შემეცნების, ახალი აღმოჩენის შედეგია, რომელსაც მსწავლელი სამყაროს დაულალავი კვლევის დროს აღწევს, სამყაროსგან მოუწყვეტლად, თავისნაირებთან თანამშრომლობით“.¹

ეს ახალბედა და გამოცდილი ტელერეჟისორის პარტნიორული ურთიერთობაა, საერთო შეცდომებითა და წარმატებებით. ლექტორის კეთილგანწყობილი პროფესიული ტაქტით, სტუდენტის სასწავლო მოდელში ადაპტირება ერთდროულად მიმდინარეობს კონკრეტული პროფესიული ხარისხის, თვისების, ჩვევის, ნორმის, უნარის, განწყობის, ფასეულობების მიმართულებით. პედაგოგი სტიმულსაც აძლევს სტუდენტის დამოუკიდებელ საძიებო, შემოქმედებით საქმიანობას. ამა თუ იმ საკითხისადმი ახლებურ – წარმოსახვით, ფანტაზიით მდიდარ, ორიგინალურ, რისკის შემცველ მიდგომებს. თამამ კონცეფციებს, იდეებსა და ჰიპოთეზებს.

„დე გროოტი მივიდა დასკვნამდე, რომ შემოქმედებითი პროდუქტი – სულაც არ არის ინტუიციური გასხივოსნების, თანდაყოლილი გენიალურობისა და ა.შ. შედეგი; პირიქით, ის ყოველთვის პიროვნების სპეციფიკური თვითგანვითარების შედეგია, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის მოცემულ სფეროში სასარგებლო გამოცდილების დაგროვებისა და დიფერენცირების ხანგრძლივ პროცესთან.“

ახალი უჩვეულო იდეების გაჩენა – სულაც არ არის სპონტანური პროცესი, პირიქით, რეგულირებადი პროცესია. კრეატიული იდეები „იფილტრება“ სუბიექტის ცნებითი და მეტაკოგნიტური გამოცდილების სტრუქტურების გავლით.²

„თვისებრივად ახალი განათლების სისტემის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საგნით სტუდენტის სტაბილური დაინტერესება, პირველივე კურსიდან სასწავლო პროცესის დაახლოება ყოველდღიურ პროფესიულ პრაქტიკასთან. სტუდენტი, როგორც მომავალი სპეციალისტი, თავიდანვე უნდა

¹ფრერიე პ., *განათლება როგორც თავისუფლების პრაქტიკა* <http://mastsavlebeli.ge/?p=2289>

²Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования.*, NataHaus, გვ.156.

ხედავდეს, როგორ შეძლებს ის მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას.

ტრადიციულმა საგანმანათლებლო მიდგომებმა განაპირობეს შეუსაბამო და რგობრივ მოთხოვნებსა და სტუდენტისთვის უმაღლეს სასწავლებელში შეთავაზებულ ცოდნას შორის. ამდენად, ბევრი სასწავლებელი გადადის პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რომელიც ეფუძნება ამოცანების გადაწყვეტას რეალური საწარმოო პრობლემების მეშვეობით.

სწავლების მეთოდები მიზნად ისახავს:

- სტუდენტებში დისციპლინისა და თვითგანათლებისადმი ინტერესის გაღვივებას;
- სტუდენტებში საკუთარი აზრის ფორმირებასა და თავისი პოზიციების დაცვას;
- სასწავლო მასალის ეფექტიან ათვისებას;
- სოციალური და პროფესიული უნარების ფორმირებას;
- სტუდენტების მიერ დასახული ამოცანის ამოხსნის გზებისა და ვარიანტების დამოუკიდებელ ძიებასა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას;
- სტუდენტებს შორის აქტიური ინტერაქციის დანერგვას, გუნდური მუშაობის სწავლებას;
- სტუდენტის გაცნობიერებული კომპეტენტურობის დონის ფორმირებას.

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა ეყრდნობა ზრდასრულთა განათლების პრიციპებს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გაითვალისწინონ ზრდასრულთა განათლების ზოგადი პრინციპები და აქცენტი თვითკეთებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიაზე გააკეთონ.

სწავლება საუკეთესო შედეგებით ხორციელდება მაშინ, როცა:

- ის წარიმართება საკუთარი ინიციატივით;
- აკმაყოფილებს უშუალო საჭიროებებს;
- მონაწილეობითი ხასიათისაა;
- გამოცდილებაზეა დაფუძნებული;
- შეძენილი გამოცდილება ღრმად არის გააზრებული;
- მასში უკუკავშირის მექანიზმებია გამოყენებული;
- გამოხატულია მოსწავლის მიმართ პატივისცემა;

- პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო, კომფორტულ გარემოში¹.

¹სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“, „ფონდი -ღია საზოგადოება საქართველო“, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი., თბილისი, 2015.

IV თავი

მეთოდის აღწერა

ვიდეოტექნოლოგიების, გადამღები თუ სამონტაჟო აპარატურის ოპერატიული ფუნქციების გამარტივება საშუალებას გვაძლევს რეჟისურის ფუნდამენტური თეორიული კურსის შესწავლა უმაღლესი განათლების საბაზისო დონეზე მიმდინარეობდეს სტუდენტის პროფესიული, პრაქტიკული ტექნიკის დახვეწის პარარელურად. საკმაოდ უბრალო ვიდეოკამერა, გადაღების სხვადასხვა პირობებში, იძლევა ტექნიკური პარამეტრებით მისაღებ გამოსახულებას. გონიერი ხელსაწყო თვითონ რეაგირებს განათების სპეციფიკაზე, იწერს ხმას, კორექციას უკეთებს ვიდეო გამოსახულებას. პროფესიული აპარატურა გახდა სანდო და მარტივი. დღეს უკვე ერთ ადამიანს შეუძლია გაემგზავროს გადასაღებად, ჩაწეროს ხმა, გამოსახულება, დაამონტაჟოს და ეთერში გადასცეს დასრულებული პუბლიკაცია. კომპიუტერული პროგრამები ვიდეოწარმოების ყველა ეტაპზე გამოიყენება. მენეჯმენტი, ბიუჯეტის შედგენა, დიზაინი, კადრირება, სცენარის ფორმატირება, მონტაჟი, მასალის პროექცია. მოქნილი რეაგირება ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებზე, ინსტიტუტისა და ტელესპეციფიკის გათვალისწინებით, იძლევა პირობებს, რეჟისურის თეორიული კურსის სწავლება მიმდინარეობდეს სტუდენტის პროფესიული, დამოუკიდებელი, შემეცნებითი და შემოქმედებითი ჩვევების დახვეწის პარარელურად.

„სწავლა კეთების პროცესში“ - ამას ვერაფერი შეეძლება. შეგვიძლია, ვისხდეთ ასე და ვილაპარაკოთ დაუსრულებლად, მაგრამ სანამ თვითონ არ მოკიდებ საქმეს ხელს, მანამდე არაფერი იცი. როცა ხელობას პრაქტიკული საქმიანობისას სწავლობ, იმასაც იმახსოვრებ, რა გამოდის და რა-არა. ეს პროცესი მოიცავს მოქმედებას და მასზე რეაქციას, ექსპერიმენტებს. ამ ტექნიკის შემოღებისთანავე სურათი კარდინალურად იცვლება. ისადგურებს სიმშვიდე, სტუდენტებს უქრებათ შფოთვისა და დამაბულობის შეგრძნება, ნიშნები უმჯობესდება. მასწავლებლებს მოსწონთ სწავლების პროცესი. ურთიერთობები უმჯობესდება. მოსწავლეებს ეზრდებათ კონცენტრაციისა და სასწავლო მასალის შემეცნების უნარი. ეს მშვენიერია“.¹

¹ლინჩი დ., *ინტერვიუ რადიო „თავისუფლებასთან“*, 2017.

ტელესპეციფიკით მოდელირებული „სწავლა კეთების პროცესში“ სტრატეგიად ირჩევს განუმეორებელი კადრის, მოვლენის ფიქსირების პროფესიულ ტექნიკას. რეალურ დროში განვითარებული მოქმედება, რომელიც ერთი დუბლით უნდა დაფიქსირდეს, არის ლექცია, კინო-ტელეწარმოების თეორიული კურსი, რომელიც ჯგუფს საკურსო და სადიპლომო პროექტების გააზრებული გადაღებისა და წარმოების შესწავლისთვის ეკითხებათ. „თეორია მხოლოდ აუდიოვიზუალური ხელოვნების სახელმძღვანელოა, რომელიც ეკრანულად მხოლოდ წარმოსახვითა და შემოქმედებითი პოტენციალით ვლინდება“. ¹ მეთოდი არ ანაცვლებს სატელევიზიო რეჟისურის სწავლების არსებულ მოდელს და შეიძლება გამოდგეს პირველ-მეორე კურსზე, საკურსო და სადიპლომო პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე, როგორც ტელესპეციფიკით შესრულებული კინოგრამატიკის პრაქტიკული სავარჯიშო.

რატომ ლექცია და არა სხვა განყენებული თემა?

- სტუდენტი მთლიანად უნდა იყოს დაკავებული რეჟისურის პროფესიული ტექნიკის შესწავლით;
- სპეციალობის თეორიული კურსი საილუსტრაციოდ ფორმის სხვადასხვა ხერხსა და მასალას იძლევა;
- აუდიტორიიდან გაუსვლელად, თეორია პრაქტიკულად ისწავლება;
- სტუდენტი სწავლობს სატელევიზიო საგანმანათლებლო, შემეცნებით, სატელევიზიო სტუდიურ ფორმებში მუშაობას;
- სასწავლო ინფორმაციის ვიზუალიზაცია თეორიის ათვისების ეფექტური საშუალებაა;
- დასრულებული ნამუშევრის წარდგენისას, მოდულის ხელმძღვანელი თვალნათლივ ხედავს, სწავლობს მისი სტუდენტი თუ არა.

სასწავლო პროცესი სტრატეგიულად ორიენტირებულია პროფესიულად აუცილებელი ჩვევების გამომუშავებაზე - ახალი ცოდნის ეტაპობრივი მიწოდებით, შესწავლილის პრაქტიკაში გამოყენებით. ტაქტიკურად კი ხორციელდება თეორიული მასალის თვითშემეცნებით, თვითანალიზით, დამოუკიდებელი კვლევისა და ძიებით. სტუდენტი თეორიული ლექციის აქტიური ინტერპრეტატორია. თვითონ იღებს, თვითონ არჩევს თემის საილუსტრაციო მასალას, ხმისა და მუსიკალურ პარტიტურას, თვითონ ამონტაჟებს და შეფასებისთვის წარუდგენს ჯგუფს და

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.60.

ჯგუფის ხელმძღვანელს მოსმენილი თემის დასრულებულ, სატელევიზიო ვერსიას. სარეჟისორო ამოცანების შემოქმედებით მოდელში, სპეციალობის ელემენტარული უნარებიდან, ის თანდათან გადადის ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებაზე. ტელესპეციფიკით ადაპტირებული საქმიანი თამაში მას ეხმარება თავი შეიცნოს მომავალ პროფესიაში. ეს არის შეცდომებზე სწავლის მეთოდი, როცა რეალურად ხედავ, რა შედეგი და რა ვერა.

„შეეგუეთ, რომ თავიდან ნამუშევრები დაულაგებელი და გულუბრყვილო იქნება“.¹ დაბრუნება წარუმატებლად შესრულებულ დავალებებთან, საკუთარი შეცდომების ძიება, მათი ანალიზი, თვითშეფასება, კონსტრუქციული კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინება, პროფესიული ატმოსფეროა სარეჟისორო საქმის, რაც სწავლის ეტაპზე უნდა მიიღოს სტუდენტმა, როგორც სპეციალობის ბუნებრივი გარემო, რადგან „რეჟისორი ბევრს სწავლობს უარყოფითი გამოცდილებით. თამაში წარუმატებელი ექსპერიმენტით სარგებლობს ყველა მომდევნო შემოქმედებითი გადაწყვეტა“.²

„თანამედროვე რეალობა მოითხოვს მომავალის სპეციალისტებისათვის კრიტიკულ რეფლექსიაზე³ დაფუძნებული ქმედების უნარის განვითარებას, რომელიც ორიენტირებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებაზე, როგორებიცაა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და პრობლემების გადაჭრა, სამუშაოს რაციონალურად ორგანიზება, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პასუხისმგებლობა, ობიექტური თვითშეფასება და კოლეგების შეფასება, მუშაობის პროცესში კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობები და სხვა“.⁴

პედაგოგი, ლექტორი, ამ შემთხვევაში, ჯგუფის დამოუკიდებელი შემეცნებითი პროცესის ორგანიზატორია. ის წარმართავს პროფესიული ცოდნის, უნარის, სტუდენტის ინდივიდუალური ზრდის პროცესს.

პირველ ეტაპზე ირკვევა კამერისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის დონე. მოდულის ხელმძღვანელი ჯგუფს, ზოგადად, მაგრამ ძირითადი ეტაპების კონსტრუქციაში უხსნის რეალურ დროში განვითარებული მოქმედების ფიქსირების პროფესიულ ტექნიკას.

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.22.

²იქვე, გვ.346.

³რეფლექსია- ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება.

⁴პედაგოგიური გზამკვლევი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016 გვ.209.

შესავალ კურსში პროფესიული ინსტრუმენტებისა და სამონტაჟო პროგრამის ოპერატიულ ფუნქციებზე, იდეის, ამბის, რეალურ დროში განვითარებული მოქმედების ლაკონურად გადმოცემის ხერხებზე იქნება საუბარი. როგორ ახდენს ჩართული კამერა და მიკროფონი სინამდვილის ტრანსფორმაციას. როგორ იყენებს ტელეწარმოება განსხვავებას რეალობასა და მიზნობრივ ილუზიას შორის. როგორ შეუძლია ხელის კამერას სპონტანური გადაღების პროცესშივე გაატაროს ეფექტური დრამატურგიული ანალიზი. მოსამზადებელ პერიოდში ასევე დგება აუდიტურიაში მიმდინარე თეორიული ლექციების გადაღებების განრიგი.

„სწავლა-სწავლების პროცესისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს სწავლების პროცესში შემსწავლელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას, ისეთ სასწავლო პროგრამებს, რომლებიც სტუდენტთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. ასეთი ტიპის გაკვეთილი სტუდენტის როლზე აკეთებს აქცენტს და პედაგოგიურ ლიტერატურაში არაპირდაპირი სწავლების სახელითაა ცნობილი. მაშასადამე, კონსტრუქტივისტული მიდგომა იზიარებს ინტერაქტიური სწავლების პრინციპს, სადაც სტუდენტი სწავლების პროცესის სუბიექტი, მისი აქტიური მონაწილეა“.¹

სპეციალობის ყველა ლექციაზე, მორიგეობით, ჯგუფიდან ერთი წევრი რეჟისორ-ოპერატორია.

„კადრში ატმოსფეროსა და შინაარსით მანიპულირებისთვის, რეჟისორმა არ არის აუცილებელი იცოდეს კამერის ყველა ტექნიკური დეტალი, მაგრამ უნდა ესმოდეს შემოქმედებითი ინსტრუმენტის პოტენციალი და შეძლოს მისი პრაქტიკულად გამოყენება“.²

ლექციის მიმდინარეობის პროცესში, სტუდენტმა უნდა გადაიღოს:

- სტუდენტური დღიური - „იდეების ბანკი“, კამერასთან მოყოლილი ისტორიები;
- ლექტორის მიერ ახალი თეორიული თემის წარდგენა;
- ნაშრომის საპრეზენტაციო განხილვა;
- ლექციის მიმდინარეობის პროცესში საინტერესო, სპონტანური ეპიზოდები.

¹პედაგოგიური გზამკვლევი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016 გვ.211.

²Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.209.

ორი კვირის ვადაში, სპონტანური ეპიზოდები, კამერასთან მოყოლილი ისტორიები უმნიშვნელო კადრებისგან უნდა გასუფთავდეს, დაარქივდეს; საპრეზენტაციო განხილვა მონტაჟდება, თუკი მასალა საინტერესოა, ან გადაღება წინასწარ დაგეგმილია მონტაჟისათვის; მთავარი, ახალი თეორიული თემის ვიდეო ვერსიის დამზადებაა - შემეცნებითი ჟანრის პუბლიკაცია, რომელიც, როგორც სასწავლო კომპონენტი, შეიძლება გავრცელდეს მაუწყებლობის სხვადასხვა არხით.

მკაფიოდ, თემატური ლოგიკით აწყობილი უახლესი სახელმძღვანელოები, თავმოყრილი თეორიული მასალით, სადაც ინფორმაცია სტრუქტურირებულია კონსპექტის სახით, ცხრილებში, ამოცანებში, ტექნიკური თუ პრაქტიკული წარმოების სქემებში, საშუალებას იძლევა მსმენელი აღქმის პროცესში, იოლად გადავიდეს სახიერი სიმბოლოდან ნიშნების ენაზე და პირიქით.

გავიხსენოთ, როგორ მიმართავდა მიხეილ თუმანიშვილი სტუდენტებს - „სასწავლო პროცესის პრინციპი ამგვარი იქნება: მე თქვენ ავიხსნით, მაგალითების მეშვეობით დაგანახებთ, შემდეგ კი თქვენ უნდა სცადოთ ... არა, არა, კი არ ვასწავლო - ცუდი სიტყვაა - მორალი კი არ ვუკითხო, არამედ მოვხიბლო თამაშით, თან გავიტაცო. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათ მოსწყინდეთ”.¹

თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „კრეატიულობა - შემოქმედებითი უნარები, ვითარდება პრობლემური სწავლების პირობებში. სისტემური ცოდნის ფორმირებით, სტუდენტის მიერ მომავალი პროფესიული საქმიანობის შესატყვისი მაღალი სირთულის ამოცანების გადაჭრით. პედაგოგი მხოლოდ მიმართავს საგნის შემეცნების პროცესს. მის ფუნქციებში რჩება ჯგუფის კოორდინაცია, კონტროლი.

ლექცია სამ კომპონენტად არის დაყოფილი: 1. „იდეების ბანკი“, 2. ახალი თემა თეორიული მასალიდან, 3. ნაშრომის პრეზენტაცია.

1 . „იდეების ბანკი“

„მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება, ამბის მოყოლა სატელევიზიო პროგრამის მთავარ მახასიათებლად რჩება. ახალი ამბები თუ სპორტი, ანალიტიკა თუ კომედიური შოუ - ყველა მათგანი ამბავს მოგვითხრობს. ტექნოლოგია უდავოდ

¹ თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის*, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“ 2004 გვ.9.

ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, ის მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტია თხრობითი სტრუქტურის“.¹

ყველა ლექციაზე თითოეული სტუდენტი მოდის დღიურის ფორმით, რაიმე ამბის ჩანაწერით. ეს იქნება საინტერესო ეპიზოდი; მნიშვნელოვანი, ემოციური ფრაგმენტი წარსულიდან; სტუდენტური ცხოვრებიდან; აქტიური, პროვოკაციული ხასიათის პერსონაჟთან დაკავშირებული ისტორია - ლიტერატურიდან, ფილმიდან, ახლო გარემოცვიდან; სიზმარის ინტერპრეტაცია სიურელისტურ, სიმბოლურ მანერაში; ინფორმაცია, სტატია, სოციალური ქსელის პუბლიკაცია; იდეა, მნიშვნელოვანი თემა, რომელმაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. ეს არის საკუთარი თავის კვლევა, პირადი ინტერესების ძიება.

„მოძებნეთ თქვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვები! პირველ რიგში, დაფიქრდით და უპასუხეთ:

- რა გინდათ შეცვალოთ სამყაროში თქვენი მზარდი პროფესიული ოსტატობით?
- რა თემებზე გინდათ იმუშაოთ?
- რისი გარკვევა გასურთ?
- გაქვთ თუ არა საკმარისი შემოქმედებითი სითამამე, რომ სათქმელი ყველას გასაგონად განაცხადოთ?“²

ტელევიზიებში მრავალპროფილიანი სპეციალისტის მოთხოვნის გათვალისწინებით, სტუდენტმა ეს ტექსტი კამერასთან უნდა მოყვეს, ან წაიკითხოს. ეს საკმაოდ რთული პროფესიული ტექნიკაა და ინტენსიური პრაქტიკით იხვეწება. ხშირად, გამოცდილ ტელეწამყვანებსაც უჭირთ ობიექტის მიმართონ ისე, თითქოს მაყურებელს ესაუბრებიან. წარმოდგინეთ შავი ჭიქა სახის სიმალლეზე, რომელშიც თან უნდა ილაპარაკო, თან ისე უნდა იყურო, თითქოს მსმენელს ხედავ.

ლექციის პირველი კომპონენტი რამდენიმე პროფესიულ ამოცანას ითვალისწინებს: პირველ რიგში, საკუთარი თავისა და გარემოს კვლევით ხდება სტუდენტის მხატვრული აზროვნების სტიმულირება, აქტიურდება ინერტული თვალი, თვითშეფასების სამყარო, იკვეთება შემოქმედებითი მისწრაფებები. ტექსტზე მუშაობით ხვეწს წერის მანერას. ეჩვევა კამერასთან ურთიერთობას. ირგებს ტელემთხრობელის ამპლუას. გადაღების დროს ირჩევს კადრის ფორმატს,

¹Миллерсон Дж., *Телевизионное производство*, Focal Press, 2004 გვ. 17.

²Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.116.

კომპოზიციას, კამერის მოძრაობას. გადაღების შემდეგ კრიტიკულად აფასებს მასალას, ცვლის მიდგომებს, ეძებს ამბის შესაფერის ეფექტურ გამომსახველობით ფორმებს. სწავლობს შემჩნეული თემიდან იდეის განსაზღვრას, ჩამოყალიბებას, შენახვას.

„იდეებს პირველ ეტაპზე სწორედ სიტყვებით იწერ. ამას ყველას ვეუბნები: როგორც კი იდეა მოგივთ, მაშინვე ჩაწერეთ-მეთქი. როცა ადრე დაწერილ სიტყვებს ვკითხულობ, იდეა მთელი ძალით მიბრუნდება. უნდა ეცადო, წინადადებით, სიტყვით მაქსიმალურად უერთგულო იდეას, რომ ეს აზრი შემდეგ მთელი სისრულით გაგახსენდეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სხვაგვარად დიდებული იდეა შეიძლება დაგავიწყდეს. შეიძლება გეგონოს, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ ეს ხდება“.¹

კლაუს სტანიეკისა და რენეტა გომპერის წიგნში „დოკუმენტური კინოწარმოების სწავლება ევროპაში“ ამბის კინომატოგრაფიული ეპიზოდები დაყოფილია ძირითად კატეგორიებად და შემოქმედებითი ამოცანების, მცირე ზომის პროექტების, სავარჯიშოების მაგალითზე, პრაქტიკულად მოიცავს ვიზუალური თხრობის ყველა ძირითად ელემენტს. პროექტებზე მუშაობა, საავტორო თუ ტექნიკური ამოცანების დაძლევა პროფესიის პრაქტიკულ ცოდნას იძლევა და სამომავლოდ რთული, შერეული ფორმებით სახიერი აზროვნების, კინოენით მეტყველების უნარია. მათ შორის, ერთ-ერთი არის „ავტოპორტრეტი“, რომელიც გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, როგორც პირველი კომპონენტის შემაჯამებელი ტესტი, უნდა მოსინჯოს ტელერეჟისურის სტუდენტმაც.

ავტოპორტრეტი

ხუთიდან რვა წუთამდე ვიდეო ეტიუდი შეიძლება იყოს საოჯახო კინო და ფოტო არქივით გაფორმებული მონოლოგი. შეიძლება გაკეთდეს ისე, თითქოს ავტორი სხვა, მისთვის საინტერესო პერსონაჟზე ყვება. პროფესიული ამოცანის ჩარჩო პირობით „ავტოპორტრეტი“ ილუსტრირებულად უნდა ყვებოდეს:

- მთავარ მოვლენებს ბავშვობიდან და მოზარდობის ასაკიდან;
- ოჯახურ ატმოსფეროს, სოციალურ მიკროსამყაროს, მშობლებთან დამოკიდებულებას;
- მათ შორის, რაღაც ისეთს, რაც გარემოცვას განსაკუთრებით ნიშანდობლივად ხატავს;

¹ლინჩი დ., ინტერვიუ რადიო „თავისუფლებასთან“, 2017.

- ძლიერი ზემოქმედების მქონე ყველა მნიშვნელოვან ფაქტს;
- ფოტო და ვიდეო მასალით, მოგონებებით, გამოწვეულ ავტორის განცდას.¹

შესრულების კრიტერიუმები, რომლებიც თან ახლავს კინოეტიუდებს, არა მხოლოდ დასრულებული სახით ნამუშევრის შეფასებისთვის გამოდგება, არამედ სტუდენტისთვის აღწერს რეჟისურის, მონტაჟის, ხმის ბილიკის რა ეფექტს ელოდება მისგან მაყურებელი.

„შეფასების კრიტერიუმები აუცილებელია:

- ლექტორის მიერ სტუდენტის ნამუშევრის უფრო ობიექტური შეფასებისთვის;
- სტუდენტების მიერ ერთმანეთის შედეგების ანალიზისთვის;
- პროექტების წარმოების პროცესში მეტი ინფორმატიულობისთვის“.²

შეფასების კრიტერიუმები:

რეჟისურა

- ავტობიოგრაფიული პორტრეტი აგებულია ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტებზე;
- აქცენტირებულია ერთი მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი, მოვლენა და მკვეთრად არის წამოწეული;
- მოყოლილია ზოგიერთი რთული ავტობიოგრაფიული ეპიზოდი;
- დამაჯერებლად არის ნაჩვენები ცხოვრების წესი, ოჯახური ატმოსფერო, სოციალური მიკროსამყარო;
- ავტორი თავისმართლებით არ არის დაკავებული;
- ავტორი თვითკრიტიკულია;
- ავტორი არ ჩანს თვითცენზურული;
- ავტორი ზედმეტად თავს არ იცავს;
- ფილმი გულწრფელია, იწვევს ნდობას;
- ფილმი საინტერესოა, გამახსოვრდება;
- ეფექტურად არის განაწილებული ეკრანული დრო;
- ქრონომეტრაჟი არ აღემატება 5-8 წუთს;

¹Рабигер М., Режиссура документального кино, Focal Press, 2006 გვ.360.

²Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.11.

- ავტორმა კარგად აჩვენა თავი რთულ, დოკუმენტურ ფორმაში;
- ფილმი ორიგინალური სათქმელით სცილდება სასწავლო პროექტის ფორმატს.

მონტაჟი

- მონტაჟური სტილი თხრობის შესაბამისია;
- მასალა შეკვეცილია ატმოსფეროს, განწყობის, ხასიათის გადმოსაცემად;
- მონტაჟური ბმები პერსონაჟის, ან კამერის გადაადგილებას მიყვება;
- ჩართული კადრებით მინიშნებულია ავტორისეული თვალსაზრისი და მთავარი სათქმელი;
- ქვეტექსტი გააქტიურებულია ინფორმაციული კადრით;
- მიმიკური კადრები პერსონაჟების შინაგან განწყობას ასახავენ;
- ვიზუალური კომენტარით სიტყვა და მოქმედება კონტრაპუნქტურად დაპირისპირებულია;
- მონტაჟურ ბმებზე გამოყენებულია ხმა წინსწრებით, ჯერ ხმა – შემდეგ გამოსახულება, ან პირიქით, ჯერ გამოსახულება – შედეგ ხმა;
- ფიგურალური მნიშვნელობის ხმოვანი და სახიერი სიმბოლოებით გადმოცემულია ემოციური პალიტრა;
- გააზრებულია მუსიკალური პარტიტურა;
- მუსიკალური თემისა და ხმოვანი ეფექტების დამატებით აქცენტირებულია კონცეპტუალური იდეა;

„აქ აღწერილი კრიტერიუმები შეიძლება გამოიყენოთ შეუცვლელად, ან ადაპტირებული სახით, ან საწარმოო ამოცანიდან გამომდინარე შეადგინოთ თქვენი ჩამონათვალი. თითოეული პუნქტი საქმიანი მესიჯია, პროფესიული სტანდარტის მინიშნებაა, დამწყები რეჟისორისთვის. სტუდენტებს მოსწონთ გასაგები შეფასების სისტემა. თვითონაც სწავლობენ კონსტრუქციული კრიტიკის ენას. თანაკურსელის ნაშრომის შეფასებისას, თვალსაჩინო შენიშვნებით, მონაწილეობენ მის პროფესიულ ზრდაში. საეტაპო ფილმები უფრო ხშირად დაუფარავი კრიტიკული თანამშრომლობის შედეგია და არა ერთმანეთთან დაპირისპირებული პირფერობის. შეიძლება ცვალოთ შეფასების ხარისხის გრადაცია. ჩვენ გვაქვს ნულიდან ხუთის ფარგლებში. 0- უარყოფითი, 1-მინიმალური, 2-რამდენადმე უკეთესი, 3-საშუალო, 4 - კარგი, 5 - ძალიან კარგი“.¹

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.490.

2.ახალი თემა თეორიული მასალიდან

ლექტორი სასწავლო ინფორმაციას წარადგენს თეორიული სტრუქტურის, სქემის სახით, სირთულის ლოგიკური თანმიმდევრობით. ერთ-ერთი სტუდენტისთვის მოსმენილი ლექცია გადაღებული მასალაცაა. მისი ამოცანაა – თემის ეკრანული ფორმით გააზრება, საილუსტრაციო მასალის შერჩევა, მონტაჟი, გახმოვანება, განსაზღვრულ ვადაში სატელევიზიო ვერსიის დამზადება. პროექტის წარმოების პროცესი გულისხმობს სრული სატელევიზიო ციკლის გავლას. მუშაობს წინასწარი სცენარის გარეშე, ვერ გადის კინოთეორიით აღწერილ მოსამზადებელ პერიოდს, იღებს მოცემულ პირობებში, მოცემულ გარემოში. ამონტაჟებს არა წინასწარ გააზრებული სამონტაჟო ფურცლის მიხედვით, არამედ აღებული მასალიდან გამომდინარე. მუშაობს ციკლურად; გადაღების დრო, მონტაჟი, წარდგენის ვადა, რეგლამენტებულია. სტუდენტი სარედაქციო ჯგუფის წევრია, იცავს საწარმოო განრიგს, კომპეტენციის ჩარჩოს. იგი სრულად არის პასუხისმგებელი მოვლენის გაშუქებაზე, შემოქმედებით გარემოსა და პირად ქცევაზე.

თეორიული თემის რეპრეზენტაციისთვის პროფესიული ამოცანები ხუთ საფეხურადაა განაწილებული:

1. ხმისა და გამოსახულების შეთანხმება;
2. დამონტაჟებული ვიდეოს ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით გაფორმება;
3. ტიტრებითა და ვიდეოეფექტებით დამონტაჟებული ვიდეოს მუსიკალური გაფორმება;
4. ჯგუფური წარმოების მართვა;
5. თეორიული თემის, როგორც ინფორმაციული ტექსტის, სახვითი გადაწყვეტა, ფოკუს აუდიტორიის და გავრცელების არხის გათვალისწინებით.

პირველ საფეხურზე, გადაღებული მასალის სტენოგრაფიული გაშიფრვის შემდეგ, საჭიროა თხრობითი სტრუქტურის აწყობა, სამონტაჟო ფურცლის დამზადება, სამუშაო ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ლექტორთან კონსულტაციის შემდეგ მონტაჟი, ვიდეო ხმისა და გამოსახულების შეთანხმება. ყველა მომდევნო საფეხურზე სტუდენტი გადადის მხოლოდ მოცემული საფეხურის პროფესიული ამოცანის დაძლევის შემდეგ. ინდივიდუალური მონაცემების, ცოდნისა თუ

გამოცდილების მიხედვით, ზოგს შეიძლება რამდენიმე ცდა დასჭირდეს, ზოგისთვის შეიძლება ერთიც საკმარისი იყოს.

მეორე საფეხური პირველ პროფესიულ ამოცანას ამატებს დამონტაჟებული ვიდეოს ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით გაფორმებას.

მესამე საფეხურზე სტუდენტმა ხმები და მუსიკალური თემები ვიზუალური თხრობის დრამატურგიულ ელემენტად უნდა გამოიყენოს.

მეოთხე საფეხურზე პროექტის წარმოების პროცესში ჯგუფი უნდა ჩართოს, საქმე გადაანაწილოს, პროფესიული ქცევის სტანდარტით წარმოების პროცესი მართოს.

მეხუთე საფეხური ახალ თემას თეორიული მასალიდან იღებს, როგორც ვიდეოს მხოლოდ ინფორმაციულ საფუძველს. მოწოდების ფორმა რეჟისორის ვიზუალურ გადაწყვეტაზე დამოკიდებული. ლექტორის მითითებით, სტუდენტმა უნდა მოსინჯოს სხვადასხვა ფოკუს აუდიტორიისთვის(საბავშვო, მოზარდი, პროფესიული...) ინფორმაციის ვიზუალიზაცია. თხრობის მანერით გასათვალისწინებელია პუბლიკაციის გავრცელების არხიც. როგორც გრძელვადიანი პირობითი ზეამოცანა - ჯგუფი, მოდულის ხელმძღვანელის პროფესიული მითითებებით, ქმნის საგანმანათლებლო ფილმს რეჟისურის თეორიაში, თან ინახავს საკუთარი ჯგუფის ისტორიას. თავისთავად დაარქივებული მასალა კარგი დოკუმენტია მეთოდის ლონგიტური კვლევისთვის.¹

„სწავლის მოტივაციის შესაქმნელად აუცილებელია სტუდენტი განიხილავდეს დავალებას, როგორც ღირებულს, მნიშვნელოვანს, როგორც საკუთარი ძალებისა და უნარების გამოწვევას. ერთი მხრივ, დავალება არ უნდა იყოს ძალიან ადვილი, მეორე მხრივ, არ უნდა იყოს ძალიან რთული, რათა სტუდენტს არ გაუჩნდეს განცდა, რომ ვერ შეძლებს მის შესრულებას“.²

¹ლონგიტური კვლევა -(*ინგლ. Longitudinal study - სიტყვისგან - longitude - ხანგრძლივი*) სამეცნიერო მეთოდი, გამოყენებული, კერძოდ, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, რომელიც შეისწავლის ერთი და იგივე ჯგუფს, დროს იმ ხანგრძლივობით, რა დროშიც კვლევის ობიექტები მნიშვნელოვნად შეცვლიან რაიმე, მათთვის არსებით ნიშანს.

²Фопель К., *Психологические принципы обучения взрослых*, Генезис, 2010 გვ.26.

პირველი საფეხურის პროფესიული ამოცანა:

ლექციის გადაღება, გადაღებული მასალის სტენოგრაფიული გაშიფვრა, თაიმკოდებით მარკირება, თხრობითი სტრუქტურის განსაზღვრა, სამონტაჟო ფურცელის მომზადება; ვიდეომონტაჟზე ხმისა და გამოსახულების შეთანხმება.

ამოცანის ჩარჩო, პირობა:

- ლექტორის მიერ ახალი თემის წარდგენას სტუდენტი იღებს ერთი, შტატივზე დადგმული კამერით, ბუნებრივი განათებითა და აუდიტორიის დამახასიათებელი ხმების თანხლებით (თემის წარდგენა არაუმეტეს ერთი საათისა);
- იყენებს ერთ მიკროფონს ლექტორის ხმის ჩასაწერად;
- გადაღება მიმდინარეობს უწყვეტად, ლექციის პროცესში ჩაურევლობის პირობით;
- აფიქსირებს მოულოდნელ, სპონტანურ ეპიზოდებს;
- სტენოგრაფიულად შიფრავს გადაღებული ვიდეოს ხმასა და გამოსახულებას;
- გაშიფრული ვიდეო თაიმკოდებით მარკირებულია;
- მონიშნულია ტექსტა და გამოსახულებაში ზედმეტი, ამოსაღები მასალა;
- არჩევს თემის ვიდეო და ფოტო ილუსტრაციებს. პირველ ცდაზე დასაშვებია ლექტორის წარმოდგენილი სანიმუშო კადრების გამოყენება;
- აწყობს თხრობით სტრუქტურას, ავსებს სამონტაჟო ფურცელის გამოსახულებისა და თანხლები ტექსტის სექტორს;
- მონტაჟის დროს, რეალურ დროში მიმდინარე ლექციას კვეცს, ამზადებს კომპაქტურ ვერსიას;
- ხმა და გამოსახულება შეთანხმებულია, საილუსტრაციო ვიდეო ტექსტის შესაბამისად;
- ქრონომეტრაჟი არ აღემატება 45 წუთს.

საწარმოო რეკომენდაციები:

გადაღების წერტილი თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს როგორც ლექტორისა და საპრეზენტაციო მონიტორის მდებარეობას, ასევე მსმენელ აუდიტორიას. წინასწარ უნდა მოისიჯოს კამერის პოზიცია; აუცილებლობის შემთხვევაში, კადრი იოლად უნდა გადავიდეს ლექტორიდან თითოეული სტუდენტის ხედზე. კამერის ობიექტივი დაცული უნდა იყოს

პირდაპირი სინათლის სხივისგან. პირველ ეტაპზე, გადაღებიდან ერთი კვირის თავზე, სააუდიტორიო, ჯგუფური განხილვისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს მასალის სტენოგრაფიული ტექსტი, თაიმკოდების მითითებით, შესაკვეცი ადგილების მონიშვნით. სტუდენტმა მაცურებლის თვალთ უნდა განსაზღვროს, სად დასჭირდება ინფორმაციას ვიზუალური დადასტურება, სად განმარტება და სად კონტექსტი. მომდევნო კვირაში ვიდეო მონტაჟდება ლექტორის შენიშვნების გათვალისწინებით. „კინემატოგრაფიული ხელოვნება მდორე, ბუნდოვანი, ცხოვრებისეული ფრაგმენტის ეკრანულ დროში გადატანაა, მოკლე, მნიშვნელობის მქონე ეპიზოდებით“.¹

შეფასების კრიტერიუმები

- მონტაჟური სტილი სალექციო განწყობის შესაბამისია;
- თხრობით ინფორმაციას ავსებს ვიზუალური ილუსტრაცია;
- ილუსტრაცია ტექსტის შესაბამისია.
- გამოსახულება ადგილზეა - ზედმეტად არც უსწრებს განმარტებას, არც ჩამორჩება;
- მასალის შეკვეცით თხრობის ნატურალური რიტმი არ ირღვევა;
- კადრი კარგად კონტროლდება, მოძრაობა გააზრებულია და ინფორმატიული;
- არასინქრონული მიმიკური კადრები ქვეტექსტის მატარებელია;
- კადრიდან კადრზე გადასვლა დელიკატურია, გადაბმები არ ჩეხავს მოქმედებას;
- სალექციო ტექსტიდან ამოჭრილია ყველა ზედმეტი ფრაზა;
- ტექსტი მორგებულია ეკრანული თხრობის სტილს;
- ხმის მონტაჟი ბგერასთან ინარჩუნებს სუნთქვას, როგორც მეტყველების ერთიან ელემენტს;
- მონტაჟურ ბმებზე აღმავალი და დაღმავალი ტონალობა ბუნებრივად ჟღერს;
- თემები არ მეორდება;
- დამონტაჟებული ლექცია დრამატურგიულად გამართულია და თითქოს მონტაჟის გარეშეც ლოგიკურად ვითარდება;
- ლექციის თემა გასაგებად მოყოლილია, მაცურებელში იწვევს ინტერესს.

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.21.

მეორე საფეხურის პროფესიული ამოცანა:

დამონტაჟებული ლექციის ტიტრებითა და ვიდეო ეფექტებით გაფორმება. ტიტრის ფორმა, ეკრანული დრო და შინაარსი. მანიპულაცია ვიდეო გამოსახულებით.

ამოცანის ჩარჩო, პირობა:

პირველი საფეხურის პროფესიულ ამოცანას ემატება გამოსახულების ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით გაფორმება.

- დასაწყისი ტიტრი - ლექციის თემა;
- სუბტიტრები - ყველა მონაწილე პერსონაჟის;
- ტიტრი - სადაც გამოსახულებას ჭირდება ტექსტუალური განმარტება;
- ფინალური ტიტრები - ვინ მუშაობდა, რა მასალებია გამოყენებული, ვის ვუხდით მადლობას დახმარებისთვის, სად დამზადდა ვიდეო, გადაღების წელი და ა.შ. ყველა გვარი და ინფორმაცია რაც წარმოების პროცესთან არის დაკავშირებული;
- ვიდეოეფექტები თხრობის სტილისტიკიდან გამომდინარე: კადრზე, ტიტრებზე, მონტაჟურ ბმებზე.

საწარმოო რეკომენდაციები:

ლექციის გადაღებისა და მონტაჟის შემდეგ ვიდეო უნდა გაფორმდეს ვიზუალურად ტიტრებითა და გამოსახულების ეფექტებით. წარწერა შეიძლება გამოვიყენოთ ყველგან, თუკი ვიდეოს ავტორი ჩათვლის, რომ თემის აღქმას ტექსტუალური განმარტება დაეხმარება. ტიტრი არ უნდა იყოს გრძელი, დაწვრილებითი ტექსტით; ძნელად წასაკითხი, წვრილი შრიფტითა და ბაცი ფერის. ტიტრის ფორმა უნდა გამომდინარეობდეს მისი ფუნქციიდან და არაერთხელ უნდა შემოწმდეს ორთოგრაფიული გამართულობის თვალსაზრისით. ტიტრი ეკრანზე რჩება ხმამაღლა წაკითხულს პლუს კითხვის ნახევარი ხანგრძლივობით.

შეფასების კრიტერიუმები:

- სათაური მოკლე, ინფორმაციული, მიმზიდველია. გადმოსცემს თხრობის არსს;
- აქვს სარეკლამო სლოგანის ეფექტი - აღვიძებს ინტერესს;
- ტიტრის შრიფტი, ზომა, ფერი, შეხამებულია გამოსახულებასთან;

- ყველა ტიტრი გრამატიკულად გამართულია, არ არის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები;
- ყველა ტიტრის ფორმას განსაზღვრავს ტექსტის ფუნქცია;
- ტიტრი ინფორმატიული და მიმზიდველია;
- ყველა ტიტრი გამოიყენება აქცენტისთვის, დამაზუსტებელი, დამატებითი ინფორმაციის აუცილებლობით;
- ვიზუალური შეტყობინება მარტივი წინადადებაა, ამბობს მთავარს, გასაგებია;
- შრიფტი შერჩეულია პრიორიტეტულად მკვეთრი, იოლად იკითხება;
- დინამიკური ტიტრი კონკურენტულია და არა კონფლიქტური კადრის ვიზუალურ კომპონენტებთან:
 - მოძრაობის ტრაექტორიით, რითმით, მიმართულებით;
 - ფერით, ტექსტურით, პალიტრით;
 - წარწერის დაჯგუფებით და ორგანიზაციით;
 - შეტყობინების საგანზე კომპოზიციური აქცენტით;
 - ვიზუალური მოცულობითა და ბალანსით;
 - ფონთან კონტრასტული ან დაბალანსებული შეხამებით;
- ეკრანული დრო საკმარისია ტექსტის წასაკითხად;
- განლაგების დროს გათვალისწინებულია ეკრანის ფორმატი. ტიტრს არ ჭრის არც მონიტორის გვერდითა და არც ქვედა ხაზი;
- ტიტრებითა და ვიდეოეფექტებით გაფორმების დიზაინი შეესაბამება ვიზუალური თხრობის მანერას;
- ყველა ტექნიკური მანიპულაცია ორგანული ნაწილია გამოსახულების, არ ჭრის თვალს;
- მთლიანად ვიდეოს ვიზუალური გაფორმება ეხმარება ინფორმაციის აღქმას.

მესამე საფეხურის პროფესიული ამოცანა

მუსიკალური გაფორმება, როგორც ვიზუალური თხრობის დრამატურგიული ელემენტი. ვიდეოს ხმოვანი და მელოდიური პარტიტურა.

ამოცანის ჩარჩო, პირობა:

მესამე საფეხური ამატებს ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით ლექციის გაფორმებას, მუსიკალურ და ხმოვან კომენტარს.

- დამონტაჟებულ ვიდეოში მუსიკალური თემებისა და ხმოვანი ეფექტების კოორდინატების მონიშვნა;
- მუსიკალური სექტორის მომზადება - მელოდიური ფრაგმენტის ქრონომეტრაჟით, ხმოვანი ეფექტების კადრის ნომრის, შესვლისა და გამოსვლის ადგილებით, სასურველი მუსიკალური ფაქტურის, რითმის, განწყობის მითითებით;
- სავარაუდო მუსიკალური თემების, ხმოვანი ეფექტების შერჩევა თხრობის მანერასთან შეხამება;
- გახმოვანება, ვიდეოს მუსიკალურად გაფორმება.

საწარმოო რეკომენდაციები:

„უკეთეს შემთხვევაში, მუსიკა არა მხოლოდ ილუსტრაციული გაფორმებაა, არამედ ავტორისეული „რემარკა“, რომელიც ხან ალტერნატიულ იდეას აჟღერებს, ხან მიანიშნებს, რასაც თვალი ვერ ხედავს, ხან განმარტავს, რასაც თვალი ხედავს“.¹

დამონტაჟებული ვიდეოს გახმოვანება თხრობას დრამატურგიულად ასრულებს. მაყურებელს ემოციურად მართავს, აცხადებს უხილავ შინაგან სამყაროს, ავსებს მოქმედებას. ხმოვანი ეფექტები მიანიშნებს მნიშვნელოვანს, ხაზს ავლებს მთავარს.

„სმენადი ელემენტების საშუალებით, წარმოსახვის პროცესში, მაყურებლის ჩაბმას „კადრის გაფართოვება“ ეწოდება“.² ხმებითა და მელოდიური თემებით ვიდეო ბევრად სუბიექტური, ავტორისეული ინტერპრეტაციის მაჩვენებელი ხდება. „მხოლოდ გამოსახულება ნახევრად

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.427.

²Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.187.

მოყოლილი ისტორიაა“. ¹ მუსიკა უფრო ხშირად გამოიყენება განწყობისთვის, ეპიზოდებიდან ეპიზოდზე გადასვლის დროს, პაუზების შესავსებად. თუმცა უადგილოა იქ, სადაც გამოსახულება მუსიკის გარეშე მუშაობს და მისი დახმარება ზედმეტია.

„მოვლენის რიტმი, დიალოგები, კამერის მოძრაობა, მონტაჟი თავისთავად ბგერათა მუსიკალური სტრუქტურაა. არ ღირს ცოცხალი ყვავილის ხელოვნური საღებავებით გაფერადება“.²

შეფასების კრიტერიუმები:

- შერჩეული მუსიკალური თემები ტონალურად შეთავსებულია, მათ შორის არის ლოგიკური კავშირი, გააზრებულია თანმიმდევრობა;
- ვიდეო არ არის გადატვირთული მუსიკით. მუსიკა, ხმა და გამოსახულება ერთმანეთთან ინტეგრირებულია;
- მიკროფონის ხმა, როგორც მთავარი ტონალობა, დაბალანსებულია დამხმარე ხმებთან;
- მუსიკალური თემები და ხმოვანი აქცენტები ეხმარებიან ინფორმაციის აღქმას;
- მუსიკალური თემის ჟღერადობა ბუნებრივია „შემოსვლის“ ფრაზიდან გასვლამდე;
- ყველა თემა შეუმჩნევლად მიქმერდება, მიქმერს ფარავს მომდევნო ეპიზოდის აქტიური ტონალობა;
- რთული არანჟირების მკვეთრი ინსტრუმენტული ჟღერადობა კონკურენციას არ უწევს ხმას;
- ხმის ეფექტს კარნახობს კადრის შინაარსი;
- ხმის პარტიტურა გამომსახველობას აძლიერებს, მუსიკალური თემის ფაქტურა და ტემპი სტილისტურად შესაბამისია;
- ვიდეო ორიგინალურად არის გაფორმებული. მუსიკისა და გამოსახულების კონტრაპუნქტული შეთანხმებით მიღწეულია ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალური რიგისა და ხმის მოულოდნელი ჰარმონია;
- მელოდიური კომენტარები ფიგურალური მნიშვნელობის ხმოვანი სიმბოლოებია;
- მთლიანად ვიდეო მიქმირება კარგად არის შესრულებული როგორც ჩაწერის ხარისხის, ასევე დამხმარე ხმებისა თუ სანიმუშო ფრაგმენტების ხმის დონის შეთანხმების თვალსაზრისით.

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.260.

² Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.427.

მეოთხე საფეხურის პროფესიული ამოცანა

შემოქმედებითი ჯგუფი; რეჟისორი, ტექსტის რედაქტორი, მუსიკალური გამფორმებელი; საწარმოო ფუნქციების გადანაწილება, კომპეტენციის ჩარჩო. გუნდური პროფესიული ქცევის სტანდარტი.

ამოცანის ჩარჩო, პირობა:

რეჟისორი:

- იღებს ლექციას;

პასუხისმგებელია:

- საწარმოო პროცესის მართვაზე;
- დასრულებული ვიდეოს შესრულების ხარისხზე;
- გადაღების შემდეგ ჯგუფიდან ირჩევს ტექსტის რედაქტორსა და მუსიკალურ გამფორმებელს;
- მუშაობს სარეჟისორო სცენარზე, ხმისა და გამოსახულების საკუთარ ვერსიაზე;
- ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებს ფუნქციებს;
- ჯგუფის წევრებთან შეთანხმებით, გეგმავს წარმოების, საწარმოო თათბირების გრაფიკს;
- კოორდინაციას უწევს სამუშაო პროცესს.

ტექსტის რედაქტორი:

- განსაზღვრულ ვადაში, სტენოგრაფიულად შიფრავს გადაღებულ ლექციას;
- აწყობს თხრობის სტრუქტურას;
- კვეცს უმნიშვნელო ტექსტს;
- ადგენს სავარაუდო ტიტრებს, ყველა იმ პირობის გათვალისწინებით, რაც პირველ და მეორე საფეხურებზეა აღწერილი;

ტექსტის გამზადებული სექტორი განიხილება რეჟისორთან ერთად, შეთანხმებული ვერსია მონტაჟდება.

მუსიკალური გამფორმებელი:

- დამონტაჟებული ვიდეოს მიხედვით, რეჟისორთან ათანხმებს მუსიკალური გაფორმების სტილს;
- ინიშნავს მელოდიური ფრაგმენტებისა და ხმის ეფექტების ადგილებსა და ქრონომეტრაჟს;
- იღებს მითითებებს სასურველი მუსიკალური ფაქტურის, რითმის, განწყობის შესახებ;
- განსაზღვრულ ვადაში დამოუკიდებლად არჩევს თემებს, ხმოვან ეფექტებს, ყველა იმ პირობის გათვალისწინებით, რომლებიც მესამე საფეხურებზეა აღწერილი.

რეჟისორისთვის მისაღები ვერსიით, ვიდეო მუსიკალურად ფორმდება.

გახმოვანების პროცესს ესწრება ჯგუფის სამივე წევრი, ვიდეოში ბოლო კორექტივების შესატანად.

საწარმოო რეკომენდაციები:

„შემოქმედებით ჯგუფში საქმე იწყება ნდობით და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით“.¹

სინთეზური სატელევიზიო დარგი ურთიერთობებზე დგას. ჯგუფის წევრების არჩევისას, რეჟისორმა უნდა იცოდეს, რომ თითოეული მათგანი გავლენას იქონიებს საბოლოო შედეგზე.

„იერარქიული პირამიდის თავში დგას რეჟისორი. მისი ამოცანაა - კადრისა და ხმის საშუალებით ადექვატურად მოყვეს ისტორია. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ის ნათლად უზიარებს იდეებს ჯგუფსა და ტექნიკურ პერსონალს. რეჟისორი ტონს აძლევს ურთიერთობებს, მისი მუშაობის ტემპზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფი რეაგირება ექნება ჯგუფს სხვადასხვა საწარმოო ამოცანაზე. რეჟისორი იღებს და ცვლის გადაწყვეტილებებს. მისი არჩევანი შეიძლება იყოს კარგი, ან ცუდი, თუმცა ეს მისი უფლებაა, რადგან მხოლოდ მას აქვს წარმოდგენილი ფილმის დასრულებული ვერსია“.²

პროექტის წარმატებით დაინტერესებული თანამოაზრეების გუნდი, პარტნიორული მხარდაჭერით ცდილობს შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს რეჟისორული გადაწყვეტის განხორციელებაში.

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.60.

² Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.169.

„რეჟისორისთვის ჯგუფის წევრები მისი მრწამსია“.¹ ადამიანების გარემოცვა, ვისთანაც მოსწონს მუშაობა. მოსწონს მათი ხასიათი, პროფესიული ქცევა და ალღო.

შეფასების კრიტერიუმები:

რეჟისორს:

- გააზრებული აქვს თემის განვითარება და ვიზუალური გადაწყვეტა;
- ჯგუფის წევრებისთვის ნათლად აყალიბებს საწარმოო ამოცანებს;
- საწარმოო გრაფიკი ოპტიმალურად დაგეგმილია, დავალების შესრულების დრო ითვალისწინებს საქმის მოცულობას;
- გახსნილია მუშაობის პროცესში, იცვლის აზრს, იღებს და იყენებს ახალ იდეას უკეთესის სასარგებლოდ;
- შერჩევით და ერთმანეთთან შეთავსებით თავს უყრის საუკეთესოს, მთლიანი აუდიოვიზუალური სურათის მისაღებად;
- პოზიტიური განწყობა აისახება ჯგუფის ორგანიზებულობასა და რეზულტატზე;
- საწარმოო თათბირების გრაფიკი შეთანხმებულია ჯგუფის წევრებთან, იცის თითოეულმა, იგეგმება აუცილებლობიდან გამომდინარე, არ არის დროის ფუჭი ხარჯვა.

ჯგუფის წევრებს:

- ერთმანეთთან კორექტული, დელიკატური დამოკიდებულება აქვთ;
- იცავენ კომპეტენციის ჩარჩოს;
- არ არღვევენ საწარმოო გრაფიკს(ასწრებენ მოცემულ დროში, არ აცდენენ, არ აგვიანებენ შეხვედრებზე);
- არ ქმნიან დესტრუქციულ გარემოს;
- იღებენ შენიშვნებს.

ჯგუფის წევრების ჩართულობით თავდაპირველი სარეჟისორო გადაწყვეტა უკეთესისკენ იცვლება;

საწარმოო გრაფიკის დაცვით ჯგუფი დროულად ასრულებს პროექტზე მუშაობას;

ჯგუფური ნამუშევარი ასახავს პირველი, მეორე და მესამე საფეხურის შეფასების კრიტერიუმებს.

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.237.

მეხუთე საფეხურის პროფესიული ამოცანა

შემეცნებითი ინფორმაციის ვიზუალიზაცია, წარდგენის ფორმა ფოკუს აუდიტორიის გათვალისწინებით.

ამოცანის ჩარჩო-პირობა:

- სტუდენტი იღებს ლექციას პირველი საფეხურის შესაბამისად - ერთი კამერითა და მიკროფონით, ლექციის პროცესში ჩაურევლობის პირობით;
- სტენოგრაფიულად შიფრავს ხმას, როგორც შემეცნებითი ინფორმაციას;
- გაშიფრული ტექსტი იკვეცება მთავარ მესიჯებად;
- ირჩევს თემის ვიზუალურ გადაწყვეტას, ფოკუს აუდიტორიის გათვალისწინებით;
- აკეთებს კადრირებას, რომელშიც ნათლად ჩანს, რა ფორმით არის ნავარაუდები თემის გადმოცემა;
- სარეჟისორო სცენარში გააზრებულია პროექტის, როგორც ესთეტიკური მხარე, ასევე პრაქტიკული შესრულების საწარმოო ფაქტორები;
- ერთი კვირის თავზე კადრირებას განიხილავენ ლექტორი და ჯგუფი და კორექტირებული ვერსიით აგრძელებენ მუშაობას;
- საქმის მოცულობიდან გამომდინარე, სტუდენტი ადგენს შემოქმედებით ჯგუფს, ანაწილებს ფუნქციებს, გეგმავს საწარმოო პროცესს;
- ნიშნავს გადაღებებს, არჩევს საილუსტრაციო მასალას, ხმოვან ეფექტებს, მუსიკას;
- ამონტაჟებს, ახმოვანებს, აფორმებს სუბტიტრებიტა და ტიტრებით;
- ორი კვირის ვადაში წარადგენს სალექციო თემის შემეცნებით, სატელევიზიო ვერსიას.

საწარმოო რეკომენდაციები:

„ტელერეჟისორმა სატელეფონო ცნობარიც სანახაობად უნდა აქციოს“ - ამბობენ ტელევიზიაში. გადაღებული ლექცია მხოლოდ ინფორმაციული მასალაა, შემეცნებითი თემა, რაც, რეჟისორული ინტერპრეტაციის საშუალებით, ეფექტურად უნდა იყოს გადმოცემული. ხმის სტენოგრაფიული გაშიფვრა მხოლოდ კადრგარე ან წამყვანის ტექსტის დასაწერადაა აუცილებელი. სალექციო თხრობა უნდა შეიცვალოს მოკლე კონსპექტით, რომელიც მთავარი თეორიული მესიჯებით იქნება

შედგენილი და ვიზუალური ილუსტრაციით განმარტებული. თხრობის სტილს განაპირობებს პუბლიკაციის გავრცელების არხი და ფოკუსაუდიტორია.

რეჟისორმა, კადრირების ანუ პრევიზუალიზაციის პროცესში, უნდა უპასუხოს ორ კითხვას - რა ფორმით შემიძლია უკეთ მოვყვე ისტორია? და, რა აუცილებელი მატერიალური თუ ტექნიკური რესურსი მაქვს ჩანაფიქრის განსახორციელებლად?

„კომპრომისები გარდაუვალია, თუმცა არა ხარისხისა და სტრუქტურის მთლიანობის სანაცვლოდ“.¹
„ხშირად საუკეთესო იდეა, სწორედ გამოსავალის ძებნის დროს იბადება“.²

სტუდენტს, ვიზუალური სტილის ასარჩევად, შეუძლია დაიხმაროს ინტერნეტი, სადაც მრავლად არის განთავსებული სხვადასხვა სახით მოწოდებული სასწავლო ინფორმაცია...უნდა იცოდეს, რა არის უკვე გაკეთებული“.³ „სტილი-გარეგნობაა შინაარსის, შინაარსი შინაგანი სამყაროა სტილის.(...) „ემებეთ შიგნიდან გარეთ, და არა პირიქით! არ დაქანცოთ იდეა სტილით“.⁴

შეფასების კრიტერიუმები:

- სათაური გადმოსცემს თხრობის არსს, აქვს სარეკლამო სლოგანის ეფექტი;
- პირველი ტექსტი მოკლე და ინფორმატიულია, აღვიძებს ინტერესს;
- კარგად არის შერჩეული სალექციო თემის ძირითადი თეორიული მესიჯები;
- ფრაზები მკაფიოდ, გასაგებად ჟღერს, აზრის გადმოცემას არ ართულებს სპეციფიკური ტერმინოლოგია და გრძელი წინადადებები;
- თხრობით სტრუქტურას მაყურებელი მიყვას მარტივიდან რთულისკენ;
- ინფორმაციას განმარტავს შესაბამისი ილუსტრაცია;
- ტექსტი და გამოსახულება ერთმანეთთან ინტეგრირებულია;
- ვიდეო სანახაობრივია და შემეცნებითი. ფორმა კარგად არის შერჩეული, სტილისტურად არ მერყეობს თხრობის პროცესში;

¹ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.167.

² Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.178.

³ Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.181.

⁴ Годар Ж-Л, Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009 გვ.181.

- ტექსტი და ვიზუალური გადაწყვეტა ითვალისწინებს პუბლიკაციის გავრცელების არხსა და ფოკუსსაუდიტორიას;
- კადრიდან კადრზე გადასვლა, მონტაჟური სტილი თხრობის მანერის მაჩვენებელია;
- კადრში ყველა ტექნიკური მანიპულაცია გამოსახულების ორგანული ნაწილია, დაცულია მეორე საფეხურის ყველა კრიტერიუმი;
- მთლიანად ვიდეოს ვიზუალური გაფორმება ეხმარება ინფორმაციის აღქმას;
- ხმის მონტაჟი ბგერასთან ინარჩუნებს სუნთქვას, როგორც მეტყველების ერთიან ელემენტს;
- მონტაჟურ ბმებზე აღმავალი და დადმავალი ტონალობა ბუნებრივად ჟღერს;
- შერჩეული მუსიკალური თემები ტონალურად შეთავსებულია, მათ შორის არის ლოგიკური კავშირი, გააზრებულია თანმიმდევრობა;
- მუსიკალური თემები და ხმოვანი აქცენტები მთხრობელის დამატებითი კომენტარია;
- მთლიანად ვიდეო მიქშირება კარგად არის შესრულებული, როგორც ჩაწერის ხარისხის, ასევე დამხმარე ხმებისა თუ სანიმუშო ფრაგმენტების ხმის დონის შეთანხმების თვალსაზრისით;
- განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ეფექტურად არის გამოყენებული, არ მოქმედებს შესრულების და შემეცნების ხარისხზე;
- პოზიტიური განწყობა, კარგად ორგანიზებული წარმოების პროცესი, ასახულია რეზულტატზე;
- ვიდეო დროულად არის დასრულებული, მოესწრო ყველა ჩაფიქრებული ამოცანის განხორციელება.¹

¹შეფასების კრიტერიუმები, საწარმოო რეკომენდაციები შედგენილია სახელმძღვანელოების მიხედვით:

ჯ. ოუენი, ჯ. მილერსონი - „ტელეწარმოება“ 2012

ჯ. მილერსონი - „ტელეწარმოება“ -2004

პ. უორდი, ა. ბერმინგემი, კ. უერი - „პროფესიების შეთავსება ტელეწარმოებაში“ 2013

მ. იაკობსონი - „მულტიკამერული წარმოება: მომზადება, მონტაჟი, ტრანსლიაცია“ 2012

ბ. ბლოკი - „ვიზუალური თხრობა“ 2012

პიტერ ვ. რეა, დევიდ კ. ირვინგი - „მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროდიუსირება და რეჟისურა“ 2009

მ. რაბიგერი - „დოკუმენტური კინოს რეჟისურა“ 2006

წარმოადგენს ვიზუალური თხრობის გრამატიკის საბაზისო ნაკრებს. შერჩევის დროს გათვალისწინებულია ტელესპეციფიკა, დამწყები რეჟისორის პროფესიული სტატუსი.

3. ნაშრომის პრეზენტაცია

ლექციის მესამე კომპონენტი ეთმობა დამზადებული სატელევიზიო ვერსიის საპრეზენტაციო ჩვენებასა და განხილვას. დასრულებულ შემეცნებით ვიდეორგოლს ჯგუფი და ლექტორი აფასებენ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით, რომლებშიც მათულობს პუნქტები შესწავლილი მასალიდან, ვიზუალური თხრობის საფეხურების მიხედვით. კრიტერიუმების ნუსხას ადგენს ლექტორი და ურიგებს ჯგუფს კოლეგის ინდივიდუალური შეფასებისთვის.

„სტუდენტებს შეუძლიათ შეაფასონ ერთმანეთი. სხვისი ნამუშევრის დეტალური ანალიზი პროფესიული თვალის ეფექტური ვარჯიშია“.¹

ნაშრომი, რეჟისორული კუთხით შეფასების შემდეგ, გადაინაცვლებს მომიჯნავე სპეციალობების ლექციებზე, დარგობრივ ჭრილში განხილვისა და ანალიზისთვის. ოპერატორის ხელოვნება, სატელევიზიო მონტაჟი, ტელეჟურნალისტიკა, მხატვრობა და მუსიკა ტელევიზიაში. ეს ის საგნებია, რომლებიც აუცილებელ ფორმატში ეკითხებათ ტელერეჟისორებს. სტუდენტისა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალი პედაგოგების თანამშრომლობა პროდუქტიული იქნება მკაფიო, დიაგნოსტიკურად ზუსტი შენიშვნებითა და ამოცანების მიწოდებით. სატელევიზიო წარმოების ციკლური გრაფიკის იმიტაციისთვის დასრულებული ვიდეორგოლი ნიშნავს მომდევნო გადაღების დღეს.

აუდიტორიაში ვიდეოს განხილვა, როგორც რეალურ დროში განვითარებული დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მეთოდში გამოყენებულია სატელევიზიო სალაპარაკო ჟანრის გადაღებისა და მონტაჟის პროფესიულ მიდგომებზე სავარჯიშოდ. პერიოდულად უნდა იცვალოს ფორმატები: „თოქშოუ“, ინტერვიუ ვიდეოს ავტორთან, ჯგუფური გამოკითხვა სტუდენტების, რომლებიც აზრს გამოთქვამენ პრეზენტაციის შესახებ. სავარჯიშოდ მიზანმიმართულია არამართვად, სკონტანურ ეპიზოდში სინქრონული ხმისა და გამოსახულების სხვადასხვა ფორმატზე სამუშაოდ.

განხილვისათვის ცალ-ცალკე უნდა მოისინჯოს ერთი, ორი ან მეტი კამერით გადაღება და მონტაჟი. სტუდენტმა პრაქტიკულად უნდა მოისინჯოს, რამდენად განსხვავებულ ამოცანებს სთავაზობს რეჟისორს თითოეული მათგანი, როგორც წარმოების დაგეგმვის, ასევე გარემოს შემოქმედებითი, თუ ტექნიკური გააზრების თვალსაზრისით. განსხვავებულია როგორც

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.182.

გადაღების პროცესი, ასევე სამონტაჟო მიდგომაც. ნიმუშის შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი აღწერს, როგორც თოქშოუს ტიპის სატელევიზიო პუბლიკაციის, ასევე, ზოგადად, სინქრონების გადაღებისა და მონტაჟის საბაზისო სტანდარტს.

პროფესიული ამოცანა:

აუდიტორიაში დისკუსია-დებატების გადაღების ორგანიზება, რომელიც სპონტანურად ვითარდება. მონტაჟი ტელე „თოქშოუს“ ანალოგიურად.

ამოცანის ჩარჩო-პირობა:

- გადაღება 2 კამერით, პაუზის გარეშე, პირდაპირი ეთერის პრინციპით;
- „მოლაპარაკე თავების“ ერთ სიმაღლეზე, თანაბარი ინტერვალით განლაგება;
- კამერები არ კვეთენ კომუნიკაციის ღერძს, ხელს არ უშლიან დისკუსიის მსვლელობას;
- ხმის ჩაწერის ტექნიკურად გააზრება;
- ბუნებრივი განათების იმიტაცია;
- აღსაქმელად იოლი, მოხერხებული კადრის კომპოზიცია;
- კამერის მოძრაობით, კადრის პარამეტრით საუბრის ცვლილებაზე რეაგირება;
- გადაღების პროცესში კადრის რაკურსისა და მასშტაბის ხშირი ცვლა;
- მიმიკური კადრების გადაღება მსმენელის შინაგანი განწყობის გადმოსაცემად;
- მატერიალური გარემოსა და სპეციფიკური სიტუაციის შემოქმედებითად გამოყენება;
- მონტაჟზე დისკუსიის შეკვეცა, ბუნებრივი მიმდინარეობისა და რიტმის შენარჩუნება.

საწარმოო რეკომენდაციები:

ინტერიერში აპარატურისა და ობიექტების სწორად განლაგებაზეა დამოკიდებული, რამდენად ბუნებრივად იგრძნობენ თავს გადაღების მონაწილე პერსონაჟები. დელიკატური მონტაჟისთვის საჭიროა კამერით პანორამირება, არასინქრონული და სინქრონული კადრების მონაცვლეობა, გადაღების კუთხეებისა და ადგილის ცვლა. ორი ან მეტი კამერით ოპერატორების კოორდინირებული, შეთანხმებული მოქმედებაა აუცილებელი. თითოეული კამერის გადასაღები სივრცის მონიშვნა, მოლაპარაკე და მსმენელი, ახლო, საშუალო, საერთო ხედის პერსონალურად გადანაწილება.

ერთი კამერით მოქმედება გადაღების პროცესშივე მონტაჟური აზროვნებით ფიქსირდება. კამერის ყველა გადაადგილების მიზანია, უკეთესი კადრი უფრო მოხერხებული ადგილი გადასაღებად.

გადაღების დასრულების შემდეგ ხმის პაუზის ჩაწერა. მონტაჟამდე გადაღებული მასალის გაშიფვრა, უმნიშვნელო ადგილების მონიშვნა. ფურცელზე მონტაჟი. აუცილებლობის შემთხვევაში, დრამატურგიული ლოგიკის მიხედვით საუბრის რესტრუქტურიზაცია, გადაჯგუფება მაქსიმალური ეფექტის მისაღებად.

მაყურებელს უნდა შეექმნას განცდა, რომ დისკუსია ყოველგვარი მონტაჟური ჩარევის გარეშე ვითარდება.

შეფასების კრიტერიუმები:

- გადაღების სტილი მოვლენას ადექვატურად აღწერს;
- კამერების განლაგება მოხერხებულია, ოპერატორი კადრებს არ კარგავს;
- კამერის მოძრაობა საუბრის რიტმშია;
- კადრი კარგად კონტროლდება, არ თამაშობს, მკაფიო გამოსახულება იოლად აღსაქმელია;
- კამერა ქაოტურად არ მოძრაობს, გადაადგილების მოტივაცია გასაგებია;
- შორი და მსხვილი ხედები დაბალანსებულია;
- სხვადასხვა რაკურსით კადრები ეფექტურია;
- დაცულია მოლაპარაკისა და მსმენელის მხერის მიმართულება, კამერა არ კვეთავს კომუნიკაციის ღერძს;
- სინქრონში ეფექტურად არის ჩართული საპასუხო რეაქციის, შინაგანი მონოლოგის, ქვეტექსტის გამომსახველი კადრები;
- მოტივირებული კადრები ინფორმაციულად ავსებს ვიზუალურ კომენტარს;
- დისკუსიის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი გადაღებულია;
- მონტაჟურად შეკვეცილი ფრაზა აზრობრივად გამართულია;
- განხილვის ემოციური პიკები შენარჩუნებულია;
- მონტაჟური კომპოზიციები აერთიანებენ ეპიზოდში მთავარ, დაპირისპირებულ ელემენტებს;
- დისკუსია კარგად არის შეკვეცილი, ყველა უმნიშვნელო დეტალი ამოღებულია;
- დებატებში მონაწილე სტუდენტების ხმები ერთმანეთს არ ედება;

- მონტაჟის „სტენოგრაფიული“ სტილი, განხილვის პროცესს ელეგანტურად მიყვება.
- ყველა მონტაჟურ ბმაზე:
 - კადრიდან კადრში გარდამავალი მოძრაობა შეთავსებულია;
 - ბგერა ინარჩუნებს სუნთქვას, როგორც ერთიან მეტყველების ელემენტს;
 - აღმავალი და დაღმავალი ტონალობა ბუნებრივად ჟღერს;
 - სხვადასხვა მასშტაბისა და რაკურსის ცვლის დროს მოლაპარაკის თავისა და სხეულის მდგომარეობა მზერის მიმართულების შესაბამისია.
- მიმიკური და ჩართული არასინქრონული კადრები გამოყენება, როცა საჭიროა:
 - დეტალზე ან მიმიკაზე აქცენტირება;
 - აუცილებელია ჩანდეს ის, რაც კადრში არ ჩანს;
 - დასაფარია უხეში მონტაჟური ბმა.
- უწყვეტი ფრაგმენტის კარგი სტრუქტურა, თითქოს მონტაჟის გარეშეც ლოგიკურად ვითარდება;
- ხმა და გამოსახულება სინქრონულია;
- დამონტაჟებული ვერსია განხილვის დრამატურგიულ პოტენციალს ინარჩუნებს.

არსებობს მოსაზრება, რომ სახვითი ხელოვნების სფეროში თეორიზაცია, მხოლოდ ხელს უშლის პერსონალურად თანდაყოლილი მხატვრული იმპულსებისა და ინტუიციის განვითარებას. თუმცა, მხოლოდ ინტუიციას ვერ ენდობი, თუ არ გაქვს მხატვრული ინფორმაციის შერჩევის რაციონალური კრიტერიუმები. საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობას დამსახურება უნდა.

„რეჟისურა არ არის მისტიკური პროცესი. რეჟისორი არ არის განსაკუთრებული კასტის წარმომადგენელი, რომელიც შემოქმედებით მიგნებებს ცნობიერების არარეალურ კუნჭულში იღებს. შინაგანი ალლო სინამდვილეში სხვა არაფერია თუ არა, კეთების პროცესზე კონცენტრირებული ფარული ლოგიკური პროცესი. მხოლოდ ტალანტით ეს არ მიიღწევა. იყავით მზად გრძელი და რთული სასწავლო პროცესისთვის“.¹

¹Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006 გვ.22.

Vთავი

მეთოდის საცდელი გადაღება, განხილვა ფოკუსჯგუფთან

ტელერეჟისურის სწავლების კონცეფცია მოისინჯა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელერეჟისურის სპეციალობის მეოთხეკურსელებთან. გადაღებისა და განხილვის პროცესს ესწრებოდნენ მეოთხეკურსელი კინომცოდნეებიც.

თავდაპირველად სტუდენტებს განემარტათ მეთოდის არსი, რომელიც ტელერეჟისურის სპეციფიკური პროფესიული უნარების დახვეწას თეორიული სწავლების პარალელურად ხედავს. შემეცნების პროცესი სწავლის დასაწყისშივე აგებულია ვიდეოწარმოების იმიტირებით, რომელიც ჯგუფის თითოეული წევრისგან მოითხოვს სალექციო თემის ეკრანულ გადაწყვეტას, ტექნიკური ამოცანების დაძლევას, ცოდნის შესაბამისად, რეჟისორული ჩანაფიქრის გადაღებას, მონტაჟსა და პრეზენტაციას. მეტი სიცხადისთვის გადავიღეთ ერთი ლექცია, თემაზე - „სატელევიზიო სტანდარტი, ორი მეზობელი კადრის შეთანხმება“. სალექციო თემის, კამერასთან მოყოლილი ისტორიების გადაღება და მონტაჟი დაევალა ნიკოლოზ გაგლოშვილს, ტელერეჟისურის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტს.

გადაღება ნიკოლოზ გაგლოშვილმა 3 კამერით დაგეგმა. ერთი - საერთო ხედისთვის, ერთი - სტუდენტების გადასაღებად და ერთი - ლექტორის საშუალო ხედისთვის. კამერები შტატივებზე სტატიკურად განალაგა. ლექტორის ხმის ჩასაწერად გამოიყენა ერთი „ჯიბის“ მიკროფონი. თუმცა, დამონტაჟებულმა ვერსიამ აჩვენა, რომ საკმარისი იქნებოდა ერთი კამერისა და მიკროფონის გამოყენება. სტუდენტის არჩევანი, 3 კამერით გადაეღო ლექცია, ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ ავტორს თავიდანვე არ ქონდა ნავარაუდები საბოლოო შედეგი და სამონტაჟოდ მეტი მასალის აღება გადაწყვიტა. ამგვარი მიდგომა მისაღებია, თუ ტექნიკური რესურსით შეუზღუდავი ხარ. თუმცა, ჭარბი გადაღებული მასალა გაშიფვრისა და გააზრების დამატებით დროს მოითხოვს და ოპერატიული წარმოების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

დასრულებული ვიდეო ¹ აწყობილია ლექტორის ხმაზე, რომელიც ლექციას ატარებს. გამოსახულებად გამოყენებულია თემის საილუსტრაციო, განმარტებითი სლაიდები. ფორმის თვალსაზრისით, ყველაზე მარტივი გადაწყვეტაა, სასურველია მეტი კრეატიულობა. ხშირ შემთხვევაში, გამოსახულება არ ემთხვევა ტექსტს. არ არის სრულად გამოყენებული ვიზუალური მასალის რესურსი. აუცილებელია ხმის მონტაჟი. სატელევიზიო ვერსიისთვის ბევრი ზედმეტი ფრაზაა. ვიდეო შეიძლება განთავსდეს ინტერნეტსივრვეში, როგორც ლექციის სამოყვარულო ჩანაწერი. სატელევიზიო პუბლიკაციად კი არ გამოდგება.

ლექციის საცდელმა გადალებამ აჩვენა, რომ მეთოდით გათვალისწინებული პროფესიული ქცევებით სწავლების პირობებში, სტუდენტი უფრო რაციონალურად დაგეგმავდა გადალებას, წინასწარ გაიაზრებდა მოსალოდნელ შედეგს, გაშიფრული და მარკირებული მასალით შეუდგებოდა მონტაჟს, მოიძიებდა დამატებით ვიზუალურ მასალას, ხმის პარტიტურით გააფორმებდა გამოსახულებას, კორექტირებას გაუკეთებდა თხრობით ტექსტს, გადაანაწილებდა საწარმოო დატვირთვას ჯგუფის წევრებზე, მოსინჯავდა ფორმის განსხვავებულ, ეფექტურ გადაწყვეტას.

თემის წარდგენისა და საცდელი გადალების შემდეგ გაიმართა დისკუსია მეთოდის გარშემო. დაისვა კითხვები დამატებითი განმარტებისთვის.

გუჯა ჩიბურდანიძე - კინომცოდნე (მე-4 კურსი)

ლექტორი - მზია ზაუტაშვილი

გ.ჩ.კითხვა - სალექციო კურსს რომ შევხედოთ, მოითხოვს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას, შედეგად, უფრო ნაყოფიერი იქნება სწავლის პროცესი. თქვენ ამ თემაზე ფართოდ ისაუბრეთ. მოკლედ და კონკრეტულად რომ გვითხრათ, რაშია უნიკალურობა? ანუ რა არის სიახლე?

მ.ზ.პასუხი - პირველ რიგში, ყველა თეორიული კომპონენტის ათვისება ხდება პრაქტიკულად. ნებისმიერი შემოქმედებითი დარგი თავიდანვე ისწავლება ინსტრუმენტთან შეხებით. მუსიკოსს ვერ აუხსნი, როგორ ჟღერს ბგერა „დო“, თუ ის კლავიატურას არ შეეხო. ამიტომ სწავლება იწყება გამების შესრულებით. მხატვრები მარტივ კომპოზიციებს ხატავენ, მსახიობები ეტიუდებს ასრულებენ, მოცეკვავეები ძელთან ვარჯიშობენ. ტელერეჟისურის კურსი გულისხმობს, რომ ჯერ

¹ ლექციის საცდელი და სრული ვერსია თანდართულია მყარი დისკით

აკადემიურად, თეორიულად უნდა იცოდეს და მერე პრაქტიკულად გააკეთოს. ეს იგივეა, რომ პიანისტს მოვასმენინოთ, მაგალითად, მოცარტის რომელიმე ნაწარმოები, ავუხსნათ თემის განვითარება, კომპოზიციური სტრუქტურა, დინამიკური ნიუანსები, სანოტო სისტემა და მხოლოდ შემდეგ დავსვათ ინსტრუმენტთან შესასრულებლად. ადრე ეს მიდგომა გასაგები იყო, რადგან ვიდეოწარმოება ძალიან ძვირადღირებულ პროფესიულ აპარატურას ითხოვდა. ახლა მობილური ტელეფონიც სამუშაო ინსტრუმენტია.

გარდა ამისა, სწავლა კეთების პროცესში, ყველაზე ეფექტურია. ლექციის გადაღებისა და მონტაჟის დროს სტუდენტი თეორიულ კომპონენტს პრაქტიკულად იყენებს. დასრულებული ვიდეო შესწავლილ თემას აუდიოვიზუალური ნიშნებით, რეჟისორული ხერხებით ყვება და ავტორს არასდროს დაავიწყდება. ამიტომაც სავარჯიშოდ, რეჟისურის „გამების“ შესასწავლად, სალექციო თემები შევარჩიე.

ასევე სიახლეა, რომ სწავლისა და კეთების პროცესი მაქსიმალურად მიახლოებულია ტელესპეციფიკასთან. საკურსო და სადიპლომო პროექტებში სტუდენტი თვითონ ირჩევს თემას, წერს სცენარს, აკეთებს კადრირებას, გეგმავს გადაღებებს, მონტაჟს. ეს ვიდეოწარმოების გრძელვადიანი, შემოქმედებითი მხარეა. სულ სხვაა ოპერატიული ტელევიზია. სატელევიზიო პროგრამების ციკლორობა ერთ კვირას არ აღემატება. ეთერში ჩასმული გადაცემა, განსაზღვრული და არა რეჟისორისთვის სასურველი ქრონომეტრაჟით, შეთავაზებული და არა რეჟისორის შერჩეული თემით, ხშირად, სტანდარტული სატელევიზიო და არა ორიგინალური რეჟისორული გადაწყვეტით, კონვეიერულ შრომას მოითხოვს. ამიტომ არის მეთოდით აუცილებელი კონკრეტული თემის მოცემულ ვადებში დამზადება. დარღვევა ნიშნავს პროფესიულ უუნარობას, ეს დაუშვებელია.

გ.ჩ. კობახვა - უკეთესი ხომ არ იქნება, რომ, ვთქვათ, გარეთ გავიდეს, უფრო მეტი რაღაცის შესაძლებლობა ჰქონდეს, მაშინ უკეთესიც იქნებოდა?

მ.ზ. კასუხი - გარეთ გასვლა და დამატებითი გადაღებები იმისთვის, რომ თემა გადმოსცე, შეზღუდული არაა. მე, როგორც ლექტორი, ვყვები თემას ჩემ გარემოში, აუდიტორიაში. თქვენ, როგორც ტელერეჟისორი, ვიდეოს ავტორი, თემას ასახავთ თქვენი თვალთახედვით. როგორი ფორმითაც გნებავთ. გნებავთ, გარეთ გადაიღეთ, გნებავთ, სტუდიაში. დავუშვათ, იგივე „რვიანზე“, თვალის ხაზებზე, მიმართულებებზე რომ გვქონდა ლაპარაკი. თუ გადაწყვეტთ, რომ რაღაცას უფრო

ეფექტურად აჩვენებთ, თუ გახვალთ გარეთ და გადაიღებთ მანქანას, რომელიც თქვენკენ მოდის, შემდეგ მანქანას, რომელიც მოდის საპირისპიროდ, შემდეგ დაარღვევთ კომუნიკაციის ხაზს, მეორე მხარეს გადახვალთ, და მონტაჟის დროს აღმოჩნდება, რომ ისინი ერთმანეთს ეჯახებიან ან საერთოდ სხვადასხვა მხარეს მიდიან. ფორმა ათასნაირია.

გ.ჩ.კობეჯა - როგორც ჩანს, აუცილებელი იქნება საბაზისო მოთხოვნების რეგლამენტირება.

მ.ზ.პასუხი - საბაზისო მოთხოვნებთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, დღეს ყველა იღებს. გადაღების პრობლემა თითქმის არავის აქვს. სავარაუდოდ, ახალგაზრდასთვის, რომელიც სპეციალობად ტელერეჟისურას ირჩევს, ვიდეოკამერა უცხო არაა. ეს ერთი. გარდა ამისა, არის აბიტურიენტი, რომელიც ტელევიზიიდან მოდის, ასისტენტია და „ცენზი“ სჭირდება. არის აბიტურიენტი, რომელმაც არაფერი იცის. მოსამზადებელ პერიოდში სტუდენტების სასტარტო ცოდნა ირკვევა. იმის მიხედვით, ვის რა შეუძლია, ვიღაცას უფრო მეტი დახმარება დასჭირდება, ვიღაცას - ნაკლები. ლექციის გადაღებას კამერის ოპერატიული ფუნქციების ცოდნა სჭირდება, რაც უმარტივესია. მათ ეყოლებათ ვიდეოტექნიკოსი - თან სტუდენტის მითითებით დაამონტაჟებს, თან ასწავლის, მაგალითად, Adobe Premiere Pro სამონტაჟო პროგრამას. იქვეა ჯგუფის ასისტენტი, მოდულის ხელმძღვანელი... ეს თანამშრომლობითი პროცესია.

მარიამ მირიანაშვილი - კინომცოდნე (მე-4 კურსი)

მ.მ.კობეჯა - სტუდენტისთვის ცოტა მოსაბეზრებელი ხომ არ იქნება სულ ეს ერთი და იგივე? ერთხელ, ვთქვათ, აი, უკვე გააკეთა ნიკამ. დაამონტაჟა და ერთ ფორმაში ჩასვა. შემდეგ, ისევ ნიკას ჯერი რომ მოვა, ახლიდან გააკეთებს: იგივე სივრცე, იგივე ბავშვები, იგივე შინაარსი... ეს ყველაფერი სტუდენტისთვის მოსაბეზრებელი არ იქნება? ანუ მრავალფეროვნებას რაში ხედავთ?

მ.ზ.პასუხი - გარემო ნამდვილად იგივე იქნება. თუმცა, ლექციის მიმდინარეობისას ბევრი საინტერესო ეპიზოდი შეიძლება განვითარდეს, რასაც რეჟისორის, ჩვენ შემთხვევაში, პლუს ოპერატორის, სწრაფი რეაგირება სჭირდება. გარდა ამისა, ჩავთვალოთ, რომ ლექციის გადაღება არის პროექტის საწყისი მასალის მოპოვება. როცა ტელერეჟისორი გადაღებაზე მიდის, შეიძლება გადაიღოს მასალა, საიდანაც მერე, საეთეროდ, არც ერთი კადრი არ გამოიყენოს. მაგრამ, რა თემაზე აქვს მას გასაკეთებელი გადაცემა? ინფორმაცია ხომ აღებულია?! შემდეგ არის ტექსტზე მუშაობა, საილუსტრაციო მასალის შერჩევა, თუ საჭიროა, დამატებითი გადაღებები. თემის ეკრანული

ინტერპრეტაციაა მთავარი. მაგალითად, ლექციის თემის პრეზენტაცია რომ დაგავალოთ ლექტორმა? ხომ გაგიკეთებიათ პრეზენტაცია PowerPoint-ში? ეს თქვენთვის მისაღებია, მაგრამ ნიკასთვის, თიკოსთვის, რომლებიც ტელერეჟისორები არიან, საკმარისი არაა. მათ მთლიანად ვიდეოში უნდა გააკეთონ. თავიდან ბოლომდე ვიდეოში, ხმა, გამოსახულება, რა კადრს გამოიყენებ, რა ტიტრს გამოიყენებ, სახეს ვის აირჩევ, ფონი როგორია, ტექსტში რა ფრაზას, სიტყვას გამოიყენებ -ამასაც მნიშვნელობა აქვს. ანუ, უკვე ჩანს ავტორის მხატვრული აზროვნება. რა არის რეჟისურა? შემოქმედება. ანუ ის, თუ როგორ გადაწყვეტ თემას შემოქმედებითად, როგორ წარადგენ, როგორ მიიტან მაყურებლამდე. ეს, რაც ეხება ფორმას და ფორმის თვალსაზრისით, რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება გააკეთო. შემდეგ. თუ დღეს გვექონდა, მაგალითად, ტელე სტანდარტებზე საუბარი, ხვალ გვექნება გახმოვანების პრობლემებზე, ჯგუფის შერჩევაზე, გარე გადაღებაზე, მასალის მარკირებაზე - ყველაფერი თემაა და პრაქტიკულად სასწავლია. ანუ, თემაც ყოველთვის იცვლება. და ამ თემის პრეზენტაციისთვის შენ ყოველ ჯერზე ახალი ფორმა უნდა მოძებნო. აქ ლექციის გადაღება კი არ არის მთავარი, მთავარია, თემას რა ფორმით დაძლევი. და რაც უფრო გემატება პრაქტიკა და რაც მეტი იცი, თემის ეკრანული ფორმა მით უფრო ეფექტურია. არც სტუდენტები არიან იგივე. ისინი ვითარდებიან და სწავლობენ. ამიტომ თემებს, თითოეული მათგანი, ყოველ ჯერზე უფრო ხარისხიანად დაძლევი. იმ შეცდომებს, რომლებსაც პირველ ცდაზე დაუშვებენ, მეორეზე გამოსასწორებენ. ესაა შეცდომებზე სწავლის მეთოდი.

მ.მ. კობახვა - ანუ სირთულის მხრივ ვამბობ. განვითარება ხომ უნდა ჰქონდეს იმას, რომ დავდგამთ კამერას, ვიღებთ და შემდეგ აქედან სტუდენტმა რაღაც უნდა გამოიყვანოს? ეს ყველაფერი რაღაცნაირად არ უნდა განვითარდეს? განვითარება არ უნდა ჰქონდეს?

მ.ზ. პასუხი - აქ განვითარება სტუდენტის პროფესიულ ზრდაშია. ის იხვეწება, იმიტომ, რომ სწავლობს უფრო და უფრო მეტ ინსტრუმენტს, სწავლობს, კიდევ რა შეუძლია, რომ გააკეთოს. ეს ხომ სწავლის პროცესია. ემატება და ემატება გამომსახველობითი საშუალებები. და შინაგანი კულტურა, რომელიც სტუდენტში თანდათან იზრდება, შემდეგ მის ნამუშევარში ვლინდება. ცოდნა და შინაგანი კულტურა.

სტუდენტმა, პირველ ეტაპზე, დავალების მიღებიდან ერთ კვირაში, ნამუშევარი უნდა მოიტანოს ჯერ სცენარის სახით. აჩვენოს, თუ რა აქვს მას ჩაფიქრებული. პირველკურსელმა შეიძლება ისეთი არარეალური ამოცანები დაისახოს, მის შესაძლებლობებს აღემატებოდეს. ჩვენი მიზანი

არარეალური ამოცანები არაა. მთავარი არის თემის მოტანა. ამბის მოყოლაა მთავარი. როგორ მოყვები ამბავს, ეფექტურად, მოკლედ და ვიზუალურად. სცენარი ლექციაზე ჯგუფთან ერთად განიხილება. შეთანხმებული ვერსიის დასამზადებლად ავტორს კიდევ ერთი კვირა აქვს. იმის მიხედვით, რამდენად იქნება სტუდენტი მზად პრაქტიკულად, ამოცანებიც შეიცვლება.

მაგალითად - შენ ახლა ამას გააკეთებ, როგორც საინფორმაციო სიუჟეტს, ამას გააკეთებ, როგორც საბავშვო შემეცნებით რგოლს, ამას გააკეთებ, როგორც სასწავლო მასალას. მნიშვნელობა აქვს, ვისთვის ყვები - დიდისთვის, პატარასთვის, სტუდენტისთვის. სიტყვაზე, გინახავთ ასეთები და ისინი აბსოლუტურად განსხვავებულია. ერთი და იგივე თემას სხვადასხვაგვარად ყვებიან. ამოცანები, რომლებიც უფრო დააკონკრეტებენ მისამართს, ფორმას, შეზღუდავს ქრონომეტრაჟს - შემდგომი პირობებია. თავიდან, გადაღებული მასალის გამოფერა, ტექსტიდან ზედმეტი ადგილების ამოღება, გამოსახულების შერჩევა, თანმიმდევრულად აწყობა, ტექსტისა და გამოსახულების შეთანხმება... საკმაოდ მნიშვნელოვანი პროფესიული ქმედებებია.

გარდა ამისა, უნდა შევეჩვიოთ, რომ ტელევიზია არის წარმოება, და ძალიან სასურველია, გისურვებთ ყველას, რომ შემოქმედებით ნაწილში აღმოჩნდეთ, მაგრამ, დაუშვათ, თუ საინფორმაციო პროგრამებში მოგიწიათ მუშაობა, პირდაპირ რეპორტაჟებზე მოგიწიათ მუშაობა, მაშინ? ამ ტიპის ტელეწარმოებაში მრავალფეროვნებაზე ლაპარაკი, შემოქმედებით გადაწყვეტაზე ფიქრის დრო თითქმის არაა. ეს თავიდანვე უნდა იცოდე. ესეც ტელერეჟისურაა. სტუდენტმაც თავისთვის უნდა გადაწყვიტოს, უნდა იგრძნოს ეს პროფესია. ჩვენს წინა საუბარს გაგახსენებთ - როდესაც მუსიკოსი გამებს უკრავს, უკრავს ერთიდაიგივე ნოტებს. მისთვის არც გარემო იცვლება, არც თემა. არც არაფერი. მაგრამ ეს აუცილებელია, რომ ტექნიკა, პროფესიული ტექნიკა განვითარდეს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, უმნიშვნელოვანესი.

მ.მ. კითხვა - პრაქტიკული თვალსაზრისით კარგია, რომ უნარებს გამოიმუშავენ, მაგრამ იმის გარდა, რომ ტექნიკურ მხარეს დაამუშავენ, შემოქმედობითობის მხრივ რას შეიძენს სტუდენტი?

მ.ზ. პასუხი - შემოქმედების გარეშე ტექნიკური მხარე, მე მგონი, არ არსებობს, ასე არ არის? პროცესს, რაც მხატვრულ ტელეფილმებს ეხება, რაც ეხება მხატვრული ტიპის ვიდეონამუშევრებს, ჯგუფი უკვე საკურსო და სადიპლომო პროექტებზე გაივლის. ანუ წარმოების ტექნიკა, რაც დაგეგმილ წარმოებას ეხება, გატარდება საკურსო, სადიპლომო - გრძელვადიან პროექტებში. დანარჩენი იქნება, როგორც თეორიული სავარჯიშოები, ვიზუალური თხრობის ეტიუდები.

თიკო ემირიძე - ტელერეჟისორი (მე-4 კურსი)

თ.ე. - ყველაზე მთავარი რაც არის, მასალაზე მუშაობას სწავლობ.

მ.ზ.- მასალაზე მუშაობას სწავლობ, არქივაციას. იმის გარდა, რომ, თეორიული მასალის ვიზუალიზაციით, ჯგუფი, ფაქტობრივად, ტელერეჟისურის სასწავლო ვიდეოზე მუშაობს, წერს, უფრო ზუსტად, იღებს თავისი ჯგუფის ისტორიას და რომ დაამთავრებენ, შეიძლება პირად არქივებში შეინახონ. ანუ, როგორ ვითარდებოდა, რას ფიქრობდნენ, რა იდეები ჰქონდათ, რა თემებს ასახავდნენ... და ეს, თავისთავად, ვფიქრობ, კარგი დოკუმენტია.

გუჯა ჩიბურდანიძე - კინომცოდნე (მე-4 კურსი)

გ.ჩ. კითხვა - რამდენად ითვალისწინებს მეთოდი მრავალპროფილიანი ტელე სპეციალისტის სწავლებას?

მ.ზ. პასუხი - ეს ნაშრომი დასრულებული სახით შემოვა ჯერ რეჟისურის ლექციაზე. ჯგუფი მას განიხილავს. ავტორიც წარდგენის დროს მოყვება - რას მიაღწია, რას უნდა მიაღწიოს მომავალში, რა არ გამოუვიდა, რა ისწავლა, რა დაამატა პროფესიულ ცოდნას. მოისმენს შენიშვნებს. შემდეგ იგივე ვიდეო ნაჩვენები იქნება მომიჯნავე სპეციალობების ლექციებზე. ეკითხებათ ოპერატორის ხელოვნება, ეკითხებათ ხმა და მუსიკალური გაფორმება ტელევიზიაში, ეკითხებათ მხატვრობა და კომპიუტერული გრაფიკა. აი, ეს გამზადებული მასალა შედის დავუშვათ, ოპერატორის ხელოვნების ლექციაზე. ლექტორი, პროფესიონალი ოპერატორი, სპეციალობიდან გამომდინარე, ურჩევს - აი, ეს კადრი ჯობდა აქ გადაგელო, ასე გაგენათებინა, ეს კომპოზიცია გამოგეყენებინა. იგივე ხმა, მუსიკალური გაფორმება. განიხილება კომპონენტები, როლებსაც დარგობრივ სპეციალობებზე სწავლობენ. ეს უკვე მიღებული ცოდნის მზა დოკუმენტია, როგორც ძირითადი სპეციალობისთვის, ასევე მომიჯნავე საგნებში, რომელიც ლექტორისთვის მომავალი სწავლების ათვისების წერტილია.

ნიკოლოზ გაგლოშვილი - ტელერეჟისორი (მე-4 კურსი)

ნ.გ. კითხვა - სპეციალობის ლექცია 5 საათი გრძელდება. სტუდენტმა მთლიანად უნდა გადაილოს ლექცია? ან მონტაჟი, ლექციის შემადგენელი ნაწილია, თუ ცალკე დრო დაეთმობა? და კიდევ ერთი

კითხვა მაქვს -მესამე კურსზე უკვე საკურსოებზე ვმუშაობთ, მეოთხე კურსი სადიპლომო ნაშრომებს ეთმობა. პარარელურად, არამგონია, სტუდენტმა შეძლოს ორივე პროექტზე მუშაობა.

მ.ზ. პასუხი- საკურსო და სადიპლომო ვიდეოები პროგრამით გათვალისწინებულია მაშინ, როცა სტუდენტი თეორიულად უკვე მზად არის ფილმი გადაიღოს. მესამე კურსის ბოლო, უკვე მე-6 სემესტრია. ვფიქრობ, 5 სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ამ ტექნიკით უნდა მუშაობდეს, ვიდრე დაიწყებს ინდივიდუალური, შემოქმედებითი პროექტების გადაღებას. ანუ, თეორიული ნაწილი მშრალად არ ჩაივლის. ტექსტზე მუშაობას ისწავლის, მონტაჟისთვის მასალის მოპოვებას, მომზადებას, ტექტის ილუსტრირებას, ფორმისა და სიტყვის შეთანხმებას. ხმის რიგით გამოსახულების კომენტარი შეეძლება. ვფიქრობ, ცოტა არ არის.

მეთოდი თეორიული ნაწილის პრაქტიკულად ათვისების საშუალებაა. თუ ვსწავლობთ ანბანს, კალამი უნდა მოვიმარჯვოთ და ფურცელზე გამოვსახოთ, მაგალითად, ასო - *ანი* - და ყველა დანარჩენი, სასვენი ნიშნების ჩათვლით. რეჟისორისთვის წერისა და თხრობის ინსტრუმენტი კამერა და სამონტაჟო პროგრამებია.

რაც ეხება უშუალოდ ლექციის გადაღებას. სავალდებულოა კამერასთან მოყოლილი ისტორიების გადაღება და ახალი თემა თეორიული მასალიდან, რომელიც 40-45 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. დანარჩენი სტუდენტის, ანუ, იმ დღის რეჟისორის გადასაწყვეტია. თუ ჩათვლის, რომ ლექციაზე საინტერესო სიუჟეტი ვითარდება, ან დისკუსია დააინტერესებს, ჩათვლის, რომ გადასაღებია, შეზღუდული არ არის. ბოლო სილაბუსით, I-II კურსზე სტუდენტის ყოველკვირეული სალექციო და სტუდიური, ანუ დამოუკიდებელი, ინდივიდუალური დატვირთვა 5+5 საათია. ეს დრო სავსებით საკმარისია ვიდეოების დასამზადებლად.¹

დისკუსიის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტთან ჩაიწერა ინტერვიუები.

ინტერვიუები სტუდენტებთან

მარიამ მირიანაშვილი - კინომცოდნე (მე-4 კურსი)

ერთადერთი, რაზეც ძალიან მეფიქრება, ეს მაინც სტუდენტის შემოქმედებითად განვითარების მომენტია. გავიგე, რომ პრაქტიკულად კარგი იქნება და სტუდენტი განვითარდება. ის ამოცანები,

¹ სტუდენტებთან თემის განხილვის ვიდეო თანდართულია მყარი დისკით.

რომლებზეც ვსაუბრობდით, იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ ეს ამოცანები განვითარების ერთ-ერთი საფეხური იქნება და სწორედ ამას ვგულისხმობდი შემოქმედებითობაში. ვთქვათ, თქვენ, როგორც ლექტორი, დაუსახავთ გარკვეულ ამოცანას, რომ, აი, ეს, რაღაც მასალა მჭირდება, რაღაც გარკვეულ ფორმატში, ვთქვათ, სატელევიზიო გადაცემა, საინფორმაციო გამოშვება და სხვა. ეს ამოცანები უკვე ერთ-ერთი საფეხური იქნება.

მ.ზ. კითხვა - რა გეეჭვებათ ყველაზე მეტად, როგორც სტაჟიან სტუდენტს?

მ.მ. პასუხი - ეს პრაქტიკული სწავლება პირველი კურსიდან, ალბათ, ცოტა ზედმეტი იქნება სტუდენტისთვის და არ ვიცი, დასძლევს თუ არა. 18 წლისები ახარებენდა ზოგს არც აქვს პროფესია ყველანაირად გათავისებული და ახალგაზრდას, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია, უცებ პრაქტიკული ამოცანები მივცეთ, ცოტა ჩვენი რესურსის ხარჯვა მგონია. თუმცა, პირველკურსზე რაღაც თეორიული ცოდნის დაგროვების შემდეგ, მეორე კურსიდან რომ დაიწყოს, ვთქვათ, პატარ-პატარა დავალებების შესრულება, სრულიად მისაღები იქნება. თავიდან, რაღაც თეორიული ბაზა ამ ყველაფერს აპრიორი სჭირდება. თეორიული ცოდნა უნდა მქონდეს, რადგან, თუ თეორიული ცოდნა არ მაქვს, თუნდაც არ ვიცი კამერა, მისი ყველა დეტალი, ან სამონტაჟოში არასდროს ვყოფილვარ და ვიცი, იქ რა ხდება, თუ არ ვნახავ, ვინ და როგორ მუშაობს ამ ყველაფერზე და არაფერს ამიხსნიან, მე ხომ ვერ გავაკეთებ.

მ.ზ. კითხვა - ეფექტი რა იქნება?

მ.მ. პასუხი - დღესდღეობით ძალიან გვაკლია პრაქტიკები. პრაქტიკის ნაკლებობა არის პრობლემა თავისთავად, იმიტომ რომ, როცა აქედან გადიხარ და რაღაც სამსახური უნდა დაიწყო, იქ შენი თეორიული ნაწილი არავის აინტერესებს და პირდაპირ გიწევს, რაღაც პრაქტიკაზე მიეხ. შენთვის ქაოსური სიტუაცია იქმნება. თუნდაც, სტაჟირებაც კი რთულდება, რადგან სტაჟორს ძალიან ბევრს ავალბენ. არავის სცალია, რომ რაღაც აგიხსნას, დაგიჯდეს - ეს ამიტომაცაა, ის იმიტომ... შენ ეს ყველაფერი უკვე წაღებული უნდა გქონდეს უნივერსიტეტიდან და პრაქტიკული მეცადინეობები უკვე პირობა იქნება, რომ ეს ეტაპი გადალახული მაქვს და უფრო თავდაჯერებულად მივალ იმ გარკვეულ პოზიციაზე, იმ სამსახურში, თუნდაც სტაჟორი ვიყო. თვითრწმენა უკვე მექნება. ანუ ეს პირდაპირ სტუდენტის თვითდარწმუნებაზე მოქმედებს. ამდენი მუშაობის შემდეგ ადაპტირება პროფესიულ გარემოში ძალიან მარტივი იქნება.

პრაქტიკა ყველაფერში აუცილებელია. დაახლოებით იმას გავს, ვთქვათ, ცეკვა, რომ თეორიულად მასწავლონ. ხომ ძალიან დიდი სისულელეა. ასევე გადაღებისა და მონტაჟის სწავლა თეორიულად ხომ წარმოუდგენელია. მე თუ რაღაცას უშუალოდ არ შევხე, ის რაღაც თვითონ თუ არ გავითავისე და თუ არ გავაკეთე იგივე, შეუძლებელია, ვისწავლო. ამიტომ, რა თქმა უნდა აუცილებელია პრაქტიკა.

გუჯა ჩიბურდანიძე - კინომცოდნე (მე-4 კურსი)

კონცეფცია, რომლითაც თქვენ ტელერეჟისურის კურსი ჩამოაყალიბეთ, მგონია, რომ ძალიან წარმატებული იქნება, ნებისმიერი სტუდენტისთვის, რომელიც მას გაივლის. მეთოდი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას, დავალებების შესრულებას ადგილზე, ლექციის განმავლობაში - პროცესი უფრო შედეგიანს ხდის სწავლას. და როდესაც სტუდენტი ჩართულია სამუშაო პროცესში, მუდმივად რაღაც დავალებებს იღებს, თან, ვთქვათ, გამოცდილებას უზიარებს სხვა სტუდენტებს, უფრო ნაყოფიერს ხდის სალექციო კურსს და ბოლოს სტუდენტი არა მარტო თეორიულადაა განსწავლული ამ საგანში, ამ პროფესიაში, არამედ პრაქტიკული ცოდნაც გააჩნია, რამეთუ სწავლობს, იგივე პრაქტიკულ „სქილებს“ ითვისებს, უნარ-ჩვევებს იღებს, რაც მომავალში, პროფესიული ზრდისა და წარმატებისთვის გამოადგება, რისი მიღწევაც უნდა. პროცესები, რომლებიც, ვთქვათ, ლექციებზე კვირიდან კვირამდე ვითარდება, დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს მონაცვლეობითი, ციკლური პროცესია და თუ დღეს დავალების შემსრულებელი უშუალოდ ერთი სტუდენტია, მეორე შემდგასებელია... პროცესი გულისხმობს, რომ გარკვეული ცოდნის მიღებას და „გადახარშვას“ ორივე სტუდენტი ახერხებს. ის, რომელიც უშუალოდ გადაღების პროცესშია ჩართული, რაღაც ტექნიკურ ბაზას იძლიერებს და ა.შ. და მეორე, რომელიც მასალას კრიტიკულად უდგება და პირველის ნამუშევარს განიხილავს, ასევე იქმნის მონახაზს, თუ როგორ უნდა გააკეთოს ეს, როდესაც კამერასთან დადგება, რა უნდა გააკეთოს და ა.შ.

მ.ზ. - ეს ციკლურობა ტელევიზიასაც ახასიათებს და ესეც ერთ-ერთი იმიტაციაა მომავალი პროფესიის, რაც მეთოდის სქემაშია ჩადებული.

გ.ჩ - აი, ზუსტად, ტელევიზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, იქ ყოველკვირეულად მზადდება გადაცემები, ხშირად ყოველდღიურადაც და არავინ გაპატიებს, რომ, ვთქვათ, შენ შეიძლება ნიჭიც გქონდეს, რამდენიმე კვირა გქონდეს წარმატებული პროექტები, გადაცემები, მაგრამ ერთი ჩავარდნაც დაუშვებელია.

მ.ზ. - ეს ეგება უკეთესიც იყოს სტუდენტისთვის, რომელიც ზუსტად მიხვდება, რა პროფესიას სწავლობს, რა პროფესიას ეუფლება?

გ.ჩ.- მაგ მხრივ, თუ დავუფიქრდებით, სალექციო კურსის კიდევ ერთი პლუსი ისიცაა, რომ მაქსიმალურად არის მიახლოებული სატელევიზიო ფორმატთან და მოითხოვს თითოეული სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას, ყოველი კვირისა და ყოველი ლექციის განმავლობაში. თუ რომელიმე მათგანმა ამ რეჟიმს ვერ გაუძლო ან მოხდა, რომ არ შეუძლია . . .

მ.ზ. - ეს არ არის ის, რაც უნდა, ის, რაც უნდა, რომ აკეთოს.

გ.ჩ. - იმის ნიშანი იქნება, რომ მომავალშიც ვერ შეძლებს ამ საქმის გაგრძელებას და მართლა, ჯობია, რომ დრო ტყუილად აღარ დაკარგოს.

მ.ზ. კითხვა- საშიშროებას რაში ხედავთ?

გ.ჩ. პასუხი - საშიშროებას მხოლოდ და მხოლოდ იმაში ვხედავ, რომ კურსი, როგორც არის დაგეგმილი, რაღაც გარკვეულ საბაზისო ცოდნას მოითხოვს, რომელიც სტუდენტს უნდა გააჩნდეს. ეს საბაზისო ცოდნა არ არის ისეთი, რომელიც რთული კომპონენტებისგან შედგება და მოითხოვს, რომ, ვთქვათ, რაღაც გამოცდილება ქონდეს. კიდევ ერთი ფაქტორია, რომ სტუდენტებს საბაზისო ცოდნის მიღება სალექციო კურსის განმავლობაშიც შეუძლიათ. უბრალოდ, საკმარისია, რომ სურვილი ქონდეთ და მაქსიმალურად აყვანენ პროცესს. თუ აყვებიან, სხვა არანაირი გართულება არ იქნება.

თიკო ემირიძე - ტელერეჟისორი (მე-4 კურსი)

მ.ზ. კითხვა- შენ უკვე მე-4 კურსზე ხარ, უნივერსიტეტს ამთავრებ. მინდა გკითხო, ასე რომ გესწავლა, რა ეფექტი ექნებოდა პროფესიის ათვისების თვალსაზრისით?

თ.ე. პასუხი- ძალიან დამაინტერესა. გამახსენდა პირველი კურსი, უკვე როგორ რაღაცეებს ვცდილობდით და რამდენ რამეში დაგვეხმარებოდა. იმიტომ, რომ ეს არის, ერთი მხრივ, როგორც მასალაზე მუშაობა, მეორე მხრივ, უნარ-ჩვევებს ავითარებს. საით უნდა წახვიდე, რა გაინტერესებს, როგორ გააკეთებ ამას? ეს მეთოდი, ფაქტობრივად, სცენარია, როგორ გახდე რეჟისორი. თავიდანვე რეჟისორული გამოწვევებია. ერთ ლექციაზე სხვა თემაა, მეორეზე - სხვა და ერთობლივად იკვრება.

იზრდები, რაც მთავარია, საქმეს სწავლობ, ერთ კვირაში, ორ კვირაში როგორ გააკეთო გადაცემა, მარტივად და საინტერესოდ.

ყველაზე მეტად მომეწონა ფორმატი, რა ფორმატშიც ჩაფიქრებულია პრაქტიკული სწავლება. ანუ, ის, რაზეც არის ლექცია, უფრო მეტად გამახსოვრდება, უფრო მეტად სწავლობ, ითვისებ და ნამდვილად არასოდეს დაგავიწყდება. იმიტომ, რომ თვითონ შეხება გქონდა თემასთან, რაზეც საუბრობდა ლექტორი.

მ.ზ. კითხვა – რა შენიშვნები გექნება?

თ.ე. პასუხი – შენიშვნები? მე ძალიან მომწონს ტექნიკური მხარე. პროფესია იმდენად შეიძლება ჩვევაში გადაგეზარდოს, რომ ვერც მიხვდე. რაღაცა თავისით წამოვიდეს. ჯერ, რა თქმა უნდა, ბევრს იფიქრებ, შემდეგ რაღაცა გაიფილტრება. ერთადერთი, ჩვენი სტუდენტები, დამწყები პირველკურსელები, რამდენად გაიგებენ, რამდენად მიხვდებიან, რა მიზანია ჩადებული. ანუ, როდესაც არ იცი, რა სამყაროში შედიხარ, ძალიან ბევრი კითხვა გიჩნდება. ვთქვათ, იგივე გარემოს მიმართ, იგივე საკუთარი თავის მიმართ, თუ შეგიძლია ეს პროფესია... შეიძლება ლექცია პირდაპირ მსგავსი ტიპის პრაქტიკული სამუშაოთი არ დაიწყოს და იყოს, ვთქვათ, ერთი სემესტრი თეორიული შესწავლა და შემდეგ გადავიტანოთ პრაქტიკაში. ანუ, ანბანი ხომ უნდა ისწავლო? სანამ ანბანი არ იცი, ელემენტალურად ვერ დაწერ, მოსამზადებელი პერიოდი რომ ქონდეს.

მ.ზ. – ეს ჩადებულიც არის სქემაში, მაგრამ საუბარი იყო ერთ და ორ კვირაზე.

თ.ე. – ერთია, როცა ჩააბარებ და მეორეა, როცა უშუალოდ ეხები. ბევრი კითხვა გიჩნდება, რამდენად სწორად აკეთებ, რამდენი რაღაცაა, რაც არ იცი, და შემდეგ, დრო რომ გადის...ახლა მეცინება, რა თქმა უნდა.

მ.ზ. – ეგებ შეცდომაზე სწავლა, უკვე დაშვებულ შეცდომაზე სწავლა, უფრო ეფექტური იყოს? აი, როცა შენ გგონია, რომ ამას შეძლებ, მაგრამ კეთების პროცესში ხვდები, რომ ეს არ არის თურმე იოლი.

თ.ე. – კი, ბატონო. ერთია იდეა, რაც გაქვს და მეორეა, როგორ განახორციელებ. იდეის მიღმა არის ძალიან დიდი შრომა, რომელიც სტუდენტებს ან აშინებთ, ან ეზარებათ, ან არ შეუძლიათ, ან ნებისყოფა არ ყოფნით. ბევრს აქვს იდეები, მაგრამ მისი რეალიზება უკვე მეორე საკითხია.

შეცდომებზე უფრო მეტს სწავლობ, ვიდრე, ვთქვათ შენ გგონია რომ იცი და კეთების პროცესში ხვდები, რომ ჯერ ვერ გისწავლია.

მ.ზ. - მერე რეჟისურაზე უფრო მეტად ამბიციური ბავშვები მოდიან და ზუსტად, აი ის ამბიცია უცებ უნდა გაქრეს. სტუდენტი უნდა მიხვდეს, რომ ელემენტალური წარმოსახული ეპიზოდი ვიდეოზე საკმაოდ რთული გადასატანია.

თ.ე. - მე ყველაზე მეტად რაც მომწონს, რომ ამას ექნება ძალიან კარგი შედეგი, სამომავლოდ სტუდენტებისთვის. იმიტომ, რომ ისე გაიზრდები და ისე აითვისებ პროფესიას, რომ შენთვის იქნება ვერ მოასწრებ გააზრებას. ეს არის ფაქტიურად თეორია პრაქტიკასთან ერთდროულად, ორივეზე კონცენტრირდები. გავა დრო და უკვე რაღაც გეცოდინება ისეთი, რაც მანამდე არ იცოდი. იმასაც ისწავლი ვთქვათ, რისგან შედგება ლექციის არსი და იმასაც ისწავლი, თუ როგორ უნდა აკეთო ეს ყველაფერი. და ჩემი აზრით, ძალიან კარგი შედეგი უნდა ქონდეს.

ნიკოლოზ გაგლოშვილი - ტელერეჟისორი (მე-4 კურსი)

მ.ზ. კითხვა - რა მთავარი ეფექტია ამ მეთოდით სწავლებისას?

ნ. გ. პასუხი - ერთხელ რომ კამერას იღებ, უკვე რაღაც ისწავლე. თითო გადაღებაზე თითო რაღაცას სწავლობ და აი, მე მგონი, უფრო ეს ეფექტი იქნება. მეტი პრაქტიკა ექნებათ. ტექნიკური მხრივ ძალიან კარგია. მეც რომ მქონოდა პირველი კურსიდან შესაძლებლობა... ჩვენც ვიღებდით, მაგრამ ამ ტიპის დავალებები რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა.

მ.ზ. - აკეთებდით, მაგრამ აკეთებდით თემებს, რომლებსაც თვითონ ირჩევდით. აქ ემატება ის, რომ თემას შენ არ ირჩევ. ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ტელევიზია, ხშირად, რეჟისორისგან ითხოვს რუტინულ საქმიანობას. უნდა აკეთო ის, რაც შენ, ხშირ შემთხვევაში, არ გინდა, მაგრამ სატელევიზიო დაკვეთაა და დროშიც უნდა ჩაეტიო და ეფექტურადაც უნდა მოყვე. თავიდანვე უნდა იცოდეს სტუდენტმა, რომ ესეც უნდა აკეთო და პრაქტიკაც უნდა გქონდეს.

მ.ზ. კითხვა - ახლა, შენ როგორც რეჟისორს, რომელიც საცდელ ლექციას იღებდი, რა პრობლემები დაგიდგა?

ნ. გ. პასუხი - მინდა რომ გრაფიკაზე ავაწყო. ალბათ, გადაცემის სახით გავაკეთებ.

მ.ზ. კითხვა - არის ის მომენტი, რომ ამოცანაში მეტი კონკრეტული გჭირდება?

ნიკა - არა, ამოცანა ვიცი.

მზია - რას ვგულისხმობ კონკრეტულად, ანუ, უფრო ზუსტად რომ იცოდე, რა ჩარჩოში ზიხარ. დავუშვით, ეს თემა უნდა გააკეთო 6, 7 წლის ბავშვისთვის, რომელიც უნდა მიხვდეს, რა ხრიკებს ჩადიან ტელევიზიაში?

ნ. გ. პასუხი - კი, რა თქმა უნდა, უფრო დამეხმარება. ამჯერად ამოცანა ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრ ფორმაზე ვფიქრობ და გადაწყვეტილება არ მიმიღია. მუშაობის პროცესში მივხვდები, როგორი დინამიკა ექნება და ისე ავაწყობ.

მ.ზ. კითხვა - რა არის სარისკო მეთოდში? რა მინუსს ხედავ?

ნ. გ. პასუხი - მგონია, რომ თავიდან, პირველ ეტაპზე, სტუდენტს შეიძლება შეეშინდეს, მაგრამ მოსამზადებელი პერიოდი ხომ ექნება - ლექცია ამას და ამას მოიცავს, მთავარია, იქ გაიგოს, მთავარია, თავიდან აუღოს ალღო, მოტივაცია გამოიჩინოს, ჩაერთოს პროცესში და პირველ ჯერზე ცადოს, შემდეგ მიყვება. თუ უნდა, გამოვა, თუ არ უნდა, არაფერი გამოვა. მე მგონი, სტუდენტზეა დამოკიდებული.

მ. ზ. კითხვა - როგორ ფიქრობ, შიში რომ უნდა გადაილახოს, ესეც ერთ-ერთი ამოცანა არ არის? და ეს შიში რომ არ იქნება ტელევიზიაში გადასალახი და უშუალოდ წარმოების პროცესში?

ნიკა - შიში უნდა დაძლიოს სტუდენტმა, აუცილებლად და უფრო მომზადებული მივა ტელევიზიაში. უფრო გახსნილი იქნება, შემოქმედებითად თამამი. ტელეერეჟისურის სწავლებაში ამ კომპონენტის დამატება ჩემთვის ლექციის ფორმის განვითარებაა. ძალიან კარგია. იქ კიდევ დეტალები შეიძლება დაიხვეწოს კიდევ სხვა ფაქტორები. მაგალითად, ურთიერთობები.

მზია - რას გულისხმობ?

ნიკა - მიდგომას სტუდენტთან.

მზია - ურთიერთობა პედაგოგსა და სტუდენტს შორის? როგორ ხედავ?

ნიკა - პირველ რიგში, მეგობარი უნდა გახდეს და შემდეგ, სხვა დანარჩენი, მე მაინც ახლო ურთიერთობებს ვხედავ.

მზია - თანამშრომლობა?

ნიკა - დიახ, თანამშრომლობა. სტუდენტმა უნდა იგრძნოს, რომ ისინი ერთ საქმეს აკეთებენ და არა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ.

მზია - არა ისე, რომ მე უნდა გავაკეთო და შენ უნდა შემაფასო. არა, ეს არის საერთო ნამუშევარი. საერთო შეცდომები და საერთო წარმატებები.

ნიკა - დიახ, და შემდეგ შედეგი ერთად განიხილება.

დასკვნა

განსახილველად წარმოდგენილია ტელერეჟისურის სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც თანამედროვე ვიდეოტექნოლოგიების, გადამღები თუ სამონტაჟო აპარატურის ოპერატიული ფუნქციების გამარტივების პირობებში, საშუალებას გვაძლევს რეჟისურის ფუნდამენტური თეორიული კურსის შესწავლა მიმდინარეობდეს ტელერეჟისურის სპეციფიკური, პრაქტიკული ტექნიკის დახვეწის პარარელურად. მეთოდი არ ანაცვლებს სატელევიზიო რეჟისურის სწავლების არსებულ მოდელს, სადაც საბაზისო თეორიად მხატვრული ფილმის წარმოებისა და სახვითი გადაწყვეტის კანონები ისწავლება. ის ცვლის:

1. მსმენელი სტუდენტის სტატუსს რეჟისორის, თემის აქტიური ინტერპრეტატორის, სტატუსზე და გააზრებულია, როგორც ტელესპეციფიკით შესრულებული კინოგრამატიკის პრაქტიკული სავარჯიშო პირველ-მეორე კურსზე, საკურსო და სადიპლომო პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე;
2. „სწავლა კეთების პროცესში“ სტრატეგიად ირჩევს განუმეორებელი კადრის, მოვლენის ფიქსირების პროფესიულ ტექნიკას. რეალურ დროში განვითარებული მოქმედება, რომელიც ერთი დუბლით უნდა დაფიქსირდეს, არის ლექცია, კინო-ტელეწარმოების თეორიული კურსი;
3. ლექციის გადაღება გულისხმობს სრული სატელევიზიო ციკლის გავლას. სადადგმო პროექტებისგან განსხვავებით თემა განსაზღვრულია(სატელევიზიო შემეცნებითი პუბლიკაცია) და არა შერჩეული, სტუდენტი გადაღებას იწყებს წინასწარი სცენარის გარეშე, ვერ გადის კინო თეორიით აღწერილ მოსამზადებელ პერიოდს, იღებს მოცემულ პირობებში, მოცემულ გარემოში. ამონტაჟებს არა წინასწარ გააზრებული სამონტაჟო ფურცლის მიხედვით, არამედ აღებული მასალიდან გამომდინარე. მუშაობს ციკლურად; გადაღების დრო, მონტაჟი, წარდგენის ვადა, რეგლამენტებულია;
4. სასწავლო სიტუაცია სტუდენტისათვის პროფესიული გამოწვევაა. თემის ეკრანული ფორმით გააზრება, საილუსტრაციო მასალის შერჩევა, მონტაჟი, გახმოვანება, განსაზღვრულ დროში სატელევიზიო ვერსიის დამზადება. პროფესიის შესაფერისი ქცევით, შეცდომებითა და კორექტირებით სტუდენტი სპეციალობის ელემენტარული უნარებიდან თანდათან გადადის ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებაზე;

5. სტუდენტი იმიტირებული სარედაქციო ჯგუფის მულტიპროფილური წევრია. სწავლობს გადაღებას, ტექსტზე მუშაობას, წერს, ამონტაჟებს, გეგმავს და მართავს წარმოებას; ეცნობა და იყენებს პარტნიორი სპეციალობების რესურსს: მუსიკალურად აფორმებს, ხვეწს კადრის კომპოზიციას, განათების მხატვრულ და რეპორტაჟულ სტილებს; ფოკუსაუდიტორიის გათვალისწინებით ცვლის ვიდეოპუბლიკაციის ეკრანულ ფორმებს. პირადი გამოცდილებით ხვდება, რა საქმე გამოსდის უკეთ და რა შეუძლია მომავალში აკეთოს;
6. ჯგუფის ყველა წევრი იღებს და გასცემს დახმარებას, სწავლობს ერთმანეთისგან. თანამშრომლობითი სწავლების მიდგომით, პარტნიორულ გარემოში, ერთმანეთის ნამუშევრების კონსტრუქციული შეფასებითა და კრიტიკით;
7. სტუდენტი თეორიულ კომპონენტს სწავლობს ცვალებად გარემოებებში, მრავალჯერადი გამეორების პროცესში. ჯერ ლექციაზე - თემის მოსმენისა და გადაღების დროს; შემდეგ დამოუკიდებელი გააზრება, გადაღებული ვიდეოს გამიფვრა, საილუსტრაციო მასალის შერჩევა, მონტაჟი, გახმოვანება, პრეზენტაცია, შეფასება. სალექციო თემის სატელევიზიო ვერსიის დამზადება ინტენსიური სწავლის პროცესია;
8. სპეციფიკური ტელერეჟისურის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის გაწონასწორების მიზნით, მეთოდი იყენებს ლექციის მსვლელობას, როგორც ოპერატიული რეჟისურის მოდელირებულ გარემოს. სტუდენტი მთლიანად არის დაკავებული რეჟისურის პროფესიული ტექნიკის შესწავლით; სპეციალობის თეორიული კურსი საილუსტრაციოდ ფორმის სხვადასხვა ხერხსა და მასალას იძლევა; აუდიტორიიდან გაუსვლელად თეორია პრაქტიკულად ისწავლება; სტუდენტი სწავლობს სატელევიზიო საგანმანათლებლო, შემეცნებით, სატელევიზიო სტუდიურ ფორმებში მუშაობას; სასწავლო ინფორმაციის ვიზუალიზაცია თეორიის ათვისების ეფექტური საშუალებაა; დასრულებული ნამუშევრის წარდგენისას, მოდულის ხელმძღვანელი თვალნათლივ ხედავს, სწავლობს მისი სტუდენტი თუ არა.

ტელერეჟისურის სწავლების სამუშაო ჰიპოთეზიამ განსაზღვრა კვლევის მეთოდები, რომელიც 3 ეტაპად დაიგეგმა:

1. სატელევიზიო და ზოგადად, ვიზუალური თხრობის თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდების, სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული სოციოლოგიური კვლევების, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის, ანალიზი;

2. მეთოდის სტრუქტურის თეორიული სქემის დამუშავება;
3. მეთოდის პრაქტიკულად მოსინჯვა ფოკუსჯგუფთან;

1.სატელევიზიო და ზოგადად, ვიზუალური თხრობის თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდების, პედაგოგიური ლიტერატურის ანალიზი;

კვლევის შედეგები:

- მეთოდის კონცეფცია სწავლების პროცესს ხარისხიანი შემცნებითი პუბლიკაციის დამზადებაზე აგებს, რადგან თანამედროვე ტელევიზიის აქტუალური საკომუნიკაციო სტრატეგია ცოდნის გავრცელება, საზოგადოების კულტურულ საგანმანათლებლო მიმართულებაა.
- რეჟისურის მულტიმედიური პერსპექტივა მრავალპროფილური სწავლების აუცილებლობაზე მიუთითებს, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს მოქმედ სპეციალისტებსა და ამჟამინდელ სტუდენტზე, მათი სწავლების სტილზე, პროფესიული დახელოვნების სტრატეგიებზე, რაც ასევე გათვალისწინებულია მეთოდით.
- პედაგოგიური მიდგომების მიმოხილვა მეთოდის კონტექსტში აჩვენებს მეთოდის თანხვედრას თანამედროვე სწავლების კონცეფციებთან. ტელერეჟისურის სწავლების კონცეფცია შედარებულია კლაუს ფოპელის, კარლ როჯერსის, დევიდ კოლბის, პაოლო ფრეირეს, სერგეი რუბინშტეინის, პედაგოგიურ თეორიებთან. პროფესიული პროფილით გამოყენებულია მიხეილ თუმანიშვილის, მაიკლ რაბიგერის, ჯერალდ მილერსონის, ჯეფრი შოუს, დევიდ ირვინგის რეჟისურის სახელმძღვანელო ლიტერატურა.

2.მეთოდის სტრუქტურის განსაზღვრა;

კვლევის შედეგები:

ტელერეჟისურის პრაქტიკული შესწავლის მეთოდი, სრულად იზიარებს უილიამ დემინგის დახელოვნების მოდელს, რომელიც ცოდნის შექმნის დინამიკური პროცესით არის შესაძლებელი. პროფესიული სტანდარტით დამზადებული ტელეპუბლიკაცია, ციკლური განვითარების მიზანია, რომელიც, თეორიის პრაქტიკული ათვისებით, როგორც სწავლის შედეგი, უნდა მიიღოს თითოეულმა სტუდენტმა. ტელეპუბლიკაცია სრული საწარმოო ციკლით

დამზადებული(გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება) ვიდეო რეპრეზენტაციაა სალექციო თემის, რომელიც ავტორმა ეკრანული ფორმით უნდა გამოხატოს.

მეთოდში, დემინგის სრული პროცესის შემადგენელ მარტივ კომპონენტებად დაშლის გათვალისწინებით, ვიდეო რეპრეზენტაციისთვის, პროფესიული ამოცანა დანაწილებულია გამარტივებულ, ხუთ საფეხურად:

1. ხმისა და გამოსახულების შეთანხმება;
2. დამონტაჟებული ვიდეოს ტიტრებითა და ვიზუალური ეფექტებით გაფორმება;
3. ტიტრებითა და ვიდეოეფექტებით დამონტაჟებული ვიდეოს მუსიკალური გაფორმება;
4. ჯგუფური წარმოების მართვა;
5. თეორიული თემის, როგორც ინფორმაციული ტექსტის, სახვითი გადაწყვეტა, ფოკუს აუდიტორიის და გავრცელების არხის გათვალისწინებით.

ციკლური, მრავალჯერადი კეთების, დახელოვნების პროცესში, სტუდენტმა ჯერ უნდა შეძლოს, ვიდეომონტაჟით გადაღებული ლექციის ხმისა და გამოსახულების შეთანხმება, შემდეგ გამოსახულების ეფექტური ვიზუალური გაფორმება, მუსიკისა და ხმოვანი აქცენტების გამოყენება, შემდეგ ჯგუფის წევრებზე საქმის გადანაწილება, წარმოების მართვა და ბოლოს სრულფასოვანი ვიდეოპუბლიკაციის დამზადება. ხუთივე საფეხურისთვის შედგენილია პროფესიული ამოცანის ჩარჩო-პირობა, საწარმოო რეკომენდაციები, შეფასების კრიტერიუმები.

3.მეთოდის საცდელი გადაღებისა და განხილვის პრაქტიკული შედეგები:

ტელერეჟისურის სწავლების კონცეფცია მოისინჯა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელერეჟისურისა და კინომცოდნეობის მეოთხე კურსელებთან. ლექციის საცდელმა გადაღებამ აჩვენა, რომ მეთოდით გათვალისწინებული პროფესიული ქცევებით სწავლების პირობებში, სტუდენტი უფრო რაციონალურად დაგეგმავდა გადაღებას, წინასწარ გაიაზრებდა მოსალოდნელ შედეგს, გაშიფრული და მარკირებული მასალით შეუდგებოდა მონტაჟს, მოიძიებდა დამატებით ვიზუალურ მასალას, ხმის პარტიტურით გააფორმებდა გამოსახულებას, კორექტირებას გაუკეთებდა თხრობით ტექსტს, გადაანაწილებდა

საწარმოო დატვირთვას ჯგუფის წევრებზე, მოსინჯავდა ფორმის განსხვავებულ, ეფექტურ გადაწყვეტას.

ფოკუსჯგუფთან ტელერეჟისურის სწავლების კონცეფციის განხილვის დროს სტუდენტებმა დადაებითად შეაფასეს:

- ტელეწარმოებით იმიტირებული სასწავლო პროცესი, სადაც თავიდანვე რეჟისორული გამოწვევებია და ტელეწარმოების ციკლური სპეციფიკით მათთვის პროფესიული გარემო იქმნება;
- პრაქტიკულად თეორიული მასალის ათვისებით სტუდენტები მასალაზე მუშაობას ისწავლიან, უნარ-ჩვევებს განივითარებენ, ლექციის თემა უკეთ დაამახსოვრდებათ;
- ლექციის მყარი სტრუქტურით, კონკრეტული საწარმოო ამოცანით უკეთ გაიგებენ სწავლის კონკრეტულ ეტაპზე რა უნდა შეძლონ და რას ელიან მათგან;
- განსაზღვრული კრიტერიუმებით ერთმანეთის შეფასების დროს ცოდნას მიიღებს გადაღების პროცესში ჩართული სტუდენტიც და ჯგუფიც, რომელიც ნამუშევარს კრიტიკულად განიხილავს.
- ჯგუფის პრაქტიკული შემეცნების მართვა ლექტორსა და სტუდენტს შორის კოლეგიალურ ურთიერთობებზე აიგება;
- ინტენსიური პრაქტიკული სწავლებით პროფესიულ გარემოში ადაპტირება ბევრად უფრო მარტივი იქნება.

თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგებით ვფიქრობთ, რომ შემოთავაზებული მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს პროფესიული საქმიანობის სპეციფიურ მოდელზე და თეორიული ინფორმაციის ათვისების პროცესში სატელევიზიო წარმოების იმიტირებით ქმნის პროფესიულ სატელევიზიო გარემოს; სტუდენტის შრომის საგანად ოპერატიული ტელესპეციკით დამზადებულ სალექციო თემის შემეცნებითი პუბლიკაციას ირჩევს; საქმიანობის მიზანს თეორიული კომპონენტის პრაქტიკულად ათვისება - დახელოვნებაში ხედავს და მიზანის მისაღწევად სატელევიზიო ინსტრუმენტებისა და პროფესიული ხერხების დაუფლებას გულისხმობს, საშუალებას მისცემს სტუდენტს კვალიფიციური ცოდნით გადაინაცვლოს პროფესიულ გარემოში. რადგან ამ კომპონენტების არასრულყოფილებამ, შინაარსობრივმა სიმწირემ, ტელერეჟისორის საქმიანობა შეიძლება შეცდომების წყაროდ აქციოს.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის*, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“ 2004.
2. თუმანიშვილი მ., *მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს*, ფონდი „ტერა ინკოგნიტა“ 2004.
3. თუმანიშვილი მ., *სანამ რეპეტიცია დაიწყება*, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1977.
4. კენედი დ., *სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა*, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2006.
5. ფრერიე პ., *განათლება როგორც თავისუფლების პრაქტიკა*,
<http://mastsavlebeli.ge/?p=2289> (გადამოწმებულია 12.10.2019)
6. შუკი ფ. ლარსონი, ჯ. დეტარსიო ჯ., *სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა: ვიზუალური თხრობის გზამკვლევი*, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.
7. Арноун Э., *Несколько слово принципах народной журналистики*, 2010.
http://uapp.org/pub_interview/9828.html (გადამოწმებულია 12.10.2019)
8. Блок Б., *Визуальное повествование*, Focal Press, 2012.
9. Выготский Л., *Психология подростка*, Собр. соч. Т. 4., Педагогика, 1984.
10. Дейвид К. Ирвинг, Питер В. Ри., *Продюсирование и режиссура короткометражных кино и видеофильмов*, Focal Press, 2009.
11. Каку М., *Учеба уже не будет базироваться на запоминании*, Деловая столица, 2014.
12. Кречетников А., *"Электронная" демократия против "суверенной" Би-би-си*, Москва, 2013.
http://news.bbc.co.uk/hi/russian/russia/newsid_6279000/6279719.stm
(გადამოწმებულია 12.10.2019)
13. КрисбаумК., *Правительство как агент по связи с общественностью*, 2016.
<http://www.ref.by/refs/68/15694/1.html> (გადამოწმებულია 12.10.2019)
14. МаклюэнМ., *ГалактикаГутенберга*, Москва, Академический проект, 2015.
15. Миллерсон Д., *Телевизионное производство*, FocalPress, 2004.
16. Оуэн Д., Миллерсон Д., *Телевизионное Производство*, Focal Press, 2012.
17. Рабигер М., *Режиссура документального кино*, Focal Press, 2006.
18. Роджерс К., *Гуманистическая психология, Теория и практика*, МОДЭК, 2013.
19. Рубинштейн С., *Основы общей психологии*, Издательство: Питер, 2002.
20. Сагалаев Э., *XIV Международный Конгресс Национальной ассоциации телерадиовещателей*, 2010.
<http://www.natexpo.ru/archive/2010/conference/> (გადამოწმებულია 12.10.2019)

21. Тоффлер Э, *Шок будущего*, "Издательство АСТ", 2002.
22. Уорд П., Бермингэм А., Уэрри К., *Совмещение профессий на телевизионном производстве*, Focal Press, 2013.
23. Фопель К. *Психологические принципы обучения взрослых*, Генезис, 2010.
24. Холодная М., *Психология интеллекта: парадоксы исследования*, NataHaus,
25. http://intellect-invest.org.ua/content/userfiles/files/library/Holodnaya_Psihologiya_intellekta.pdf
(გადამოწმებულია 12.10.2019)
26. ШиллерГ., *Манипуляторы сознанием*, -М,1980.
<http://psyfactor.org/infmanipulat2.htm>(გადამოწმებულია 12.10.2019)
27. Шоу Дж., *Круглый стол с Джеффри Шоу*, 2012.
<https://www.youtube.com/watch?v=IVr9pg6Kf4>(გადამოწმებულია 12.10.2019)
28. Якобсон М., *Многокамерное производство*, Focal Press, 2012.
29. White T., *Writing, reorting and producing*, NY, Fokal Press, 2007.
30. აკადემიური პროგრამების შედგენისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში, Centar for Social Sciences, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი
31. ლექსიკონი - ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში <http://dictionary.css.ge>
32. პედაგოგიური ვებკვლევი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016.
33. *სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა*, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2015.
34. OECD, Better Skills, Better Jobs, Better Lives: A Strategic Approach to Skills Policies, OECD Publishing.(2012), <http://dx.doi.org/10.1787/9789264177338-en>
35. Civil, ენციკლოპედიური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/>
36. UNESCO, *Служба общественного вещания:Справочник лучших приемов и методов работы*, Гелеос, 2005.

შემოქმედებით პროექტში გამოყენებული ვიდეოები:

37. ლინჩი დ., ინტერვიუ რადიო „თავისუფლებასთან“, 2017წ
38. „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ!“ მიხეილ თუმანიშვილი
39. Adobe premiere pro 2018 promo
40. ntroducing the DJI Mavic
41. RTS - News Studio Production with Robotic Camera Systems Case Study by Ross Video
42. Television Production Training
43. Alastair Yates with a behind the scenes look at BBC TV Centre
44. ArtsEd - School of Acting for Film and Television
45. BBC STUDIOWORKS TELEVISION CENTRE VISIT
46. Academy of Art University - School of Motion Pictures & Television

47. BBC Television Centre Visit Behind the Scenes at the BBC YouTube
48. Behind the Scenes at Hoover High School's Student-Run TV News Show
49. Behind the Scenes of a DCI Broadcast Production
50. Behind the Scenes of High School TV News_ The Broadcast
51. Building Career Skills in Video Production Class Tech2Learn Series
52. Camera Operators - Job roles
53. Classical Piano for Beginners Minor Scales and Arpeggios.
54. Creative Media Production Academy - TVFilm Promo
55. Dope Tech Camera Robots!.
56. Behind The Scenes Look At CBS' 'The Talk'.
57. Behind The Scenes Of TODAY's Morning Routine TODAY.
58. EXTRA- Newscast Behind The Scenes BTS
59. Film and Television Production at Middlesex University.
60. Film and Television Production CTE Program - Gilbert Public Schools
61. Gelbach Designs – Broadcast
62. I Love My Job Robotic Camera Operator
63. TV Studio Camera Operator
64. NYU Tisch Photo imaging.
65. Columbia University in the City of New York A Doubled Magic
66. 75 Years of BBC TV - History of the BBC (Low)
67. Canon RC-V100 Camera Remote Control Unit
68. Entrevista a Michael Rabiger
69. How to Become a Director and Cameraman
70. Design Technologies at Comet Bay College
71. Dr. Michio Kaku The Problem with the learning system in school.
72. Митио Каку ОБРАЗОВАНИЕ БУДУЩЕГО!
73. Hooked - Why Don't We [Official Music Video]
74. Why Don't We Hooked Behind the Scenes!!

თანდართულია მყარი დისკი

დისკზე ჩაწერილია:

- | | |
|---|----------|
| 1. მეთოდის განხილვა ფოკუსჯგუფთან; ----- | 18.50 წთ |
| ოპერატორი - ნ. გაგლოშვილი ტელერეჟისორი IV კურსი | |
| 2. ლექციის საცდელი ვარიანტი(1);----- | 04.00 წთ |
| 3. ლექციის სრული ვარიანტი(2);----- | 32.23 წთ |
| ოპერატორი და რეჟისორი - ნ. გაგლოშვილი ტელერეჟისორი IV კურსი | |
| 4. სადოქტორო თემის საპრეზენტაციო ვიდეო(შემოქმედებითი პროექტი);----- | 24.46 წთ |

რეჟისორი და ტექსტის ავტორი - მზია ზაუტაშვილი